ნანა კანდელაკი

ლოგონებები, ფერილები

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1989

წიგნში ეზეჭდება ნანა კანდელაკის მოგონებები და წერილები.

მოგონებები ქართველ მწერლებთან და ხელოვნების მსახურებთან პირადი შეხვედრების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების ნაკრებია. ზოგი მათგანი, ვისზეც მოგონებებია დაწერილი, ახლაც დღეგრძელია. ზოგი წავიდა ჩვენგან, მაგრამ დასტოვა კვალი ნათელი თავისი შემოქმედებით, მშობლიური ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი უანგარო სამსახურით.

წერილები კი დღევანდელ მტკივნეულ და საჭირბოროტო საკითხებს ეხება.

4603020000 — 063
К ——————— 246 — 89
М601(08)89

ISBN 5 — 529 — 00433 — 4

მოგონებები

განახლებული
პოეტური სუნთქვა

პოეტ ნინო თარიშვილის სახელი პირველად ამ ოცდახუთი წლის წინათ გავიგონე...

მწერალთა ბაღში, მაჩაბლის ქუჩაზე, წყაროსთან ახლოს — ლეო ქიაჩელი, სოსო გრიშაშვილი და გერონტი ქიქოძე ისხდნენ. ცოტა მოშორებით — ახალგაზრდები ვისხედით. მომწყურდა და წყლის ონკანთან მივედი. ბატონ ლეოს ბავშვობიდან ვიცნობდი. მისი შვილები — ნათელა და ოთარი, ჩემი ამხანაგები იყვნენ. უფროსებს რომ მივესალმე, ბატონმა ლეომ დამიძახა, თვალით მანიშნა, გვერდით დამიჯექიო. ბედნიერებად ჩავთვალე, მათ საუბარს რომ მოვუსმენდი და ჩამოვჯექი მერხზე.

ტიციანს და პაოლო იაშვილს იხსენებდნენ...

უცებ ბატონი გერონტი წამოდგა და გრიშაშვილს ნიშნის მოგებით გადაულაპარაკა:

— „შენ კი მეტრფი, პატარავ, მაგრამ რაღა დროს...“, მოგახრევინა ნინომ თითი, მოგახრევინა...

ბატონ სოსოს გაეღიმა, თავი გადასწია, აშკარად შეეტყო, მოგონებებმა შორს წაიღო. მერმე ბატონ გერონტის მოხედა, საყვედურით უთხრა:

— დალოცვილო, ნინო თარიშვილი რაღა ჩემი ლექსით გაიხსენე, აზირ მისივე ლექსი გეთქვა, თუ აღარ გახსოვს?

— შენ გახსოვს?

— როგორ არ მახსოვს,— თქვა სოსომ და მისთვის ჩვეული ალმაფრენით წარმოთქვა:

ვიცი, რომ მზითვად არ მომცემენ „ვეფხისტყაოსანს“,
არც წასაღებად დაჰკეცავენ ქირმანის შალებს,
არც ქართულ კაბას ჩამაცმევენ ჯვარის საწერად,
არც ვერცხლის ქამარს მომავლებენ დარდიან წელზე...

და შემდეგ:

დავიმალები სიყვარულის ცისფერ სუნთქვაში,
დიდი იქნება აღტაცება სხივ გამართული...
უხვი კოცნები, ვით კახეთში ღვინის მარნები
და სადღეგრძელოს მოიტაცებს სიტყვა ქართული.

— ო, შენი ჭირიმე, რა სტრიქონებია!— წამოიძახა გერონტიმ და ბაღში ბოლთა დაარტყა.

გაოგნებული ვუსმენდი. მანამდე არც ეს სტრიქონები, არც ნინო თარიშვილის სახელი არ გამეგონა. მორიდებით ვკითხე ბატონ ლეოს:

— ვინ არის ნინო თარიშვილი?

— საოცარი პოეტი, ქართველი ანა ახმატოვა, ასე შეარქვა მას პაოლო იაშვილმა. მოდი ხვალ ჩემთან, წაგაკითხებ მის ლექსებს. დიდი ხნის წინათ წერდა... დიდი ხნის წინათ...

— აღარ არის ცოცხალი?

— ცოცხალია, უნივერსიტეტში ასწავლის... სულ ჩამოგვშორდა...

— ახია ჩვენზე, რომ ჩამოგვშორდა!— აღელვებით თქვა გერონტიმ. საოცრად აფორიაქდა. წყალი მოსვა და მეგობრებს გადაულაპარაკა:— წავალ მე... თქვენ რას იზამთ, დარჩებით?

— მეც წამოვალ,— თქვა ლეომ.

სოსომ ხმა არ გასცა, წიგნების შეკვრას ხელი დაავლო და ბიბლიოთეკაში შევიდა.

მეორე დღეს ბატონ ლეოს ვესტუმრე. დიდი მოწიწებით გამომიწოდა ნინო თარიშვილის 1926 წელს გამოცემული ლექსების წიგნი — „მზეში". მე წიგნს ვკითხულობდი, ბატონი ლეო ფანჯარასთან იდგა და კარგა ხნის შემდეგ, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკაო:

— „მზეს დავაწყვიტავ სამეფო ქამრებს, არ მეშინია ქარის და შფოთის"... როგორი ნათქვამია?

— დიდებული, ბატონო ლეო.

— ან კიდევ: „ფოთლები ნაზად უკრავენ თარებს, შენი ხელები ირმებად მოვლენ"...

— საოცარი შედარებებია, რა ღრმა აზრია, არა, ბატონო ლეო?

— იყო ასეთი, იყო, ახლა კი სდუმს... ფრანგული ლიტერატურის ისტორიით არის გატაცებული... მაგრამ არა, არ ვამტყუნებ, მისი დუმილი ჩვენი ბრალია, ჩვენი უყურადღებობის ბრალი...

გავიდა წლები და აი, 1974 წელს, ჟურნალ „ცისკარში" წავიკითხე ნინო ჩიხლაძის წერილი — „ნინო თარიშვილი". ქალბატონ ნინოს ვთხოვე, გაეცნო ჩემთვის პოეტი ქალი. მან მითხრა — მალე მისი ლექსების კრებული გამოვა ჩემი წინასიტყვაობით, მაშინ გაგაცნობო. მაგრამ ისე მოხდა, რომ ქალბატონი ნინო თა-

რიშვილი წიგნის გამოსვლამდე უფრო ადრე გავიცანი, 1977 წლის ნოემბერში, საჯარო ბიბლიოთეკაში, ნინო ჩიხლაძის მეტად საინტერესო წიგნის — „ღვაწლმოსილი ქართველი მანდილოსნების“ საჯარო განხილვაზე.

მოხიბლული დავრჩი პოეტი ქალით. ქალბატონი ნინო მეტად მოკრძალებულია, სიტყვაძვირი, ოდნავ ნაღვლიანი, მეტყველი თვალები აქვს. როცა ვუთხარი, რომ მისი პოეზიის თაყვანისმცემელი ვარ, ბავშვივით მორცხვად გაეღიმა, თვალები აუკიაფდა. შევატყვე, ესიამოვნა.

— შენი წამწამები კიდევ მაკოცებენ.
დარდებს გააცინებს ვნების ქარავანი,
დამფრთხალ სონეტებით ფარდა იკეცება
და ხარ პოეტებში ლექსის ფალავანი,—

ვუთხარი პაოლო იაშვილისადმი მიძღვნილი მისი ლექსის ერთი ტაეპი.

ქალბატონი ნინო გაოგნებული მომჩერებოდა, ოდნავ გაეღიმა და ვიგრძენი, მოგონებებმა დაანაღვლიანა კიდეც...

და აი, ახლახან დიდი ხნის დუმილის შემდეგ, კვლავ ამეტყველდა ნინო თარიშვილის პოეზია. ქართველმა მკითხველმა მიიღო მისი ახალი წიგნი და ამ წიგნით თითქოს ახლად დაიბადა, ახალი სუნთქვა დაიწყო პოეტი ქალის შესანიშნავმა პოეზიამ.

აუღელვებლად არ შეიძლება ნინო თარიშვილის ლექსების კითხვა. იგი მეტად ორიგინალურია, განათლებული და მოაზროვნე პოეტი. წიგნში „გვირილები“ („მერანი“ — 1980) შეტანილია ის ლექსებიც, 1926 წელს რომ დაისტამბა და სულ ახალი სტრიქონებიც.

მკითხველი შეხვდება რომანტიკული ლირიკით ამღერებულ ქართულ ლექსს და სამშობლოს სიყვარულით დაწერილ პატრიოტულ სტრიქონებს:

მზე ეხეთქება სიცოცხლის დამბებს,
ყოფნას ჩაუდგა სხვა საძირკველი,
ერთხელ, ოქტომბრის შუადღის დამდეგს,
ეს გამარჯვება ახდა პირველი.

წიგნშია ღრმა, ფილოსოფიური განცდებითა და ფიქრით დაწერილი ლექსები და მამულისადმი ალალი მიძღვნა:

დროთა გრიგალი მეც გამახარებს,
როგორც თვალები მზეში ნარბენი,
დასდევს მინდორი მტევანა ხარებს
და მზით ივსება ჩვენი მარნები.

თანამედროვე მკითხველისათვის ნინო თარიშვილი თითქოს მართლა ახლა დაიბადა. ყოველ შემთხვევაში უმრავლესობისთვის მისი პოეზია სრულიად უცნობია, მიუხედავად იმისა, რომ პირველი წიგნი მან ორმოცდათოთხმეტი წლის წინათ გამოსცა, დიდი აღიარებაც ჰპოვა მაშინ არა მარტო მკითხველებში, არამედ თანამოკალმეთა შორისაც.

ახლა, როცა უფრო დაკვირვებით გავეცანი ქალბატონ ნინო თარიშვილის შემოქმედებას, სულ არ მიკვირს, ჩვენმა სახელოვანმა პოეტმა პაოლო იაშვილმა მას ანა ახმატოვა რომ უწოდა, და პოეტი ქალიც ღირსეულად გაეპასუხა ამ დიდ პატივს.

მომეცით სიტყვა, მე დღეს მინდა გული ავხადო,
გული ვით ქვევრი, ჩვენს მარანში პირაუხდელი,
რისთვის მამსგავსებთ დღით მოვარდნილ გარეულ
ნადირს,
თვალზე მატყვია სიხარულის ნაფეხურები.
მაღლა ღრუბელი დარონინობს, როგორც ურემი,
ფიქრს ფეხმოკეცილს დარჩა ლექსის ნავენახარი,
და მზეს სირბილით ხომ ვერავინ ვერ დაეწევა,
არავის უნდა ხის ნაყოფი ფეხქვეშ ნაყარი.
სიტყვა ნამდვილი სივრცეებში გადაეცემა,
მომეცით სიტყვა სინამდვილის გამომხატველი,
გვეყო მუნჯურად შეხვედრაზე, რაც წარმოითქვა
და ქვეყანაზე თუ იშლება მზე ქოლგასავით,
მომეცით სიტყვა! მეგობრებო, მომეცით სიტყვა!

გვჯერა და გვწამს, ეს მეორედ დაბადება აღანთებს სასიქადულო პოეტს, მის პოეზიას ახალ სულს შთაბერავს, ახალ სულს ჩაუდგამს გულსა და გონებას და იგი კიდევ ბევრჯერ აღგვაფრთოვანებს თავისი ამაღლებული, გულშიჩამწვდომი ლექსებით.

1980.

დაუვიწყარი

შეხვედრა

ეს მოხდა 1965 წლის გაზაფხულის პირზე.

ჟურნალ „ნიანგის“ რედაქტორად ის იყო დანიშნეს ნოდარ დუმბაძე.

მორიგ ნომერზე მუშაობას შევუდექით. თებერვლის ბოლოს ცნობილი გახდნენ რუსთაველის სახელობის პრემიის პირველი ლაურეატები: კონსტანტინე გამსახურდია, ირაკლი აბაშიძე, ლადო გუდიაშვილი, ელგუჯა ამაშუკელი. რედაქციამ გადაწყვიტა, მეგობრული შარჟებით მისალმებოდა მათ.

ჟურნალის გარეკანის პირველ გვერდზე (№ 5) მოთავსდა ნახატი, შოთა რუსთაველი ეტრატით ხელში, რომელზეც ეწერა: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“, 8 მარტი, 1205 წ. ყდის ბოლო გვერდი კი დაამშვენა გიგლა ფირცხალავას მეგობრულმა შარჟმა ლაურეატებზე.

ამავე ნომერში იბეჭდებოდა კონსტანტინე გამსახურდიას იგავები. და აი სწორედ ამ იგავების ანაბეჭდი სტამბიდან რომ მივიღეთ, საჭირო გახდა ავტორისთვის შინ მათი მიტანა, იქნებ რაიმეს ჩასწორება მოინდომოსო.

ნოდარს ვთხოვე, პატივცემულ კონსტანტინეს ახლოს არ ვიცნობ და წავალ-მეთქი. სხვებიც ამყვნენ,— ჩვენც წამოვალთო. რედაქციაში ვალიკო მამუკელაშვილი იყო მოსული და გვთხოვა:

— მანქანით მიგიყვანთ, ოღონდ მეც წამიყვანეთ!

გადაწყდა: წავედით მოსე ქარჩავა, ვალიკო მამუკელაშვილი, მიშა კუხალაშვილი და მე.

წვიმდა და საკმაოდ ციოდა. მობუზულები გადმოვედით მანქანიდან კოლხურ კოშკთან და ვეებერთელა ალაყაფის კარზე საგანგებო სახელურით დავაბრახუნეთ.

სარკმელიდან ახალგაზრდა ქურთმა ქალმა გამოიხედა. ვინაობა რომ გაიგო,— ბატონ კონსტანტინეს მოვახსენებო, და მიიმალა, მალე ისევ გამოიხედა, შინ მიგვიპატიჟა.

ეზოში გაშიშვლებული ხეები იდგნენ, მაგრამ რომ წარმოვიდგინე შეფოთლილები, გავიფიქრე — მართლა დიდებული ბაღი ჰქონია ბატონ კონსტანტინეს-თქო. იქვე ჯიშიანი ძაღლი დასეირნობდა, თვალი მოვკარით მოშინაურებულ ნუკრსაც.

შევედით შინ.

ბატონმა კონსტანტინემ სასადილო ოთახში მიგვიღო. გრძელ მაგიდასთან იჯდა, ცხელ ჩაის მიირთმევდა. გვერდით კონიაკით სავსე ბოთლი ედგა, თავზე კახური შავი ქუდი ეხურა, პიჟამაზე გრძელი, თბილი ხალათი ეცვა. იქვე მაგიდაზე პაპიროსის კოლოფი იდო, ასანთით და დასტა ახალი გაზეთებისა.

ღიმილით მიგვიღო და პაპიროსი გააბოლა.

— მობრძანდით, „ნიანგელებო“, რომელი ხართ თქვენში უფროსი?

— მე გახლავართ, მოსე ქარჩავა.

— რა თანამდებობა გაქვს?

— პასუხისმგებელი მდივანი ვარ, მთლად უფროსი კი ნოდარ დუმბაძეა.

— რაშია საქმე, რაზე გარჯილხართ?

— თქვენი იგავების ანაწყობი მოგიტანეთ, ბატონო

კონსტანტინე. ნოდარმა თქვა, იქნებ რამის გასწორება მოისურვოსო.

— ჯერ წავიკითხავ.

— რა თქმა უნდა,— გაეღიმა მოსეს და ანაწყობი მაგიდაზე გაუშალა.

— ქართული კარგად იცი, მაგრამ მეგრულად თუ ლაპარაკობ, ყმაწვილო?— მეგრულად ჰკითხა კონსტანტინემ მოსეს.

— აბა, რისი მეგრელი ვარ,— გაიბადრა მოსე.

— ზოგმა აღარ იცის, იმიტომ გკითხე.

— ის მეგრელიც არ ყოფილა, ჩემო ბატონო.

კონსტანტინემ თავი მძიმედ დაუქნია და ხმამაღლა თქვა ქართულად:

— ჰეშმარიტად!— პაპიროსი საფერფლეზე დადო, ჩაი მოსვა და ანაწყობის კითხვას შეუდგა.

ჩვენ გავისუსეთ. ვისხედით და მივჩერებოდით ამ ტიტანს,— დიდებული რომანების, ნოველების, წერილების და თარგმანების ავტორს, საქართველოს ისტორიის უდიდეს მცოდნეს და გვეამაყებოდა, რომ გვესმოდა მისი სუნთქვა, მოწიწებით მივჩერებოდით მისი, უკვე სიბერეშეპარული, თითების მოძრაობას.

ბატონმა კონსტანტინემ ჩაიკითხა იგავები, ერთხანს დააჩერდა ანაწყობის გვერდს და უცებ ხმამაღლა თქვა:

— დარჩეს ასე!— ფურცელი გამოუწოდა მოსეს და ზეაწეული სიხალისით იკითხა:— მონადირე თუა თქვენში რომელიმე?

— თქვენთან რა სახსენებელი ვართ, ბატონო კონსტანტინე,— მორიდებით ჩაილაპარაკა ვალიკო მამუკელაშვილმა.

კონსტანტინეს ამაყად გაეღიმა, მედიდურად თქვა:

— კარგი მონადირე ვიყავი, კი... ახლაც წავიდოდი, მაგრამ ვიღასთან, ჩემი ამფსონები აღარ არიან...— სინანულით დააქნია თავი და გაჩუმდა. მერე ოდნავ გადასწია თავი უკან და ტახზე ნადირობის ეპიზოდი გაიხსენა. ჩუმად ლაპარაკობდა, ასე მეგონა, მოგონებამ გაიტაცა და უფრო თავისთავს ებაასებოდა.

ვინ რას ჰკითხავდა, როგორ გავბედავდით ხელი შეგვეშალა. ვისხედით და ვუსმენდით მის დუდუნს.

მოულოდნელად ჩემსკენ გამოიხედა და მოსეს ჰკითხა:

— ეს დიაციც „ნიანგელია"?

— ეს, ბატონო კონსტანტინე, ნანა კანდელაკია, ჩვენი იუმორისტი ქალი, ლიტერატურულ თანამშრომლად მუშაობს რედაქციაში.

— ძნელია ხომ იუმორის წერა?— ღიმილით მომხედა.

— კარგის დაწერა, საერთოდ ძნელია...

— მაინც იუმორის დაწერა ძნელია...— თქვა და თავის ანაწყობს გახედა,— მე რომანის დაწერა მირჩევნია.

— ახალს თუ წერთ რამეს?— დაინტერესდა მოსე.

— მე მუდამ დღე ვწერ, მაშასადამე სულ ახალს. რამეთუ, რომ ვასწორებ, ისიც ახალია. დიდი უბედური ადამიანები ვართ მწერლები, კატორღელებივით ვშრომობთ. უძირო ჭასავითაა ჩვენი სამუშაო...

— უფრო როდის წერთ?

— შემოქმედისთვის მუშაობის დაწყებისა და დამთავრების დაწესება, შეუძლებელია. აქ შთაგონებაა საჭირო, აღმაფრენა, განცდა, აფორიაქება რაღაცით. კი-

დევ.— ნიჭი, განათლება და შრომის დიდი უნარი, შრომის სიყვარული. ყველა ამისათვის სამზადისიცაა საჭირო: მოგზაურობა, უზომოდ ბევრის კითხვა და სულ ფიქრი იმაზე, რის დაწერასაც აპირებ...— და უცებ ისევ მე მომხედა,— სადაური კანდელაკი ხარ, ქალო?

— კავთისხეველი ვარ, ბატონო კონსტანტინე.

— სვეტიცხოველის ეპისკოპოსი ტარასიც კავთისხეველი იყო. იცნობდი?

— როგორ არა, მამაჩემის ბიძა გახლდათ.

— განათლებული და დიდად განსწავლული კაცი იყო ცხონებული... მიყვარდა მასთან ბაასი,— თქვა ჩაფიქრებულმა და ჩაიდუდუნა:— 1951 წელს გარდაიცვალა, სვეტიცხოველის შესასვლელთანაა დასაფლავებული...— თავი სწრაფად ასწია და გოროზად მომაჩერდა, — „წითელი მიხაკი“ შენია?

— დიახ,— შეშინებულმა შევხედე, შემაცივა, არ ვიცოდი, რას მოასწავებდა ეს შეკითხვა.

— გიორგი შატბერაშვილი გიცნობს?

— როგორ არა, ბავშვობიდან.

— დიდებული ენითა წერს... ეს იმ თქვენი კავთისხევის მადლია,— მოულოდნელად გამიღიმა, თავი დამიქნია,— ოღონდაც მოთხრობა კი არა, ის ნოველაა!— მერე მოსეს ჰკითხა:— შენ რას წერ, მოთხრობას, თუ ნოველას?

— მე ვთარგმნი, ბატონო კონსტანტინე, ინგლისურიდან.

— ივანე მაჩაბელს გინდა აჯობო?

— ეგ ძალიან ძნელია,— გაეღიმა მოსეს.

— მაინც ეცადე. მაგრამ მალე, ალბათ, ყველა დე-

დანში წაიკითხავს ინგლისურს და რა გეშველებათ მთარგმნელებს? თუ შეგიძლია, ორიგინალური შექმენი.

— ეგ თარგმანზე ჯეფრო მიჭირს.

— თუ გიჭირს, არ გინდა. ყოჩაღ, რომ არ მალავ. აი, ნოდარს, არ უჭირს.

— ხომ წაიკითხეთ მისი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“?

— „მე ვხედავ მზესაც“. ორივე კარგია, ნიჭიერი. ყმაწვილია. შეხედე, უკვე „ნიანგის“ რედაქტორია. კიდევ წაიწევს... ესენიც მთარგმნელებია?— ვალიკოზე და მიშაზე ანიშნა.

— ვალიკო ჩვენი ავტორია, მიშა — ჟურნალის ტექნიკური რედაქტორი. ახლა კი წავალთ, დიდი ბოდიში შეწუხებისათვის.

— ასე როგორ გაგიშვათ... დარეჯან!— გასძახა მასპინძელმა. — შემოვიდა ჭაღარა მანდილოსანი.— დარეჯან, თეთრა მოართვი ყმაწვილებს!— ბრძანებასავით, არტისტული მედიდურობით შესძახა კონსტანტინემ.

— ა, ნუ შესწუხდებით,— ხელი გაასავსავა მოსემ,— წავალთ ახლა, ისედაც მოგაცდინეთ.

— დასხედით, თითო ჭიქა დავლიოთ. კარგი ღვინო მაქვს.

მალე მანდილოსანიც დაბრუნდა. ჩვენ ისევ დავსხედით. ქალმა შეწუხებული თვალებით შემოგვხედა და კონსტანტინეს გადაულაპარაკა, მაგრამ ჩვენ ყველაფერი გავიგონეთ.

— მირანდა ბაზარში წავიდა და, ეტყობა, თან გაიყოლია კარადის გასაღები...

მაშინვე წამოვდექით.

კონსტანტინემ ჩაახველა, მშვიდად შემოგვხედა და ისევ მედიდურად, მისთვის ჩვეული ტონით გვითხრა:

— მეორედ მოსვლა მოგიხდებათ, ყმაწვილებო, თეთრა ჩემზეა!

მოსემ გაულიმა, თავი დაუკრა, აღტაცებულმა უთხრა:

— ბატონო კონსტანტინე, ჩვენ აქედან ისეთი ნასიამოვნები მივდივართ, ვითომც დაგველიოს თქვენი თეთრა. კარგად ბრძანდებოდეთ, თქვენი მკითხველების, თქვენი სათაყვანებელი ქართველი ერის საამაყოდ!

კონსტანტინე არ გაპასუხებია, კმაყოფილს სულ ოდნავ გაუნათდა სახე, თავი მძიმედ დაგვიქნია. მერე უცებ წამოდგა, ორივე ხელით მაგიდას დაებჯინა და თავამართულმა, ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

— გმადლობთ, რომ შესწუხდით, წამაკითხეთ ჩემი იგავები... მწერალმა ყოველთვის თვითონ უნდა გადაიკითხოს დაბეჭდვის წინ, რის გამოქვეყნებასაც აპირებს... მკითხველმა განსაჯოს, რა დაუწერია შემოქმედს. თუმცა მკითხველი ვერასოდეს წარმოიდგენს რა შრომა აქვს გაწეული მწერალს. იქნებ არც არის საჭირო, მას შედეგი აინტერესებს, ნაწარმოების ღირებულება, მწერლის შესაძლებლობა... რა დაწერა! რას სთავაზობს!

დიდებული სანახავი იყო იმ წუთას კონსტანტინე გამსახურდია. ზევსის გამოხედვა ჰქონდა, შთაგონებით აღსავსე, ცხოვრებაგამოვლილი, ამაყი და ამასთან განსწავლული კაცისა.

ოთახიდან ასე ვამოგვაცილა,— უსიტყვოდ, ფეხზემდგარმა.

ჩვენ ეს. დიდ პატივად ჩავთვალეთ.

გარეთ ისევ წვიმდა, ისევ ციოდა. საჩქაროდ ჩავჯექით მანქანაში და რედაქციამდე აღარც გამოვლაპარაკებულვართ ერთმანეთს.

საოცრად დიდი იყო შთაბეჭდილება, ჩვენი დროის ამ ბუმბერაზ მწერალთან შეხვედრისა...

1983.

ნოდარის გვერდით

ნოდარ დუმბაძე...

ეს სახელი ახლა ბევრისათვის არის ახლობელი, როგორც მეგობრის, ამხანაგის, ნათესავის და, რაც მთავარია — როგორც შემოქმედის, ნიჭიერი მწერლის და საზოგადო მოღვაწისა...

ნოდარ დუმბაძე ორმოცდაათიან წლებში გავიცანი, სრულიად შემთხვევით, მოულოდნელად.

„ზემელზე", გაზეთის ჯიხურთან ვიდექი, „ახალგაზრდა კომუნისტი" უნდა მეყიდა. იმ დროს ჩემ ტოლებში ეს გაზეთი დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მივაწოდე აბაზიანი გამყიდველს. იმან ცივად გასწია ჩემი ხელი და ნიშნის მოგებით მითხრა:

— ვერა ხედავ, სიფთა ხარ. შენ რომ ხურდა გაგატანო, მთელი დღე წასული იქნება ჩემი საქმე. ჯერ სხვამ აიღოს, შენ მეორე იყავი. აბა, მომაწოდე შემდეგმა, ოღონდაც ზუსტად ორკაპიკიანი.

— მაგ გოგოს რაღად უნდა გაემრუდოს ეს დღე?

რატომ ისტუმრებ უარით? მიეცი მაშინ ათი გაზეთი და მორჩი საქმეს,— მომესმა ვიღაცის ხმა ზურგს უკან.

მერე ის ვიღაც ჯიხურთან მოვიდა, გამოართვა გამ-ყიდველს ათი გაზეთი, ერთი მე გამომიწოდა, დანარჩენი ჩამოურიგა რიგში მდგომთ და ღიმილით თქვა:— არ გეწყინოს, თუ და ხარ, აბაზი რა სალაპარაკოა. გატყობ, თბილისელი ხარ, სადმე როგორ არ შეგხვდები და გაგისწორებ ამ დანაკლისს. ახლა ორი კაპიკის მეტი არ მაქვს, მაპატიე რა...— ერთმანეთს თავი დავუკარით, აქეთ-იქიდან მადლობა თქვეს და წავედით ჩვენ-ჩვენი გზით.

რამდენიმე ხნის მერე სადგურიდან მოვდიოდი, მოსკოვიდან ჩამოსულ მეგობარს შევხვდი. მაშინ არ იყო ამდენი ტაქსები, ჩავჯექით ტროლეიბუსში და მოვდივართ. ხურდა გადავეცი ბილეთისათვის და მესმის ხმა:

— ბილეთი აღებულია, ორივესთვის!

ვიცანი ყმაწვილი. ის მოვიდა ჩემთან და ათი ბილეთი გამომიწოდა.

— აკი ვთქვი, შევხვდებით და გავსწორდებით-მეთქი.

— რომ დაზარალდით... ტროლეიბუსის ბილეთი ორჯერ უფრო ძვირია.

— ასეთი ზარალი სასიამოვნოცაა. ახლა მე უკვე ვიცი, რომ თქვენ ნანა კანდელაკი ხართ. ვიცნობდეთ ერთმანეთს — მე, ნოდარ დუმბაძე ვარ,— მითხრა და ხელი ჩამომართვა.

მეც გაგონილი მქონდა ნოდარის სახელი და გამეხარდა, პირადად რომ გავიცანი.

მერე ნოდარისთან ერთად ვმუშაობდი ჟურნალ „ნიანგში“.

ძალიან ბევრი რამ არის მოსაგონარი, მაგრამ ახლა მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდს გავიხსენებ იმ წლებისას, ნოდარის დიდ ლიტერატურაში მოსვლის პირველ ნაბიჯებს, რომელმაც უცებ გააცნო მთელ საქართველოს მისი სახელი და გამორჩეული ნიჭი.

იქ, „ნიანგის“ რედაქციაში, ჩვენს თვალწინ იწერებოდა ახლა უკვე სახელგანთქმული წიგნის — „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ უმეტესი თავები, ასევე რომანი „მე ვხედავ მზეს“, „მზიანი ღამე“, მრავალი იუმორისტული მოთხრობა, ფელეტონი, რომლებსაც ჯვებე დუმბავას სახელით აქვეყნებდა.

იმ წლებში დაიდგა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე ნოდარის და გიგა ლორთქიფანიძის მიერ გასცენირებული „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, რომელმაც შემდეგ ტრიუმფით შემოიარა არა მარტო საქართველოს, მრავალი მოძმე რესპუბლიკის და უცხოეთის სცენა.

იმ წლებში „ნიანგის“ რედაქციაში იკრიბებოდნენ არა მხოლოდ იუმორისტები, არამედ იმ დროს ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსული ბევრი ახალგაზრდა მწერალი, პოეტი, მხატვარი და ჟურნალისტი. ყველას რა ჩამოთვლის, მაგრამ არ შემიძლია ზოგი მათგანი მაინც არ მოვიხსენიო: ედიშერ ყიფიანი, ნოდარ ჩხეიძე, მიშა კაკაბაძე, გიგლა ფირცხალავა, დიმა ერისთავი, ჯემალ ლოლუა, ალეკო სანადირაძე, ჟორა ბედინეიშვილი, მურმან ლებანიძე, ირლი თაყაიშვილი, ოთარ ჭელიძე, ზაურ ბოლქვაძე, ფილიპე ბერიძე, ალეკო შენგელია.

განსაკუთრებით გვიყვარდა ნოდარ ჩხეიძის სტუმ-

რობა. ნოდარი საოცარი პიროვნება იყო,— ნაკითხი, პოლემიკის მოყვარული. პაექრობის ისეთ ცეცხლს დაანთებდა, რომ ყველას ჩაითრევდა ხოლმე კამათში. ეს იყო იმპროვიზებული ლიტერატურული შეხვედრები, უნებური გარჩევა ამა თუ იმ ნაწარმოებისა. ხშირად ვყოფილვართ დაუბეჭდავი ლექსისა თუ მოთხრობის პირველი მსმენელები.

ნოდარ ჩხეიძე „ნიანგის“ რედაქციაში გავიცანი.

ნოდარ დუმბაძემ რომ დაიწყო „ნიანგში“ მუშაობა, ნოდარ ჩხეიძე ჩვენი ხშირი სტუმარი იყო და ერთიორი დღე რომ არ გამოჩენილიყო, ვწუხდით, რაღაც თავისებური ელფერი ედებოდა მის სტუმრობას. საოცარი სილაღე მოსდევდა მას, შემართება, ყველას გვაფხიზლებდა, სტიმული და ოპტიმიზმი მოჰქონდა და დიდი ცოდნა.

დიახ, დიდად ნაკითხი იყო ნოდარი, განათლებული. ასე მეჩვენებოდა, არაფერს სტოვებდა წაუკითხავს. მოვიდოდა და აგვანთებდა, აუცილებლად პოლემიკას წამოიწყებდა რომელიმე ჟურნალში, ან გაზეთში დაბეჭდილ ახალ ლექსზე, მოთხრობაზე. სულ წიგნები დაჰქონდა, დაგვიტოვებდა ახალ წიგნს და იმაზეც მიგვანიშნებდა, რაზე უნდა გაგვემახვილებინა ყურადღება.

ორმოცდაათიანი წლების დამლევს და სამოციანი წლების დასაწყისში, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჟურნალ „ნიანგის“ რედაქციაში თავს იყრიდნენ იმ დროს ლიტერატურაში წარმოჩენილი ახალგაზრდები და ჩვენი სული და გული — ნოდარ ჩხეიძე იყო, ლიტერატურაში თავისი ჩახედულებით, ანალიზის საოცრად სამარ-

თლიანი უნარით, ნიჭიერისადმი კეთილგანწყობით და თანადგომით.

როგორ უხაროდა, საინტერესო ნაწარმოებს რომ წაიკითხავდა, აუცილებლად ნახავდა ავტორს, მიულოცავდა და არც შენიშვნებზე მოერიდებოდა. თუ რამ არ მოეწონებოდა, თვალებს მოწკურავდა, ულვაშებში ღიმილს ჩაკარგავდა, თავს გაიქნევდა, ალბათ მერე დაწერს მოსაწონსო...

დღის ბოლოს ბიჭებს რუსთაველზე უყვარდათ გამოფენა, სვენებ-სვენებით, ლაპარაკ-ლაპარაკით, კამათით და ოხუნჯობით აივლიდნენ და ჩაივლიდნენ ხოლმე პროსპექტს და კარგა გვიან ბრუნდებოდნენ შინ.

იმ ხანად რედაქციაში ხშირად შემოიხედავდა ხოლმე ერთი თბილისელი სომეხი კაცი, წიგნები მოჰქონდა ჩვენთვის, ზოგი სულ ახალი, ზოგი ბიბლიოგრაფიული იშვიათობის მნიშვნელობისა და თითქმის თავის ფასად გვაძლევდა.

ერთხელაც, ის იყო მოვიდა „ნიანგში" რუბენა, ფეხდაფეხ შემოჰყვა ოთახში ღღლიაში ამოჩრილი ახალი წიგნებით ნოდარ ჩხეიძეც.

ნოდარ დუმბაძემ რაკიღა საკბილო იპოვა საოხუნჯოდ, რუბენას სერიოზულად უთხრა:

— რუბენჯან, დღეს ამ კაცის ჯერია წიგნებით ვაჭრობისა და შენ სხვა დროს მოდი.

ჩხეიძე ჯერ გაოგნებული მიაჩერდა რუბენას, მერე უცებ ყველაფერს მიხვდა და ღიმილით ჩამოალაგა წიგნები მაგიდაზე.

— Такой интеллигентный и не стыдно, мешаешь простому человеку работать. Ты что, не знаешь, что это мой объект?

— რუბენ, ამჯერად აპატიე, მეორედ ჩვენც არ დავუშვებთ, რომ შეგეცილოს,— სიცილით იგუდებოდა ნოდარ დუმბაძე.

რუბენამ საყვედურით გახედა ჩხეიძეს და ჩუმად გაგვეცალა.

მეორე შემთხვევაც მინდა გავიხსენო:

ნოდარ ჩხეიძე ახალი მოსული იყო რედაქციაში, ვსაუბრობდით, ახალ იუმორისტულ მოთხრობებს ვაცნობდით, ნომერში რომ უნდა წასულიყო, რომ ამ დროს შემოაღო ოთახში კარი ბატონმა ალექსანდრე ჭეიშვილმა. ძალიან გაგვიკვირდა ყველას, რადგან მანამდე იგი არასოდეს გვსტუმრებია რედაქციაში.

ბატონი ალექსანდრე მოგვესალმა იქ მყოფთ, პორთფელიდან თავისი რომანი „ლელო“ ამოიღო და ნოდარ ჩხეიძეს გაუწოდა.

— უნივერსიტეტში ვიყავი და რომ ვერ გნახეთ, მითხრეს, „ნიანგში“ იქნებაო და მეც აქეთ გამოვსწიე...— თქვა ბატონმა ალექსანდრემ.

შეწუხდა ნოდარი, დაგეტოვებინათ იქ წიგნი, გადმომცემდნენ, ასე რად გაისარჯეთო.

— რაკი თქვენ დაინტერესდით ჩემი წიგნით და მე დაგპირდით მის მორთმევას, სხვას რად დავუტოვებდი... მე ძალიან ვაფასებ თქვენს აზრს ლიტერატურაზე და დიდ პატივადაც მიმაჩნია, ჩემს წიგნს რომ წაიკითხავთ. განა თქვენ უფრო მეტი გარჯა არ გელით?— გაეღიმა ბატონ ალექსანდრეს.

ასეთი ავტორიტეტით სარგებლობდა იმ დროს ეს ახალგაზრდა კაცი, თავის ტოლებში და უფროს მწერლებს შორისაც და რა დასანანია, რომ ბრმა შემთხვე-

ვამ, გაფურჩქვნის ასაკში, ორმოცი წლისა, იმსხვერპლა და ხელიდან გამოგვაცალა.

●

ნოდარი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“-ს ბოლო თავებს წერდა, ჟურნალი „ცისკარი“ აჩქარებდა, ის კი ხშირად ცდებოდა,— თუ რედაქციის საქმიანობით, თუ ბიჭებთან საუბრით, ხშირად რომელიმე სასაუზმეში რომ მთავრდებოდა.

— ნანაია, უნდა მიშველო, ცა, თორემ შევრცხვები კაცი...— მითხრა ერთხელ.

— მე რა შემიძლია?

— დამაბი, გოგო, ამ მაგიდასთან, თორემ ასე თუ ვიყალთაბანდე, რა დაასრულებს იმ „მე ბებია, ილიკო და ილარიონს“?

— დამიჯერებ?

— კი.

ასეც მოხდა: ნოდარს გამოვკეტავდი ხოლმე „მოლოდოი სტალინეცის“ (მაშინ ასე ერქვა გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიი“-ს) ერთ ოთახში და თავისუფალ დროს იქ მუშაობდა. იმათ განცალკევებული ოთახი ჰქონდათ სხვენზე, რომელსაც „მუზის საკუჭნაოს“ ვეძახდით.

როგორც კი წამოიწყებოდა ლაპარაკი სასაუზმოდ წასვლაზე, ნოდარი თვალს ჩამიკრავდა, რაც იმის ნიშანი იყო, წასვლა არ მინდაო. მეც რაღაც საქმეს გამოვუჩენდი „გადაუდებელსა და სასწრაფოს“, ნოდარი ბოდიშებით ისტუმრებდა ბიჭებს და გარბოდა „მუზის

საკუჭნაოში“ საწერად, უფრო დაწერილის გადასათეთრებლად, დასახვეწად.

ჰოდა, ერთხელაც, თვალი კი ჩამიკრა, მომცა ნიშანი, მაგრამ მერე ეტყობა, სულმა წასძლია, ყურადღება აღარ მომაქცია და წაყვა ბიჭებს შესვენებაზე სასაუზმოდ.

რამდენიმე დღის შემდეგ, ისევ მოვიდნენ პაექროობის მოყვარულნი, სუფრაზე წავიკითხოთ ახალი ლექსებიო.

ნოდარიმ თვალი ჩამიკრა, მაგრამ ამჯერად აღარ მივაქციე ყურადღება, თავი ისე დავიჭირე, თითქოს ვერა ვხედავდი მის ნიშანს და ოთახიდანაც კი გავედი.

როცა დავბრუნდი, აღარავინ დამხვდა, ნოდარის გაესტუმრებინა ბიჭები, თვითონ თავის მაგიდასთან იჯდა და თავის საქაღალდეს დასჩერებოდა. მერე უცებ ასწია თავი და საყვედურით მითხრა:

— თვალთ დაგაკლდა, ნანაია?

— ჰო, დამაკლდა.

— აბა, წასულა შენი საქმე, გიტირო გურულად?

— იტირე, რა მენაღვლება.

— არ გეწყინოს, არ დაიჯერო, რასაც ვბჟუტურებ, გეხუმრე...

— მე ის მწყინს, რომ უნებისყოფო გახდი. აქ უამრავი ვიღაც მოდის ნაცნობი, უცნობი, ყველას კი არ უნდა აყვე. როგორ შეიძლება დროის ასე ფლანგვა? შენ მწერალი ხარ და უნდა იცოდე, შენს დასაწერს და გასაკეთებელს, სხვა ვერ გააკეთებს. გაუფრთხილდი დროს. წუთი, რომელიც ეს არის წავიდა, ველარავითარი ძალა ველარ მოაბრუნებს.

— არა ვარ მე უნებისყოფო, ზარმაცი კი ვარ,— დატუქსულივით მითხრა.

— ის სიზარმაცე უნებისყოფობის შედეგია, არ იცი ეს შენ?

— მართალი ხარ, ჩემს დასაწერს, სხვა ვერ დასწერს,— თქვა და ფიქრიანმა ფანჯარაში გაიხედა.

●

დილა იყო. ის იყო მოვედი რედაქციაში, ბატონმა ნიკო შველიძემ — მაშინდელმა „ნიანგის“ რედაქტორმა — ნოდარი, მოსე ქარჩავა, გარი მეტრეველი, ანზორ ტაბატაძე, მიშა კუხალაშვილი და ნოდარ მალაზონია (ამ ბიჭებიდან, დღეგრძელია მხოლოდ ნოდარ მალაზონია, სხვა ყველა დავკარგეთ), რაღაც დავალების მისაცემად გამოიძახა კაბინეტში. მაშინ „ნიანგის“ რედაქცია „ზარია ვოსტოკას“ შენობის მეხუთე სართულზე იყო მოთავსებული და რედაქტორისა და მდივან-მემანქანის გარდა, ყველა თანამშრომელი ერთ დიდ ოთახში ვმუშაობდით.

მორიგი ნომრის მორიგე ვიყავი და გვერდებში ანაწყობს ვკითხულობდი.

საქმით გართულს კარზე მორიდებული კაკუნი მომესმა.

— კარი ღიაა, შემობრძანდით,— შევძახე და განვაგრძე მუშაობა.

ოთახში ვეებერთელა დოგი შემოვიდა, შემომხედა და წინ დამიჯდა იატაკზე.

ცხოველები ბავშვობიდან მიყვარს, მით უფრო ძალ-

ლი, მაშინაც გვყავდა ოჯახში, მაგრამ რედაქციაში დოგის გამოჩენა იმდენად მოულოდნელი იყო, უფრო აღშფოთებულმა წამოვიძახე:

— ამ რედაქციას მხეცის სახელი კი ჰქვია, მაგრამ ჯერ აქ სამხეცე არ გახსნილა. რას ჰგავს ეს? დამენახოს ამ საქციელის ავტორი! რომელი ხართ?

კარი უცებ ისევ გაიღო და სიცილით შემოვიდა ნიაზ დიასამიძე.

— ქალბატონო ნანა, მაპატიეთ, ნოდარის შეშინება მინდოდა, იმიტომ გესტუმრეთ ჩემი ძაღლით...

იმ ხანში ნიაზმა რამდენიმე თემა მოგვიტანა, დავბეჭდეთ მისი რამდენიმე ხუმრობაც. არ მინდოდა, ხელი შეშლოდა და მეგობრულად ვურჩიე, სასწრაფოდ გაცლოდა იქაურობას, სანამ ნიკო გაიგებდა მისი ძაღლით სტუმრობის ამბავს.

ნიაზმა დამიჯერა, ძაღლს საყელო გაუკეთა კისერზე და საჩქაროდ წავიდა.

ბიჭები რომ დაბრუნდნენ ოთახში, ვუამბე, რაც მოხდა.

ნოდარი სიცილით იგუდებოდა.

— მე გავაბრიყვე, ნიაზა. ვუთხარი, ძაღლით თუ მოხვალ რედაქციაში ხუთ მანეთს ვდებ-მეთქი, მაგრამ ხაია მოუვიდა. მე ხომ აქ ის არ მინახავს ძაღლით, ათი მოწმეც რომ დამაყენოს თავს, კაპიკსაც არ დავდებ.

— შენ რა პირობა დაუდე, ეგ მე არ ვიცი, მაგრამ ის ხუთი მანეთი მე დამადებინა ნიაზმა, ასე მითხრა: ნოდარის კაი ხანია მართებსო და რომ მოვა, დაგიბრუნებთ ამ ხუთ მანეთსო.

ოთახში ახლა ბიჭებმა ასტეხეს სიცილი, ესეც შენაო.

ნოდარი აიწურა, ფული მაშინვე დამიბრუნა და ნირწამხდარმა თქვა:

— ესეც იღბალია: ამ ჩემს ხუმრობაში რასაც ვიღებ, ეგრევე ხუმრობით ვარიგებ...

— კარგია, სინდისს გეფიცები,— გაეცინა მოსეს,— ხომ იცი, „რასაცა გასცემ შენია, რაც არა, დაკარგულია!“ ის ნიაზა, ჩვენი ბიჭია, არ დაგეკარგება.

ნოდარის სამუშაო მაგიდა, როცა „ნიანგის“ რედაქცია „ზარია ვოსტოკას“ შენობის მეხუთე სართულზე იყო მოთავსებული, კარის პირდაპირ, კედელთან იდგა. იქვე დიდი ფანჯარა იყო, საიდანაც მთაწმინდა ჩანდა და მამადავითის ეკლესია. ნოდარს უყვარდა იმ ფანჯრიდან მთაწმინდისკენ გახედვა და მუდამ ფიქრიანად ჩაილაპარაკებდა ხოლმე აკაკის სიტყვებს „განთიადიდან“:

მთაწმინდა ჩაფიქრებული,
შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა,
მნათობი სხივებს მაღლით ჰფენს,
თავდადებულის საფლავსა...

ერთხელ გარი მეტრეველმა უთხრა:

— აკაკის სტრიქონებს რომ ამბობ, ასე მგონია, ლოცულობ იმ წუთში.

— კიდევაც, რომ ასეა...— უპასუხა ნოდარმა,— როგორც ყველა ქართველისათვის, ჩემთვისაც სახატეა მთაწმინდა, მამადავითის ეკლესია... შეხედე, როგორ შერწყმულია ერთმანეთთან ორივე. მაინც, რა გემოვნება ჰქონდათ ჩვენს ხუროთმოძღვრებს. აბა, გაიხსენე თუნ-

დაც სულ პატარა ეკლესია, ან სახელგანთქმული მონასტრები, ტაძრები, ასე აღტაცებაში რომ მოჰყავს მნახველი... რა მინდოდა ეკონომიურზე, მე უნდა არქიტექტორი ვყოფილიყავი.

— პირველყოვლისა რას ააგებდი?

— ბავშვებისათვის პარკს, გართობისა და დასვენების ყველა საშუალებების გამოყენებით.

მაშინ ნოდარის ეს ნატვრა აუხდენელ ოცნებად ჩავთვალეთ და რა კარგია, რომ იგი სიცოცხლეში გახდა ბავშვთა ქალაქის, „მზიურის“ მესაძირკვლე.

●

ერთხელ, ერთი მანდილოსანი საკმაოდ ამოჭრილი უსახელო კაბით მოვიდა რედაქციაში.

— ამქვეყნად ქალებს, კაბის ფასონად დეკოლტე რომ გაქვთ, კი ვიცი, მაგრამ მოდაში იღლკოლტეც თუ იყო, აღარ მეგონა,— ღიმილით უთხრა ნოდარმა.

●

ჩვენს მთავარ მხატვარს, ნოდარ მალაზონიას, ცოლი ღამით ცუდად გახდომოდა. მეორე დღეს რედაქციაში რომ მოვიდა, ძალიან დაღონებულმა გვითხრა:

— ისე ცუდად იყო წუხელის ნანა, სასწრაფოს გამოძახებაც დამჭირდა.

— შენი მოყვარული ქმრობის ამბავი რომ ვიცი,— წამოიძახა ნოდარმა,— გადარევდი ექიმებს, ვაი დედას მაგიერ, ვაი ნანას ყვირილით და როგორ დაიშურებდნენ ყურადღებას ავადმყოფის დასახმარებლად.

— რა არის იმაში მერე ცუდი, ასეთი როვ ვარ?— უგუნებოდ გახედა მალაზონიამ.

— ცუდი ის არის, ძამა, რომ გადაგვკიდე ქმრებს ცოლები, — გადაეხვია მალაზონიას სიცილით ნოდარი, იმანაც შუბლი გახსნა და ჩვენთან ერთად გაიცინა.

●

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“ „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ წიგნად უნდა გამოსულიყო. ნოდარი ძალიან ღელავდა, არაფერი წამიშალონ, არ გადამაკეთებინონო.

ერთხელ გვესტუმრა ილია ხოშტარია, წიგნის რედაქტორი. ნოდარი ფერშეცვლილი მისჩერებოდა, რას მეტყვისო.

— წავიდა სტამბაში დედანი,—თქვა ბატონმა ილიამ, — კარგი წიგნი დაგიწერია.

— ხომ არაფერი შემიცვალეთ?

— წერტილ-მძიმესაც არ შევხებივარ.

— დაგიღუპივართ, ბატონო ილია, — გაიბადრა ნოდარი და სიცილად დაიღვარა, — ის წერტილ-მძიმე მიჭირს სწორედ მე, თქვენი იმედით ვიყავი და რაღა მეშველება.

— მაგი ისეთი წიგნია, ვის გაახსენდება კითხვისას ის წერტილ-მძიმე,— სერიოზულად თქვა ბატონმა ილიამ,— თორემ აგერ შენ და აგერ მე, ნახავ რა გამოხმაურება ექნება, რა რეცენზიებს დაგიწერენ კრიტიკოსები.

და მართლაც, ნოდარის აღმავლობა მწერლობაში, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონით“ დაიწყო.

1962 წლის ზაფხულში, თბილისში რამდენიმე დღე პაპიროსის დეფიციტი იყო და დაეძებდნენ მწეველები თუთუნს.

იმ ხანად მივლინებიდან ჩამოვიდა რედაქციის ლიტერატურული მუშაკი ანზორ ტაბატაძე, „ყაზბეგის“ ოცამდე კოლოფი ჩამოიტანა და მე შემანახვინა სეიფში.

ეს რომ გაიგო ნოდარიმ, ასეთი სახის განცხადება დაწერა ანზორის სახელზე, რომელიც დღესაც ინახება ჩემს არქივში:

ჟურნალ „ნიანგის“ ლიტმუშაკს

ამხ. ა. ნ. ტაბატაძეს

მცხ. ანაგის ქ. № 42

ნ. დუმბაძისგან

განცხადება

ბაღნობიდან ვეწევი პაპიროსს. თბილისში რატომღაც გაქრა პაპიროსი და მოკლებული ვარ წევის უდიდეს სიამოვნებას. გავიგე, ყოფილხართ პროვინციაში, სადაც თავისუფლად იშოვება ეს დასაწვავი ნივთიერება. გთხოვთ, გასცეთ ჩემზე ერთი კოლოფი „ყაზბეგი“. დაგიმახსოვრებთ!

ნ. დუმბაძე

ანზორმა წაიკითხა განცხადება და კუთხეში მიაწერა:
ამხ. ნანა კანდელაკს!
გაეცით ჯვებე დუმბავას ერთი (1) კოლოფი „ყაზბეგი“.

ა. ტაბატაძე
6/VII — 62 წ.

ერთი გაჭიანურებული საქმე ებარა მოსე ქარჩავას და აღარ დაადგა საშველი ორი მეზობლის მორიგებას, საერთო ბინის ცალ-ცალკე გადასაცვლელად, რაკიღა ერთი მათგანის ჭირვეულობის გამო, საქმეს კეთილად დაბოლოების პირი ,არ უჩანდა.

ერთხელაც, ის ჭირვეული მოქალაქე რომ მოვიდა ისევ პრეტენზიებით რედაქციაში, შეწუხებულმა მოსემ თავზე წაივლო ხელი,— ვავა, ჩქიმი ცოდვაო. ნოდარმა მოულოდნელად გარი მეტრეველს საკმაოდ ხმამაღლა უთხრა, უფრო მბრძანებლური ხმით:

— გადაუღე ამ კაცს სურათი და მივცეთ „ნიანგში“ განცხადება:

„ერიდეთ სასიძოებო ამ კაცის ქალიშვილის შერთვას, ინტრიგანი სასიმამროს საკბილო რომ არ გახდეთ!“

— მაგაზე ადვილი რა არის,— თქვა გარიმ, თავისი მაგიდის უჯრიდან ფოტოაპარატი ამოიღო და იმ კაცს უთხრა:— აბა, ფანჯარასთან დადექი სინათლეზე, რომ მკაფიოდ გამოჩნდეს შენი სახე.

კაცი გაფითრდა, ხელი აიფარა სახეზე და მუდარით მიმართა ნოდარს:

— არა! ეგ არ ქნათ, არა, არ დამღუპოთ, თანახმა ვარ, ბინის გადაცვლის ყველა ვარიანტზე ვარ თანახმა...

— უსაბუთო სიტყვის ახლა ღმერთსაც აღარა სჯერა და მე როგორ დაგიჯერო, სული ამოგვხადე აკერ ამდენ ადამიანს. ამიტომაც ხელწერილი დამიწერე და მიხედე საქმეს.

კაცი მართლაც მიუჯდა მაგიდას და ხელწერილი დაწერა: „ოღონდაც „ნიანგში“ არ გამხატოთ და არ გამწეროთ, მეზობლის ყველა ვარიანტზე ვარ თანახმა და თუნდაც დღესვე გადავალ იმ ბინაში, საცა მეტყვისო“-ო.

ამის შემდეგ ბინის გაცვლა მართლაც სულ მალე მოხდა და როგორც კი დასრულდა საქმე, მოვიდა ის კაცი ნოდართან და თხოვა, ხელწერილი ჩემს თვალწინ უნდა დახიო. ნოდარმა ამოიღო უჯრიდან ხელწერილი და ნაკუწ-ნაკუწად აქცია, თან ღიმილით დასძინა:

— აბა, შენ იცი, აღარ აამღვრიო ახალ მეზობლებთან ურთიერთობა, თორემ შეცდომას ღმერთი არ მაპატიებს და შენც კარგ მოქმაგეს დაჰკარგავ.

ერთხელ, შუადამისას, მიშა კუხალაშვილმა ნოდარს დაურეკა.

ძილბურანში მყოფ ნოდარს აღელვებით უკითხავს, რა მოხდა, ასე გვიან რომ დარეკე, ხომ არაფერი შეგემთხვაო.

— მიყვარხარ, ნოდარია, სხვა რა უნდა მომხდარიყო,— უთქვამს ნაბახუსევ მიშას, პასუხსაც არ დალოდებია და ჩამოჰკიდა ყურმილი.

ნოდარს რაკიღა ძილი გაუკრთა, იფიქრა, აღარც იმას დავაძინებო და ცოტა ხნის მერე დარეკა მიშასთან.

— დიდი მადლობა, ჩემო მიშა, ისე ძალიან რომ გიყვარვარ, ღამეც კი გახსოვს და მოსვენებას არ გაძლევს ჩემი სიყვარული.

— კი, მაგრამ... მაგ მადლობას სამსახურში რომ მოვიდოდი, მერე ვერ მეტყოდი, ამ გამთენიას რომ მირეკავ?— აბუზღუნუბულა მიშა.

— ვიფიქრე, დილამდე არ გაცივებულიყო ჩემი მადლობა, თანაც, თუ უძილობაა, ბარემ ერთად ვათიოთ სიყვარულის გამო ეს ღამე.

მიშას გასცინებია და თავისი ბოხი ხმით ჩასძახა ყურმილში:

— ასე გაგებული რომ ხარ, ნოდარია, ყველაფერში, ამიტომ მიყვარხარ, ხომ ხვდები?

— რა არის აქ გაუგებარი, ძამა, ოღონდაც, თუ მართლა გიყვარვარ, აწი სხვა ვინმე შეიყვარე ამის გამო შუაღამისას განცხადებისათვის,— თქვა ნოდარიმ და ტკბილი ძილის გაგრძელება უსურვა, მართლა საყვარელ ადამიანს, ყველა ნიანგელისათვის თავგადადებულ მიშას.

●

1963 წელი იყო.

აგვისტო იწურებოდა.

რედაქციაში ამოვიდა გურამ თიკანაძე. ის მაშინ ჟურნალ „დროშაში“ მუშაობდა და თავისუფალ დროს უყვარდა ჩვენთან ყოფნა.

— აბა, მოეწყეთ „ნიანგელებო“, უნდა ჩაგაკარტიჩ-

კოთ, ოღონდაც სახურავზე ავიდეთ, იქ სინათლე მეტია.

ბავშვებივით ავიშალენით და გახარებულებმა სახურავს მივაშურეთ.

იმ დღეს ჩვენთან იყო არლი თაყაიშვილი, მერი ცანავამაც მაშინ შემოიხედა — „მოლოდეჟ გრუზიის“ თანამშრომელმა (ეს ორი რედაქცია ერთი ოჯახის წევრებივით ვიყავით, საქმეშიც, გართობაშიც!), მით უფრო სასიამოვნო იყო ამ წრეში სურათის გადაღება.

ბიჭები რატომღაც საკვამლე მილთან დადგნენ, სხვანაირი ფონი იქნებაო და იყო ერთი ალიაქოთი, ადგილების შერჩევა, ვინ როგორ დამდგარიყო.

ნოდარი განზე იდგა, სახურავზე. მე მასთან მივედი და მივჩერებოდი მოსეს, რომელიც ყველაზე მეტად ხმაურობდა.

— უყურე ერთი ამ ნიანგებს, რა დღეში არიან,— მითხრა ნოდარმა.

მოსემ გაიგონა და ხოშკაკალასავით მიაყარა:

— თორემ თვითონ ნაკლები კროკოდილი ხარ,— და გურამს გასძახა,— გადაგვიღე ბარემ, თორემ ვიღაც ჩამოვარდება ამ საკვამურიდან და შენი მოსავლელი გახდებაო.

მე და ნოდარს გაგვეცინა, მოულოდნელად გურამი ჩვენსკენ შემობრუნდა და გადაგვიღო. იმ დღეს ბევრი სურათი აღბეჭდა გურამმა, რამდენჯერმე თვითონაც გადაიღო ჩვენთან ერთად. მეორე დღეს საცდელი ფოტო-სურათები მოგვიტანა.

— ხვალ მესტიაში მივდივარ, უნდა გავინავარდო მწვერვალებზე, ნანა! შეარჩევ სურათებს, დამიწერ — ვის რამდენი გავუმრავლო და რომელი სურათი. ათ დღეში

აქა ვარ და ჩემი თავი თქვენ გენაცვალოთ!— სურათები ჩამაბარა, გულითადად გამოგვემშვიდობა, გადაგვკოცნა ყველა და წავიდა.

წავიდა და წავიდა...

აღარც დაბრუნებულა...

27 აგვისტოს, შხარას მწვერვალიდან ჩამოსვლისას, გურამი დაიღუპა.

შესძრა ყველა, და მით უფრო ვინც მას ვიცნობდით, ვინც ვმეგობრობდით მასთან — ამ ლამაზი ვაჟკაცის, ნამდვილად კარგი ამხანაგის უდროო დაღუპვამ...

დარჩა შესანიშნავი სურათები, დღეს უკვე უნიკალური ფოტოები, ჩვენი სიყმაწვილის და იმ დღეთა მოსაგონარად...

ერთხელ, მერე უკვე მოგვიანებით, გურამი რომ მოვიგონეთ, ნოდარმა ნაღვლიანად მითხრა:

— სიკვდილი გარდუვალია, მაგრამ იმ დალოცვილმა ღმერთმა, ნიჭიერ კაცს უნდა აცალოს, თქვას სათქმელი, უნდა აცადოს, გააკეთოს გასაკეთებელი...

ვაი, რომ ეს სიტყვები დღეს ნოდარზეც ითქმის.

რამდენი ფიქრი წაიღო თან, რამდენი დარჩა სათქმელი...

დასანანია...

1986-88

რამდენიმე შტრიხი პორტრეტისათვის

ბატონი პავლე ინგოროყვა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“ გავიცანი.

ეს მოხდა 1968 წელს.

ბატონი პავლე მაშინ გამოსაცემად ამზადებდა ნიკოლოზ ბარათაშვილის საიუბილეო წიგნს და დილიდან ჩვენს ოთახში ფუსფუსებდა.

საოცრად მკაცრი რეჟიმი დაგვიმყარა: არავის უშვებდა ოთახში და რომელიმესთან ავტორი თუ მოვიდოდა, მოულოდნელად გვეტყოდა — სადმე სხვაგან წადით სასაუბროდ, აქ რედაქტორები მუშაობენო.

თავიდან უსიტყვოდ ვემორჩილებოდით ამ მოთხოვნას, მაგრამ მერე და მერე ცოტა გაგვიჭირდა, თუმცა, ბატონ პავლეს გასაგონად კრინტსაც ვერ ვძრავდით.

და აი, ერთხელ, მოვიდა ოთახში თავის სამუშაო მაგიდასთან ჯანსუღ ნიქაბაძე და ბატონი პავლე რომ არ დახვდა, მწარედ გადაუკრა ბარათაშვილის თხზულებათა ტომზე მომუშავე რედაქტორებს — ნათელა ინასარიძეს და ელისო ბეწუკელს:

— ჰა, პავლოვნებო, მიგატოვათ თქვენმა მამა-მახრჩობელამ?

ნათელა აიწურა, ელისოს კი გაეღიმა და ვითომც არაფერიო, ისე თქვა:

— ნათელამ იკითხოს, მამის სახელი რომ შეუცვალე, თორემ მე ისედაც პავლოვნა ვარ!

●

იმ ზაფხულს ძალიან ცხელოდა და აივნის კარს ღიას ვტოვებდით ოთახის გასაგრილებლად, სანამ, რა თქმა უნდა, ბატონი პავლე მოვიდოდა. იგი ვერ იტანდა გამჭოლ ნიავს და მოსვლისთანავე კარს მიხურავდა ხოლმე.

ასე მოხდა იმ დღესაც.

შემოვიდა ოთახში ბატონი პავლე, დადო მაგიდაზე თავისი დიდი, წიგნებით, ხელნაწერებითა და ანაწყობებით გამოტენილი პორთფელი და მიხურა აივნის კარი.

ოთახში ექვსნი ვისხედით, მეშვიდე — ჩვენი სტუმარი — ბატონი პავლე იყო. ოთახი მცირე ფართობისა გვქონდა და სულ მალე ისე ჩამოცხა, სუნთქვა გაგვიჭირდა.

ბევრი ფიქრის შემდეგ, უცბად წამოვდექი და კარი ფართოდ გავაღე.

დაჯდომა ვერ მოვასწარი, ბატონმა პავლემ ასევე სწრაფად მიხურა კარი, უხმოდ დაჯდა და განაგრძო კორექტურის კითხვა.

მე ისევ ავდექი და კარი გავაღე.

ბატონი პავლე ზეწამოიჭრა და განრისხებულმა მითხრა:

— ორბელიანის ქალები, მარაოს ნიავზე ცივდებოდნენ, თქვენ კი არ გეშინიათ ფილტვების ანთება დაგემართოთ?

— ისინი ქალები იყვნენ, ჩვენ კი ქაჯები ვართ, ჰოდა, გვიფრთხილდით! — კი ვთქვი, მაგრამ თვალი ვერ გავუსწორე.

ბატონმა პავლემ შემომხედა, მერმე დანარჩენებსაც გახედა. ყველა სიცხისაგან გათანგული იჯდა. მოულოდნელად გაეღიმა, კარი გამოაღო და ისე, სულ უბრალოდ თქვა, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკაო:

— ცხელა, კი, იყოს კარი ღია, იქნებ ცოტა შვება ვიგრძნოთ...

●

ერთხელ ძალიან გაბრაზებული მოვიდა ჩვენთან ბატონი პავლე, პორტფელი მიაგდო ნათელას მაგიდაზე და ელისო მოიკითხა, ჩვენს შორის რომ ვერ დაინახა.

— დღეს ვერ მოვიდა, ელისო, დარეკა, შეუძლოდ ვარო,— უთხრა ნათელამ.

ეს რომ გაიგონა ბატონმა პავლემ, სულ აიშალა. იყვირა, რა ხალხი ხართ, ეს ხომ ღალატია, გაგონილა ამ დროს ავადმყოფობაო.

— სტამბაშიც ყველა არ არის დღეს ადგილზე,— ბობოქრობდა ბატონი პავლე,— და კიდევ მიბედავს ზოგიერთი და მეუბნება — ნუ ნერვიულობთო.

ბატონი პავლე დაჯდა ელისოს მაგიდასთან და წასაკითხი კორექტურა წინ დაიდო.

აბა, რომელი ჩვენთაგანი ეტყოდა უარს წაკითხვაზე, მაგრამ ისე იყო იმ წუთში განრისხებული ბატონი პავლე, ვერ გავბედეთ გამოლაპარაკება.

ბატონი პავლე თან კითხულობდა კორექტურას, თან დრო და დრო ისევ ცხარობდა, აღშფოთებას ვერ ფარავდა.

მე ჩემთვის გავიფიქრე: ასე თუ იჯავრებს და ინერ-

ვიულებს ეს კაცი, შეიძლება ცუდად გახდეს-მეთქი, და თუმცა არ ვიყავი დარწმუნებული, ამ აფორიაქებისას გამიგებდა თუ არა ბატონი პავლე ხუმრობას, მაინც ვცადე, როგორმე გამენელებინა მისი გაბრაზება და საქმაოდ კეკლუცად, საყვედურით მივმართე:

— ბატონო პავლე, მე თქვენზე ნაწყენი ვარ...

ბატონმა პავლემ ანაწყობს თვალი მოაშორა, სათვალეს ზემოდან შემომხედა და გაოგნებულმა მკითხა:

— რას მერჩით, ჩემო ბატონო? კარი აივანზე კი არა, დერეფანშიც არის ღია, ოთახში სულაც არ ცხელა, კიდევ რას მოითხოვთ ჩემგან?

— ბატონო პავლე, თქვენ დღეს არ მომესალმეთ...— იხტიბარგაუტეხავად ვუთხარი, გულში კი დარწმუნებული ვიყავი, მეხი გავარდებოდა, რადგან ვიგრძენი, ვერ მიმიხვდა ბატონი პავლე ხუმრობას, ვერ მიხვდა, რომ ეს სითამამე უფრო მისი აღელვების გასანელებლად და გასაფანტავად მოვიმოქმედე.

მაგრამ მოხდა სრულიად მოულოდნელი რამ.

ბატონმა პავლემ განზე გასწია ანაწყობი, წამოდგა, კალამი მსუბუქად მიაგდო მაგიდაზე, შემდეგ გასწორდა, ჩემსკენ გამოემართა, ქუსლი ქუსლს მიუჯახუნა და არტისტული მანერით მომმართა:

— Добрый день, мадам!

ოთახში მხიარული სიცილი გაისმა.

ბატონმა პავლემ ხელზე მაკოცა და ღიმილით მითხრა:

— ერთი ჭიქა ცხელი ჩაი დამალევინეთ და ალუბლის მურაბითაც თუ გამიმასპინძლდებით, ბარაქალა, მადლობელი დაგრჩებით.

სულ მალე ჩემს მაგიდაზე ჩაისთვის სახელდახელო სუფრა გავაწყე, ჩვენთან ერთად ბატონმა პავლემაც ისიამოვნა ცხელი ჩაით და ალუბლის მურაბით (წინა დღით იყო მურაბაზე ლაპარაკი და მე ვთქვი, მოვიტანმეთქი). საუზმობისას ის ხშირად გადმომხედავდა ხოლმე ღიმილით, წასვლისას კი, უკვე დღის ბოლოს, მითხრა:

— А Вы думали, что я сухарь?

აი, ასეთი ბუნების კაცი იყო, ეს ბუმბერაზი მეცნიერი, ბევრი კარგი ლიტერატურული თაოსნობის მოთავე და სულისჩამდგმელი, ავტორი „გიორგი მერჩულესი“, „რუსთველიანის“, მრავალი მნიშვნელოვანი მონოგრაფიისა და წერილებისა.

ბატონი პავლე საქმისათვის თავგადაგებული კაცი იყო, მუშაობისას წარბშეკრული, მაგრამ იუმორის დიდი გრძნობაც გააჩნდა, ხალისიანი იყო და ენამოსწრებული. ღიმილი ჰქონდა თავისებური — თბილი, გულღია და ასეთ დროს გავიწყდებოდა, რომ შენს გვერდით იდგა კაცი, რომელმაც დიდი და გრძელი, მძიმე და მშფოთვარე ცხოვრება განვლო — ქართული მწერლობის, ლიტერატურის, მშობლიური ხალხის სამსახურში.

1983

იოსებ (სოსო) გრიშაშვილი

ბატონ სოსო გრიშაშვილს ბავშვობიდან ვიცნობდი. მამაჩემის მეგობარი იყო ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიიდან. უყვარდა სანდრო კავსაძესთან ერთად ჩვენთან სტუმრობა, მოლხენა, ლექსების კითხვა...

მეტად პოპულარული იყო იმ დროს სოსო გრიშაშვილის პოეზია. მის ლექსებს მთელი საქართველო მღეროდა: „ლერწამი ხარ“, „გენაცვალე“, „რა კარგი ხარ, რა კარგი“, მოგვიანებით ახალი ლექსები აიტაცა ხალხმა: პეპოს სიმღერა კინო-ფილმიდან —„პეპო“, „სამშობლოსადმი“, „ეს მთა ჩემია, ეს ხე ჩემია“, „ახალი თბილისი“, მრავალი სხვა ლექსიც და მაინც ყველაზე პოპულარული იყო მისი „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“, რომელსაც ბრწყინვალედ კითხულობდა ვასო გოძიაშვილი, ვასო შავერზაშვილის აკომპანიმენტით ფორტეპიანოზე.

როცა მწერალთა კავშირში დავიწყე სიარული, ბატონ სოსოს ხშირად შევხვედრივარ. მუდამ გამომელაპარაკებოდა, მამაჩემს მოიკითხავდა, გულისტკივილით იხსენებდა მაშინ უკვე გარდაცვლილ სანდრო კავსაძეს.

ერთხელაც, ეს იყო 1957 წლის 11 იანვარს, მწერალთა კავშირის ბიბლიოთეკაში ვიჯექი, ახალ ჟურნალ-გაზეთებს ვათვალიერებდი. შემოვიდა ბატონი სოსო, ხელში ლურჯი ბადე ეჭირა, შიგ ქაღალდში გახვეული რაღაც ედო, მეორე ხელში კი ორი წიგნი. ქალბატონ თამარ ფოფხაძესთან მივიდა და თავი მოიწონა:

— აი, ვიშოვნე, თამარ, ცოტა გაცრეცილია და ყდაც შელახული, მაგრამ ბაჯაღლო ოქროა, ბაჯაღლო

ოქრო! ჯერ უკეთესი გამოცემა შოთას არ ღირსებია. ნათელი დაადგეს ჯერ ქართველიშვილს, მერე მიხაი ზიჩის და უპირველესად მაინც სტამბის მუშებს. რა შრომაა გაწეული, მე ხომ ვიცი... აბა, შენებურად კოხტად შეახვიე გაზეთში და წავალ... მიემატოს ჩემს ბიბლიოთეკას!

— ბატონო სოსო, თქვენ ხომ გაქვთ ეს გამოცემა, რაღად დაიხარჯეთ?— გაეღიმა თამარს.

— დალოცვილო, ოქროს ფონდს, ორი ზოდიც რომ მიემატოს, დაშავდება განა? დრო დადგება, სანთლით საძებარი გახდება ეს გამოცემა, სოსოს ბიბლიოთეკაში კი იქნება. ქვეყნის სიმდიდრეა, თამარ-ქალო, წიგნი. ჰოდა, შეერგოს ქვეყანას, მინდა ჩემგან დარჩეს ეს სიმდიდრე, გამიგე?

თამარი უხერხულად შეიშმუშნა, მორიდებით თავი დაუქნია და ჩუმად შეუდგა დავალების შესრულებას. ბატონმა სოსომ მაგიდის გარშემო მსხდომთ გადმოგვხედა, რომ დამინახა, ღიმილით წამოვიდა ჩემსკენ, მომესალმა და ხმადაბლა ჩამილაპარაკა:

— ჰა, მამაშენმა ქეიფის იშტა ხომ არ დაკარგა ჯერ?— მერე ბაღისკენ გაიხედა და დარდიანად თქვა:— ჰაუ, რა დრო გვაქვს გატარებული... „სიმპატია“, „ჟიზნი“ და „იმერი“ აკლებული ჰქონდათ სიმღერით მამაშენს და სანდროს, მერე სანდროს ბიჭებიც რომ შემოგვიერთდებოდნენ ხოლმე, იმათ მოსმენას რა ჯობდა... სანდროს მერე გაწყდა თითქოს ძაფი. სულ ორჯერ თუ შევხვედრივართ... უთხარი რა, მნახოს. უთხარი, არღანზე ვაქეიფებ... მე ვერაფერი მსმელი ვარ, მაგრამ არღანზე იქნებ თვითონ მოილხინოს... ერთი

სიტყვით, მნახოს, სალაპარაკოდ მაინც, გასახსენებელი, იცოცხლე, ბევრია...

— გადავცემ, ბატონო სოსო.

— ახლა კი თხოვნა მაქვს შემთან და თუ ქალი ხარ, უარი არ მითხრა,— ისევ ხმადაბლა მითხრა,— ადი მარიჯანთან და ეს ბადე აუტანე, ოღონდაც კი არ უთხრა, ვისგან არის. ჰო, ბადე წამოიღე, წიგნები უნდა ჩავაწყო შიგ.

— ავიტან, კი, არ ვეტყვი, ვინ გამომატანა და ახლავე ჩამოგიტანთ უკან ამ ბადეს.

— კიბესთან დაგიცდი, აბა, წადი! — ტალანში გასასვლელ კარამდე გამომაცილა ბატონმა სოსომ.

ავედი მეორე სართულზე, სადაც ლიტერატურული კონსულტანტები ისხდნენ. ქალბატონი მარიჯანი, თამარ ანდღულაძე, რამდენიმე ახალგაზრდა და ბატონი შალვა აფხაიძე იყვნენ ოთახში. მივედი ქალბატონ მარიჯანთან და გავუწოდე ბადე.

— რა არის ეს?— გაოცებით მომაჩერდა მარიჯანი.

— არ ვიცი, თქვენთან გამომატანეს,— ეშმაკურად გამეღიმა.

მარიჯანმა გაშალა გაზეთი და ზეთისხილით სავსე ქილა რომ ნახა, სახეგაბადრულმა მითხრა:

— სოსომ გამოგატანა? ღმერთო ჩემო, იმ მოსკოვში რანაირად მოაგონდა, ზეთისხილი რომ მიყვარს? რანაირი კაცია...— ქილა მაგიდაზე დადგა და ისე მიაჩერდა, თითქოს ლამაზი თაიგული ყოფილიყოს. ბადეზე ხმაც არ ამომიღია, თვითონვე გამიხვია გაზეთში და გამომიწოდა. მერე უჯრიდან ორი წიგნი ამოიღო, ერთს რაღაც წააწერა, მეორეს ვეღარ მოასწრო წაეწერა, ბა-

ტონმა სერგი ჭილაიამ მოიხმო კაბინეტში. შენიაო, მითხრა მარიჯანმა და წავიდა. კი ვიჯექი ცოტა ხანი, ველოდი, მაგრამ ბატონი სოსოსი მომერიდა, ხომ ვიცოდი, დაბლა მელოდებოდა კიბესთან, წიგნები წამოვიღე და წამოვედი.

ბატონი სოსო მართლაც მელოდებოდა კიბის დასაწყისში.

დამინახა თუ არა, ცნობისმოყვარეობით მკითხა:

— რაო, რა გითხრა?

— გაეხარდა, ესიამოვნა თქვენი ყურადღება, იმ მოსკოვში რანაირად მოაგონდა, ზეთისხილი რომ მიყვარსო...

— ი, რა ბებერი მე ვარ, ეგ არა მხსომებოდა,— ყმაწვილივით წამოენთო სოსო, ღიმილით კეფაზე აიგდო მწვანე შლაპა და უცებ წიგნებს დააჩერდა, ხელში რომ მეჭირა.— რა წიგნებია? საიდან? შენ ხომ უწიგნოდ ახვედი...

— ქალბატონმა მარიჯანმა მაჩუქა.

სოსომ გამომართვა წიგნები და ხამამაღლა წაიკითხა მეტად კეთილგანწყობით მოძღვნილი წარწერა და თარიღი რომ წაიკითხა, გაოცებულმა თქვა:

— ეს რა დაუწერია, 1/I — 1957 წელიო, რანაირად, კაცო, დღეს ხომ 11 იანვარია.

— არა უშავს, მერე გავასწორებინებ. მთავარი აქ ხომ ეს წიგნებია.

— მთავარი, ქაჯან, ეს ახალი გამოცემა კი არა, ეს მეორე წიგნია, ეხუმრები? 1921 წელს არის გამოცემული. დახე რა წერია: „თბილისი, 1921 წ. სტამბა „სორაპანი“, გამომცემლობა „სორაპანი“ მ. გაჩეჩილაძისა, ფასი 150 მ.“ ეგრე იყო, შვილოსა, ეგრეთი ფასები იყო

მაშინ...— წიგნი გადაშალა, ლექსებს გადახედა, ეტყობოდა, მოგონებებმა შორს წარიტაცა, მერმე გამომიწოდა წიგნები და ისევ ცნობისმოყვარეობით მკითხა:— როგორა გგონია, ერთ წიგნს ჩემთვის არ გაიმეტებს მარიჯანი, აი, იმ ძველ გამოცემას?

— თუ კი აქვს, როგორ არ გისახსოვრებთ.

— განა არა მაქვს ეგ წიგნი, მაგრამ იყოს ერთიც, რა დაშავდება?

— არაფერი დაშავდება, რა თქმა უნდა.

— აბა, წავალ. ნახვამდის! აჩიკოს გადაეცი, რაც დაგაბარე!

— აუცილებლად.

— ჰო, მოკლე ხანში ჩემი ახალი ლექსების წიგნი გამოვა და გისახსოვრებ, თხოვნაზე რომ არ დამზარდი,— თქვა ბატონმა სოსომ და ხის კიბეს აუყვა მეორე სართულისაკენ.

სამწუხაროდ, დაპირება არ შეუსრულებია ბატონ სოსოს, ალბათ, დაავიწყდა, თუმცა ამის შემდეგ კიდევ ბევრჯერ შევხვედრივართ და 1961-62 წლებში ერთად ვისვენებდით ბორჯომის სასტუმროში. ის უკვე საგრძნობლად მისუსტებული იყო ავადმყოფობით. ქეთო ჯაფარიძესთან ერთად დილიდან პარკისკენ გაუდგებოდნენ ხოლმე გზას. ქეთო გაზეთებს უკითხავდა, გამუდმებით სულ რაღაცას საუბრობდნენ.

ერთხელ დამიძახა, მთხოვა, ქეთოს უჭირს ბაზარში წასვლა, ხილი მენატრება და იქნებ მომიტანოო.

— ბატონო სოსო, მანქანით ვარ და წაგიყვანთ ბაზარში, თქვენი სურვილით აირჩიეთ, რაც გენებოთ.

— აი, მესმის პასუხი, როდის წაგვიყვანთ?

— თუხდაც აბლავე.

— აბა, წავსულვართ, ქეთოჯან, ახალგაზრდების ამბავი არ იცი? გუნება არ შეიცვალონ, თორემ ფლუსტ, ჩვენი ბაზარში წასვლა,— წამოიძახა სოსომ.

ქეთომ თავი არ დაანება, თვითონ წავალ ბაზარში, შენ აქ იჯექი, მანქანაში ცუდად არ გახდეო.

სოსომ დარდიანად ჩაიქნია ხელი.

— ჰაუ, აბა, დამთავრებულა სოსო გრიშაშვილის პლასტინკა?

ქალბატონ ქეთოს, ეტყობა, შეეცოდა სოსო და ღიმილით გაუწოდა ხელი:

— გიფრთხილდები, არ მინდა გადაიღალო, მაგრამ თუ ასე გინდა გავლა, წამოდი, კი ბატონო.

იმ დღეს ბაზარშიც ვიყავით, მანქანით გავისეირნეთ ახალდაბისკენ და გემრიელი პურიც ვჭამეთ გზისპირა პატარა რესტორანში.

სასტუმროსთან რომ ჩამოვდექით და სოსო ნამდვილად ლაღად ჩამოვიდა მანქანიდან, ქალბატონმა ქეთომ გაოცებით ჩაილაპარაკა:

— საოცარია, ღმერთმანი, სხვა დროს ისე იღლება, პარკში გასეირნებაც არ გსურს, დღეს კი...

— დღესა, ჩემო ქეთო, ამათმა ახალგაზრდულმა ცეცხლმა მეც შემინთო, არხეინათა ვარ, მაშ! ეგრეა, როცა გიხარია, დაღლა ვერაფერს დაგაკლებს... ეს ქვეყანა ასეა...

იმ ზაფხულს მერე, ეგრე სალაპარაკოდ აღარც შემხვედრია ბატონი სოსო. ავადმყოფობა მოეძალა, დასასვენებლად კი არადა, ქუჩაშიც აღარ გამოდიოდა.

ბატონ სოსო გრიშაშვილთან დაკავშირებით, მინდა

„ბაში-აჩუკის“ იშვიათი გამოცემის შესახებ ერთი ამბავი გავიხსენო, რომელზედაც საუბარს ცოტა შორიდან დავიწყებ...

პაპაჩემი — სოსო კანდელაკი თავის დროზე სახელგანთქმული მონადირე იყო. მას ხშირად იწვევდნენ დღეობებზე, ნათლობაზე, ქორწილში, სადაც ლხინის შემდეგ მეორე დღეს იმართებოდა საჩვენებელი ნადირობა, თავისებური შეჯიბრი სახელმოხვეჭილ მონადირეთა შორის.

და აი, ერთ-ერთი ასეთი ნადირობის დროს სამეგრელოში თავად ჩიჩუას დაბადების დღისადმი მოწყობილ შეჯიბრში, პაპაჩემს პირველობა არავისთვის დაუთმია და მასპინძელს გამარჯვებულისთვის თეთრ ჩოხასა, ვერცხლის ქამარ-ხანჯალთან და საუცხოო თოფთან ერთად, მიურთმევია იმ ხანად ქალაქ ქუთაისში, ღამბაშიძის სტამბაში დაბეჭდილი აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკის“ მინიატურული გამოცემა.

წიგნაკი გამოცემულია 1900 წელს, ჩასმულია შავი ტყავის ყდაში, ზომით 8X10 სმ-ია.

პაპას მამაჩემისთვის — არჩილ კანდელაკისთვის უსახსოვრია ეს წიგნი, როცა იგი ჩაირიცხა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში (გიმნაზია ახლანდელ სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში იყო), მამამ კი მე მაჩუქა, როცა დავამთავრე დედაქალაქის მესამე საცდელ-საჩვენებელი საშუალო სკოლა.

ასე გახდა ეს ისტორიული და უნიკალური წიგნი, ჩვენი ოჯახის რელიკვია. საინტერესოა ისიც, რომ ჩემი „ბაში-აჩუკი“ № 1 წიგნაკია.

ბატონ სოსო გრიშაშვილისგან შევიტყვე, რომ ეს

წიგნი გამოიცა ღამბაშიძის სტამბაში, სასაჩუქრო სერიით — სულ ხუთი ცალი, აკაკის დაბადების სამოცი წლისთავის აღსანიშნავად.

— „ბაში-აჩუკი“ აკაკიმ 1896 წელს დაასრულა,— თქვა ბატონმა სოსომ,— და ამდენად ეს წიგნი ერთ-ერთი პირველი გამოცემაა ამ ისტორიული მოთხრობისა. ერთი ცალი მე მაქვს, ერთი შენა გქონია და დასანანია, რომ დანარჩენი სამი ცალის ბედი გაურკვეველია... ნუთუ დაიკარგა დანარჩენი სამი წიგნი აკაკის „ბაში-აჩუკისა“, რომელიც 1900 წელს ღამბაშიძის მიერ არის გამოცემული?— წუხდა წიგნების დიდი დამფასებელი და მრავალი ძვირფასი და იშვიათი გამოცემის შემგროვებელი, რასაც სახელოვანმა პოეტმა მთელი სიცოცხლე შესწირა.

1965 წლის აგვისტოში თბილისმა თავისი მეხოტბე და ტრუბადური უკანასკნელ გზაზე გააცილა მთაწმინდის პანთეონისკენ.

რაც შეეხება მარიჯანის ნაჩუქარ წიგნს...

ის წარწერა აღარ გავასწორებინე ქალბატონ მარიჯანს და დამრჩა 1957 წლის 11 იანვარს ნაჩუქარი წიგნი — პირველი იანვრით დათარიღებული.

1984

ილია სიხარულიძე

ბატონი ილია სიხარულიძე 1950 წლის ივნისში გავიცანი, ჟურნალ „პიონერის“ რედაქციაში.

სულ ორი თვის უკან, აპრილის ნომერში, ჩემი პირველი მოთხრობა დაიბეჭდა. მაშინ რედაქტორი ბატონი გიორგი კაჭახიძე იყო. მე სოხუმში ვცხოვრობდი და იქ შომწერა, თბილისში თუ იქნები, რედაქციაში გამოიარეო.

რა გამაჩერებდა, ასეთი ყურადღებით რომ არ მესარგებლა, ჩამოვედი თბილისში და მადლობის სათქმელად წავედი რედაქციაში. მაშინ რედაქცია „კომუნისტის“ შენობაში იყო, პირველ სართულზე, მარცხენა შესასვლელში.

მივედი რედაქციაში, გავიცანი ბატონი გიორგი, ჟურნალის პასუხისმგებელი მდივანი — ბატონი ვლადიმერ თორდუა, მხატვარი — გიორგი როინიშვილი და ლიტმუშაკი — ბაბულია შელია.

ბატონმა გიორგიმ მთხოვა, წასვლას რომ დააპირებ სოხუმში, მნახე, ერთ კაცთან რაღაცას გაგატანო.

მეც მივედი ისევ რედაქციაში მეორე დღეს. კაჭახიძესთან სანდომიანი სახის კაცი იჯდა, ცისფერთვალება, ხელში ჟურნალები — „დილა“ და „პიონერი“ ეჭირა და მუხლზეც რამდენიმე წიგნი ეწყო. ბატონმა გიორგიმ წარმადგინა,— ეს ჩვენი ახალი ავტორია, სოხუმში ცხოვრობსო, ეს კი — ჩვენი ბავშვების საყვარელი პოეტი და მწერალი — ილია სიხარულიძე არისო, მითხრა.

მე მაშინვე წამოვდექი, საშინლად ავღელდი, თავი კი დავუკარი, მაგრამ ხელის ჩამორთმევა ვერ გავბედე.

ეს გასაგებიც არის. ცოცხალი ილია სიხარულიძე ვიხილე, რომლის ლექსებზეც გავიზარდე, მთელი ჩემი თაობა გაიზარდა, ჩემს შვილსაც ვუკითხავდი უკვე მის ლექსებს და ახლაც, ხომ ამდენი ხანი გავიდა, ყინულის ლოლუებს რომ დავინახავ, არ შემიძლია არ წამოვიძახო:

— ვიშ, გენაცვათ! ეს რა არის?
შეხეთ სახურავის კიდეს!
ამოდენა ჩურჩხელები,
ნეტავ წუხელ ჩამოჰკიდეს?!

ან რომელ ჩვენთაგანს არ მოჰგონებია მოჩხუბარი მამლების დანახვაზე, ბატონ ილიას ცნობილი ლექსის სტრიქონები:

ძიძგი, ძიძგი, მამალა,
შენ იცი და მაგანა —
შეხტი, ჩაუნისკარტე,
რომ გაქებდნენ ყველგანა!

ბატონმა ილიამ შემატყო აღელვება და სულ უბრალოდ გამომელაპარაკა. მკითხა სოხუმის ამბები, ზღვა გაიხსენა და გიორგის უთხრა — ზღვაზე უნდა დავწერო ლექსი, ხალისიანი, ბავშვების თვალით ნანახს რომ შეედრება.

— დაწერე, დაწერე და მომიტანე. ზღვაზეც დაწერე და სხვა რამეზეც. კი არ დაგავიწყდეს, აქ მოიტანე. რა ხანია არაფერი დაგვიბეჭდია ზღვაზე,— თქვა გიორგიმ, და თითქოს წაახალისაო ამით, ბატონ ილიას სახე გაებადრა და უცებ წამოდგა, წავალო,— მოიცა, კაცო, იჯექი, ვილაპარაკოთ,— წამოდგა გიორგიც.

— გადადებული საქმე ეშმაკისაა,— თქვა ილიამ,—

ახლა ვარ ლექსის წერის გუნებაზე, ზღვა დამიდგა თვალწინ, რომ ვილაპარაკოთ სხვა რამეზე, რა ვიცი ამ თავში რა ფიქრი წამოიშლება,— აღარ დარჩა ილია და წავიდა, ჟურნალებითა და წიგნებით დატვირთული.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ისევ ჩამოვედი თბილისში და ვერის აღმართზე, ხიდთან, ბატონი ილია შემხვდა.

როგორ გამეხარდა, რომ მიცნო.

ღიმილით მომესალმა, მომიკითხა, როგორა ხარ, რასა წერო და ბოლოს სოხუმის ამბავი მკითხა:

— ხომ მშვიდობაა! როგორ არიან იქაური მწერლები, ჩვენი ძმები?

— სოხუმში დიდი მშენებლობაა, ტყე-პარკი შენდება, თეატრი, ბევრი ახალი სახლი... მწერლები მუშაობენ, ახალ ნაწარმოებებს ქმნიან... თვითონ ხომ კარგად ბრძანდებით, ბატონო ილია?

— რა მიშავს, აი, გამომცემლობაში წიგნი მივიტანე, ახლა „დილაში“ ლექსი მიმაქვს. ვმუშაობ, ვხლაფორთობ, მაშასადამე, ვცოცხლობ!

1953 წელს მეუღლე თბილისში გადმოიყვანეს სამუშაოდ, მე და ჩემი გოგონა კი ისევ სოხუმში დავრჩით უბინაობის გამო, თუმცა თბილისში ახლა უფრო ხშირად ჩამოვდიოდი და რედაქციებში და მწერალთა კავშირშიც უფრო ხშირად მიხდებოდა ყოფნა. 1954 წელს კი სულ გადმოვედი თბილისში.

მახსოვს, მწერალთა კავშირის ბიბლიოთეკაში შემხვდა ბატონი ილია, ძველი ნაცნობივით მომეგება.

— ო, ნანა-ქალო, როგორ ხარ? რა ამბავია სოხუმში?

— ბატონო ილია, მე უკვე ერთი წელია წამოვედი

სოხუმიდან, ამიტომ ნაკლებად ვიცი, რა ხდება იქ ლიტერატურულ ცხოვრებაში.

— დათმე ზღვა...

— იქ დროებით ვიყავით, მეუღლე მუშაობდა, თბილისელი ვარ, ბატონო.

ილიამ თავი დამიქნია და გამეცალა.

გავიდა ხანი და მე და ბატონი ილია ისევ შევხვდით ჩვენს ბიბლიოთეკაში.

— ნანა-ქალო, როგორ ხარ, რას წერ, რა ამბავია სოხუმში?— მკითხა დაინტერესებით ილიამ.

მე ავიწურე და ღიმილით ვუთხარი:

— კარგად ვარ, ბატონო ილია, სოხუმის ამბავი კი... წამოვედი იქიდან, რასაც გაზეთებში წერენ, ის ვიცი...

ილიამ ხელი აღმართა და გაეცინა.

— ჰო, ჰო, აკი მითხარი, რომ წამოხვედი სოხუმიდან, უცებ დამავიწყდა,— ხელი ჩაიქნია ისევ სიცილით და ჟურნალში ჩარგო თავი.

ერთხელაც მწერალთა კავშირში ვიყავი, შინ წამოსვლისას, მცირე ხნით შევჩერდი გასასვლელ კართან, განცხადებებს და აფიშას შევავლე თვალი. უცებ სადარბაზო კარი გაიღო და შემოვიდა ბატონი ილია.

— ო, ნანას სალამი, გამარჯობა. შენი პირველი წიგნი ვნახე და „ნიანგშიც“ წავიკითხე იუმორი. ყოჩაღ, იმუშავე, ბევრი იკითხე, ისე წინ ვერ წახვალ... ჰა, სოხუმში რა ამბავია?— ხალისიანად მკითხა.

მე ღიმილით მივაჩერდი და გავისუსე. ილიამ წარბი შეიკრა და თავისთავზე გაბრაზებულმა წამოიძახა:

— რა მემართება, კაცო, შენ ხომ წამოხვედი სო-

ხუმიდან, აკი მითხარი, მე კი ისევ და ისევ სოხუმის ამბავს გეკითხები...

ამ დროს სადარბაზოში ჩქარი ნაბიჯით შემოვიდა ირ ოდიონ ქავჟარაძე და აფორიაქებულმა მომმართა:

— სოხუმიდან მწერლები უნდა ჩამოსულიყვნენ, ხომ არ იცი, მოვიდნენ უკვე?

ბატონი ილია უცნაურად აიფაფრა, წამოწითლდა და უკვე კიბეზე მიმავალ ირ ოდიონს აღელვებულმა დაადევნა:

— ამ ქალს რას ეკითხები, არ იცი, რომ კაი ხანია წამოსულია სოხუმიდან?

ბატონი ირ ოდიონი ისე ჩქარობდა, ვერც გაიგო დ არც მიუქცევია ყურადღება ილიას საყვედურისთვის, სწრაფად აიარა კიბე და ჰოლში მიიმალა.

ილიამ შემომხედა და მოულოდნელად გულიანად გაეცინა,— ამ კაცს რას ვერჩი, მეც ხომ ყოველ შეხვედრაზე სოხუმზე გეკითხები, წავალ და მოვუბოდიშებ, არ ეწყინოს, ვგონებ, ნამეტანი ხმამაღლა ვუთხარი სიტყვა. ირ ოდიონი კარგი კაციაო. მე დამშვიდობებას ვაპირებდი, ისევ მომიბრუნდა და გულისხმიერად მკითხა:

— რაღაცა ვერ ვხვდები შენს გვარს „დილაში“ და „პიონერში“, თავი შიანებე ბავშვებისათვის წერას?

— ჰო, თითქმის აღარ ვწერ.

— თითქმის რას ნიშნავს, ხომ იცი? მაშასადამე კი წერ, მაგრამ... შენა ბგონია, მე კი სულ მეფერებიან? მაგრამ ჩემი ცხოვრების მიზანი ესაა; ვწერო ბავშვებისათვის, მათ ვემსახურო და ამაზე, სიკვდილის მეტი, სხვა ვერაფერი ამაღებინებს ხელს. ყურადღება და სითბო ყველას სჭირდება, შემოქმედს მით უფრო. შენ

იმუშავე, წერე... დამიჯერე და გწამდეს: სანთელ-საკმეველი თავის გზას იპოვის...

ბატონ ილია სიხარულიძის სანთელ-საკმეველმა, მისმა შემოქმედებამ დიდი ხანია იპოვა თავისი გზა პატარა მკითხველების გულში და მჯერა,— მას დიდი ხნის სიცოცხლე უწერია.

1979

დიდი მსახიობი

ვასო გოძიაშვილი თამარ ჭავჭავაძემ გააცნო ჩვენს ოჯახს.

ეს ის დრო იყო, „მარგარიტა გოტიე"-ში მონაწილეობისათვის მეორე შემადგენლობა რომ ემზადებოდა. თამარი და ვასო პარტნიორები იყვნენ, ერთი — მარგარიტას როლს ამზადებდა, მეორე — არმანისას. და აი, ერთხელ, გვიან ღამით, პირდაპირ რეპეტიციიდან, თამარმა ჩვენსას მოიყვანა ვასო.

ჩემი მშობლები თამარ ჭავჭავაძეს ჯერ კიდევ ხარკოვიდან იცნობდნენ, სტუდენტობის წლებიდან, მეგობრობა არც თბილისში ჩამოსულებს გაუწყვეტიათ. თამარი ხშირი სტუმარი იყო ჩვენი, ამიტომ არავის გაჰკვირვებია, ვასო რომ მოიყვანა წინასწარ გაუფრთხილებლად.

მას შემდეგ ბატონი ვასო ყოველთვის მესალმებოდა ქუჩაში შეხვედრისას.

1968 წელს, ზაფხულში, ქობულეთში ვისვენებდი.

ერთხელაც ხმა დაირხა,— ვასო გოძიაშვილი ჩამოვიდა ჩვენს სანატორიუმში, ცოლთან ერთადო.

იმავე საღამოს, სასადილოდან რომ გამოვდიოდით, ბატონ ვასოს და ქალბატონ ევგენიას შევხვდით. ჩემი მეუღლე ორივეს კარგად იცნობდა და კიდეც წარმადგინა ჩემს ქალიშვილთან ერთად.

ვასოს გაეღიმა:

— შენს ქალიშვილს სიამოვნებით გავიცნობ, შენს ცოლს კი შენზე უწინ ვიცნობდი, ჯერ კიდევ ნაწნავიანი გოგო რომ იყო. ასე არ არის?— ხელი ჩამომართვა და უცებ ყურთან ჩამილაპარაკა:— კი არ გამცე და, შენი სახელი დამავიწყდა, ჩუმად შემახსენე.

ქალბატონ ევგენიას გაეცინა და ღიმილნარევი საყვედურით უთხრა:

— სახელი თუ არ იცი, მაგის ქმართან თავი რაღას გამოიდე, შენზე უწინ ვიცნობდიო?

— ვიცნობდი, ვიცნობდი, ვიცნობდი, სწორედ რომ მაგაზე უწინ ვიცნობდი...— ლუარსაბ თათქარიძის ხმით დაიჟინა ვასომ და ჩვენთან ერთად თვითონაც სიცილით ბჟირდებოდა.— აი, ასეთი დაჩაგრული ვარ, სულ კრიჭაში მიდგას ეს ქალი.— ქალბატონ ევგენიაზე გვანიშნა.

ძალიან დავმეგობრდით. დღისით პლაჟზე ვირთობდით თავს, თუმცა ვერც ზღვაში ჩავიყვანეთ, ვერც ნავში ჩავსვით.

— თავი გამანებეთ, ზღვა და ნავი არ გამაგონოთ. ლამის უფეხო დავრჩი ე მაგ ვერანას გამო.

ბატონი ვასო გემით ვიღაცას აცილებდა თურმე, გამომშვიდობება გაუჭიანურდათ, ამასობაში ღუზა აუწე-

ვიათ, რა თქმა უნდა, ტრაპიც და ვიღაცას უყვირია,— არიქა, გემი ნაპირს მოწყდაო, მოაჯირზე ასულა ბატონი ვასო და ნავსადგომის მოედანზე ჩამომხტარა, ეს მოხდა ვგონებ 1950 თუ 51 წელს. ის შემთხვევა ჰქონდა მხედველობაში და ახლა ზღვისპირას მხოლოდ ქოლგის ქვეშ ჯდომას ჯერდებოდა, ახლოს არ ეკარებოდა ზღვას.

საღამოობით ვსეირნობდით ფიქვნარში.

ვახშმის შემდეგ კი დამსვენებლების უმრავლესობა ყოველთვის მასთან ახლო გროვდებოდნენ. წამოიჭრებოდა ხოლმე ლაპარაკი საინტერესო თემაზე. ძალიან გვიყვარდა ბატონ შალვა ამირანაშვილის საუბრის მოსმენა. მერე ნელ-ნელა ინიციატივას ბატონი ვასო აიღებდა ხელში. ხან რას გაიხსენებდა თეატრის ცხოვრებიდან, ხან რას, უფრო კი სასაცილო თავგადასავალს გვიყვებოდა მსახიობებზე, თავის თავზე... ბოლოს კი იმპროვიზებული საესტრადო გამოსვლით ამთავრებდა, ხშირად ქალბატონ ევგენიას აკორდეონის აკომპანიმენტის თანხლებით.

ერთხელ კინო-მექანიკოსმა კიდევაც უსაყვედურა მორიდებით:

— მაყურებლები სულ ამაცილეთ, ბატონო ვასო, ზარალში ვარ, იქნებ თქვენი კონცერტები დღისით გაგემართათ...

ვასო თავმომწონედ პასუხობდა:

— თუ ბიჭი ხარ, გამიწიე კონკურენცია. ისეთი ფილმები მოიტანე, შვილოსა, ამ ხალხთან ერთად მეც შენთან გამოვრბოდე.

ქალბატონი ევგენია წუხდა:

— აქ დასასვენებლად ჩამოვიდა ეგ კაცი და არ ვიცი, რასა ფიქრობს... გაგონილა, ამდენ ენერგიას რომ ფანტავს? აქედან ხომ „დიდოსტატის“ გადაღებაზე უნდა წავიდეს. ძალიან რთული როლი აქვს შესასრულებელი — მელქისედეკ კათალიკოსისა...

ქობულეთში იმ ზაფხულს გაზეთ „ქუთაისის“ რედაქტორი — გივი მეფისაშვილი ისვენებდა ოჯახთან ერთად. იმის იდეა იყო — სამახსოვროდ გადაგვეღო სურათი. მაგრამ ბატონ ვასოს სულ არ ჰქონდა მოცლა, დაუსრულებლად ფაცი-ფუცში იყო — ვიღაცას ხვდებოდა, ვიღაცას აცილებდა, ან კამათობდა თანამედროვე თეატრის პრობლემებზე, ქართული დრამატურგიის საკითხებზე. ისე ნუ მომკლა, თანამედროვე ქართულ პიესაში ერთი გემრიელი როლის შესრულება არ მეღირსოსო...

სამწუხაროდ, ეს ნატვრა, განუხორციელებელი დარჩა დიდ მსახიობს.

ერთხელაც, საღილზე წასასვლელად რომ ვემზადებოდით და ჩვეულებისამებრ დიდი ფიჭვის ქვეშ ვიყავით თავმოყრილნი, ვასომ ფოტოგრაფს მოკრა თვალი და იყვირა:

— აბა, თუ მართლა გინდათ სურათის გადაღება, ახლა გადავიღოთ!

ბატონმა ვასომ დაიჩემა — ზღვისპირას გადავიღოთო, შალვა ამირანაშვილმა უარი განაცხადა, — ამ სიცხეში იქ რა წამიყვანსო, მას კიდევ რამდენიმე მიემხრო. საბოლოოდ მსურველები ცოტანი დავრჩით. მაგრამ ვასომ იხტიბარი არ გაიტეხა, თავმომწონედ თქვა, — რაც არის, ეს არისო და ზღვისკენ გაგვიძღვა:

სურათზე არიან: ბოგდანოვი — კონსერვატორიის დოცენტი, აკადემიკოსი ლევან გოკიელი, ვასო გოძიაშვილი, ევგენია გოძიაშვილი, რაჟო იმნაძე, ნანა კანდელაკი, გივი მეფისაშვილი (სურათზე კიდევ ორი დამსვენებელია, რომელთა გვარებიც, სამწუხაროდ, აღარ მახსოვს).

მე და გივი ფოტო-სურათებს რომ ვიხსნიდით, თავზე დუდე გედენიძე წამოგვადგა — ჟურნალისტი ქუთაისიდან. ვასო რომ ნახა სურათზე, წამოიძახა:

— ამ კაცთან უნდა ვიქეიფოთ დღეს! ეს არის ჩამოვედი ოჯახით ქუთაისიდან და კარგი პურმარილი ჩამოვიტანე. მთავარია, ბატონი ვასო დავითანხმოთ წამოსვლაზე.

მე და გივიმ მორიდებით გადავეცით ბატონ ვასოს დუდეს შემოთავაზებული წინადადება.

— ვახ, მე თქვენ ვინა გგონივართ, ჰაა? როგორ, ქუთაისურ პურმარილზე უარს ვიტყვი? აბა, ჟენია, წამოიღე შენი არღანი და გავსწიოთ, საცა ეს ხალხი წაგვიყვანს.

იმ დღეს, იქვე ახლოს, რესტორანში, ვისადილეთ. დიდებული სუფრა გაიშალა. თამადად ბატონი ვასო ავირჩიეთ.

თავიდან ჯერ მხოლოდ ტრადიციული სადღეგრძელოები შემოგვთავაზა. მერმე თანდათან ეშხში შევიდა და სიმღერაც წამოიწყო. მთელი სუფრა ავყევით და გემრიელადაც დავაგუგუნეთ სუფრული სიმღერები. ბატონმა ვასომ შიგადაშიგ საესტრადო ნომრებიც ჩაურთო და უნდა გენახათ,— ან ვინ ჭამდა იმ რესტორანში, ან ხმას ვინ იღებდა. მოხიბლული დამსწრენი, სულგა-

ნაბულნი მისჩერებოდნენ სახელოვანი მსახიობის ძალდაუტანებელ, მართლაც შეუდარებელ შემოქმედებასთან ასე ექსპრომტად შეხვედრას.

რომ მოსაღამოვდა, წამოვიშალეთ და ჩვენი სანატორიუმისკენ გამოვსწიეთ. შესანიშნავი საღამო იყო, ზღვაც მშვიდი და საოცარი ფერის.

ზღვის პირს მივაშურეთ, ნაპირზე ჩამოვსხედით.

კაცები ზღვაში ჩავიდნენ.

ქალბატონმა ევგენიამაც გასცურა, ბატონ ვასოს ხელი დაუქნია და შესძახა:

— გოძიაშვილი!— Тряхни старинoй, иди в море!

ვასოს გაეღიმა:

— გესმის? ბებერს მეძახის...— მერე ჩაფიქრებულმა დინჯად ჩაილაპარაკა:— ბარე ოცი წლით უფროსი ვარ, მა რას იტყვის... ძალიან კი მივლის, ჯიგრიანი ქალია. ჩემს პოხონდრიებს გაძლება არ უნდა?.. მეც ვანებივრებ, რაც შემიძლია. მაგისი დასამარხი ვარ...

1973 წელს, გაზაფხულზე ხმა გავარდა და მთელ ქალაქს მოედო ევგენია აგაბეკოვა-გოძიაშვილის გარდაცვალების ამბავი. ქალბატონი ევგენია საქართველოს ფილარმონიის აკომპანიატორი იყო. საოცრად გრძნობდა მელოდიას და საუცხოო პარტნიორობას უწევდა ჩვენი ესტრადის სახელოვან მომღერლებს. მისი სიკვდილი შუსიკის ყველა მოყვარულმა და თაყვანისმცემელმა გულთან მიიტანა.

პანაშვიდზე რომ მივედი, ბატონმა ვასომ გულაჩუყებულმა მომატირა:

— გახსოვს, გითხარი, მაგის დასამარხი ვარ-მეთქი

და ეგე, რა მოხდა... ჩემი სატირელი გახდა, ეს უბედური....

სულ ცოტა ხნის შემდეგ თეატრთან შემხვდა. ძალიან დაღვრემილი იყო, შესამჩნევად კოჭლობდა და ძველებური სიკოხტავე აღარ ეტყობოდა. გული დამეწვა, არ ვაგრძნობინე და ალერსით ვკითხე:

— ხომ კარგად ბრძანდებით, ბატონო ვოსო?

ვასომ ხელი ჩაიქნია.

— თავს ვიტყუებ, დრო გამაქვს, ვხლაფორთობ თეატრში... შინ მისვლა შემსარდა... ეცოცხლა, იმ დალოცვილს, ჩემი გულისთვის ეცოცხლა, რა იქნებოდა...— ჯავრიანად დაიბუბუნა, ცრემლი მოერია, უცებ გამშორდა, რაღაც მანქანა გააჩერა და წავიდა.

მოგვიანებით გავიგე, ლოგინად ჩავარდა, ავადმყოფობსო. ისიც მითხრეს, უიმედო მდგომარეობა აქვსო.

ყველას გული შესტკიოდა, ენანებოდათ საყვარელი მსახიობი..

მაინც რა იყო, სამოცდათექვსმეტის იანვრის მიწურულში, სადაც არ უნდა მისულიყავი, სულ ვასო გოძიაშვილზე იყო ლაპარაკი,— იგონებდნენ მის საინტერესო თეატრალურ გზას, წარუშლელ კვალს ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში.

მაგრამ ის, რაც მის გასვენებაზე ვიხილე 1976 წლის 3 თებერვალს, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

თეატრის მომიჯნავე მარჯანიშვილის, კამოს ქუჩები და ელბაქიძის ხიდის ზისასვლელი ხალხით იყო სავსე. თეატრი გაჭედილი იყო ბატონი ვასოს თაყვანისმცემლებითა და მისი ხელოვნების დამფასებლებით.

ბევრი წერილი დაიბეჭდა გაზეთებში, ბევრი გამო-

სამშვიდობებილი სიტყვა ითქვა, მაგრამ ვერიკო ანჯაფარიძის ნათქვამს ვერაფერი შეედრებოდა. ეს იყო გულის სიღრმიდან ამოხეთქილი გოდება და დატირება, დიდი მსახიობის, მეგობრის და თანამებრძოლის დაკარგვის მწუხარებით გამოწვეული.

სამ საათზე ვასო გოძიაშვილი თეატრიდან გამოასვენეს და პროცესია დიდუბის პანთეონისკენ გაემართა.

წავიდა ქართული თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთი ბერმუხა, უზადო ტალანტი...

რა კარგია, რომ შთამომავლობას დარჩა მისი მონაწილეობით კინო-ფილმები და მრავალი ჩანაწერი რადიოში.

და მაინც, ვასო გოძიაშვილი პირადად უნდა გენახათ, ცოცხალი. მასთან ყოველი შეხვედრა წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა მნახველზე, მსმენელზე. მან განუმეორებელი სახეები შექმნა სცენაზე პიესებში: „ცხვრის წყარო“, „მარგარიტა გოტიე“, „ცეკვის მასწავლებელი“, „ფიგაროს ქორწინება“, „მზის დაბნელება საქართველოში“, „მადამ სან-ჟენ“, „რევიზორი“, „კაცია-ადამიანი?!“, „რიჩარდ მესამე“, (მაგრამ რა გულდასაწყვეტია, რომ შთამომავლობას არ დარჩა ფირზე გადაღებული ეს სპექტაკლები), „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, „ძველი ვოდევილები“... რა ჩამოთვლის ყველას, რა ჩამოთვლის...

ამიტომ იყო, ასე დიდი ზარით რომ დაიტირა ქართველმა ხალხმა თავის წიაღში გამოზრდილი, ჭეშმარიტად სახალხო არტისტი — ვასო გოძიაშვილი.

3.2.76

სანდრო კავსაძე

1924 წელს მამაჩემი ხაშურიდან შორაპანში გადაიყვანეს სამუშაოდ.

მამა ექიმი იყო, ამასთან ერთად კარგად უკრავდა გიტარაზე, მანდოლინაზე და მშვენივრადაც მღეროდა. პურმარილიანი კაცი იყო და იმ დროს შორაპანში, ზესტაფონში, ჭიათურაში, და საჩხერეში მცხოვრებ ინტელიგენციის წარმომადგენლებს ძალიან უყვარდათ ჩვენს ოჯახში თავმოყრა.

ჩემი მშობლების ხმაშეწყობილ სიმღერას აკვნიდან ვიყავი შეჩვეული, მაგრამ ერთხელ პატარა გოგონა საოცარმა სიმღერამ გამომაღვიძა, მომაჯადოვებელ ხმათა ტრიოს, თურმე ჩემთან ერთად მთელი სახლის მცხოვრებლებიც უსმენდნენ.

მღეროდნენ — სანდრო, გიგუშა და დათაშკა კავსაძეები.

ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა მათთან და ეტყობა, პირველი დიდი შთაბეჭდილებაც, რადგან მეხსიერებაში ჩამრჩა ის საღამო და მომყვება დღემდე.

იმ საღამოს შემდეგ კავსაძეები ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმრები გახდნენ, განსაკუთრებით კი — სანდრო (ორივე კასპის რაიონიდან იყო წარმოშობით — სანდრო ხოვლედან, მამა — კავთისხევიდან) და მიუხედავად იმისა, რომ მამაჩემსა და სანდროს შორის დიდი ასაკობრივი სხვაობა იყო, მათ გულითადი მეგობრობა ჰქონდათ მთელ შემდგომ წლებში.

სანდრო კავსაძე მაშინ ჭიათურაში ცხოვრობდა და ქართული ხალხური სიმღერების გუნდს ხელმძღვანე-

ლობდა. იგი დიდი გულისყურით კრებდა, სწავლობდა მივიწყებულ ხალხურ სიმღერებს და მერე საზოგადოებას აცნობდა მათ.

სანდრო კავსაძის დიდი დამსახურებაა ისეთი ტალანტის გამომზეურება, როგორიც იყო შემდეგ სახელგანთქმული მომღერალი — დავით გამრეკელი. მანვე შეუწყო ხელი ხალხური სიმღერის მრავალი შემსრულებლის და გუნდების ჩამოყალიბებას.

სანდროს დიდი შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებდა მარო და ეკატერინე თარხნიშვილებთან, ლადო კავსაძესთან, კიწი გეგეჭკორთან, ხელს უწყობდა რათა ჭიათურის, ზესტაფონის და შორაპნის საზოგადოება გაცნობოდა მათ ხელოვნებას.

სანდრო კავსაძეს ძალიან უყვარდა სიმღერა. სიმღერა იყო მისი ტრფიალი, მისი ცხოვრების მიზანი და კიდევაც ითვლებოდა მრავალი ქართული ხალხური სიმღერის შესანიშნავ შემსრულებლად და პოპულარიზატორად. განსაკუთრებით მაინც ქართლ-კახური სიმღერებისა, როგორიცაა: „ურმული“, „დაიგვიანეს“, „მეტიური“, „ბერი კაცი ვარ“, „ზამთარი“, „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“, „წინ წყარო“, „ჩავუსტეთ და ჩავუხტეთ, ბარათაშვილსა“, „გახსოვს, ტურფავ“. რომანსები: „მხოლოდ შენ ერთს“, „ია, ვარდი და ზამბახი“, „მე ვნახე სიზმარი“, „ქალო გნახე ფეხშიშველი“ და სხვა.

1930 წელს ჩვენი ოჯახი საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა.

როგორც იტყვიან, ჩამოსვლა და მოწყობა ვერ მოვასწარით, რომ ერთ მშვენიერ დღეს კავსაძეები თავს დაგვადგნენ. რა თქმა უნდა, მაშინვე გაიშალა სუფრა

და გიყვარდეს, აგუგუნდა გულშიჩამწვდომი ქართული სიმღერები.

კავსაძეებთან ერთად ჩემი მშობლებიც მღეროდნენ: „ბერი კაცი ვარ“.

სანდრო საოცარი აღმაფრენით მღეროდა.

მოულოდნელად, სიმღერა რომ დასრულდა, ქუჩიდან შეძახილები და ტაში მოგვესმა.

ყველანი აივანზე გავცვივდით და რასა ვხედავთ: ამოს ქუჩა (ახლანდელი შეროზიას ქუჩა) ჩვენი სახლის წინ, ხალხითაა სავსე.

— შენ გაიხარე, სანდრო კავსაძე, ბარაქალა!— შესძახა ვიღაცამ (და ისევ ტაშმა იქუხა.

სანდრო აღელვებული იდგა, გაოგნებული. უცებ გონს მოეგო, მამაჩემს და ჩვენ ხელი გადაგვხვია და ისევ „ბერი კაცი ვარ“ წამოიწყო.

ყველა სუნთქვაშეკრული იხედებოდა ზემოთ და სულგანაბულნი უსმენდნენ გულშიჩამწვდომ სიმღერას.

სანდროს გალობა ბევრჯერ მსმენია, მაგრამ ასეთი აღმაფრენით სხვა დროს ვგონებ აღარც უმღერია მას.

1937 წლის დეკადისათვის რომ ემზადებოდა ჩვენი რესპუბლიკა, რომელიც მოსკოვში უნდა ჩატარებულიყო, სანდრო კავსაძე ხელმძღვანელობდა აღმოსავლეთ საქართველოს ხალხური სიმღერების გუნდს, დასავლეთ საქართველოს სიმღერების გუნდს კი — კირილე პაჭკორია. ორივე გუნდი გულმოდგინედ მეცადინეობდა. და არათუ თბილისი, მთელი საქართველო მოუთმენლად მოელოდა დეკადაზე წასვლის წინ გენერალურ რეპეტიციას.

დადგა ეს დღეც...

სანდრომ ბილეთები მოგვიტანა, მიგვიწვია იმ საღამოზე და მშობლებთან ერთად მეც დავესწარი კონცერტს, მოსკოვში გამგზავრების წინ — რეპეტიციას.

ასე მეგონა, ოპერის თეატრში მთელმა საქართველომ მოიყარა თავი. ნემსი არ ჩაიგდებოდა. ხალხი გასასვლელებშიც იდგა და კიბეებზეც იჯდა.

კონცერტი დიდი აღმავლობით ჩატარდა, ტაშსა და ვაშას შეძახილებს ბოლო არ ჰქონდა.

ეს იყო ქართული ხალხური სიმღერის ნამდვილი ზეიმი.

ყველა კმაყოფილი დარჩა სანდრო კავსაძის და კირილე პაჭკორიას მუშაობით, ბევრი მივიწყებული სიმღერა რომ გააცოცხლეს, აღადგინეს, და რაც მთავარია, შაღალი ოსტატობით შეასრულეს გუნდებმა და ცალკეულმა შემსრულებლებმა.

ამ გუნდებმა მოსკოველი მსმენელების დიდი მოწონება დაიმსახურეს.

იმ დღეებში, ყველა ცენტრალური გაზეთები გამოეხმაურა ჩვენს დეკადას, უამრავი რეცენზიები დაიწერა. ბევრი სიმღერა რადიოთიც იქნა გადმოცემული. ორივე გუნდის ხელმძღვანელები და ბევრი ცალკეული შემსრულებელი დაჯილდოვდა მთავრობის ორდენებითა და მედლებით.

სანდრო კავსაძე მიიწვიეს შინ იოსებ სტალინმა, ისინი დიდი ხნის ნაცნობები იყვნენ. გორის სემინარიაში სწავლისას — სოსო ჯუღაშვილს სანდრო კავსაძე გალობას ასწავლიდა. ამ შეხვედრის სამახსოვროდ სტალინმა ჩიბუხი უსახსოვრა სანდროს.

სანდრო საგანგებოდ გვესტუმრა მოსკოვური შთა-

ბეჭდილებების გასაზიარებლად და სტალინის ნაჩუქარი ჩიბუხიც მოიტანა.

ყმაწვილურმა ცნობისმოყვარეობამ, ეტყობა, მეტისმეტად გამიტაცა და ჩიბუხს დაუკითხავად წავატანე ხელი, ვათვალიერებდი, მაგრამ სანდრომ არ მაცალა, მოურიდებლად ამართვა და მკაცრად მითხრა:

— ფრთხილად, შვილოსა, ე მანდ არ დაგივარდეს და არ გატყდეს. მეორე ასეთი ჩიბუხი არ არსებობს ქვეყანაზე.

სანდრო ამაყობდა ამ რელიკვიით და სათუთად ინახავდა ჩიბუხს ჩაკეტილ უჯრაში.

სანდროს ჭაღარაშერეული, ტალღოვანი თმა ჰქონდა, თავისი ასაკისათვის საკმაოდ ხშირი, და ძალიან შვენოდა, ოდნავ ჩამოგრძელებულ თმას რომ ატარებდა. ერთხელ რომ გვესტუმრა, ჩემმა დამ სანდროს ბაბთით შეუკრა თმა და სარკეში ჩაახედა,— ნახე, როგორ გიხდებაო.

სანდროს თავმომწონედ გაეღიმა:

— თქვენ თუ გინდათ, გოგოებო, ეგრე ვივლი. Чем я не красавец князь Потемкин?

— მართლა პოტიომკინს ჰგავხარ, სანდრო ძია, აი, სურათებში რომ მინახავს,— ვუთხარი,— დიახაც, რომ კრასავეცი ხარ!

— ეეჰ, ჩემი კრასავიცობისა რაღა შემრჩა, მაგრამ დრო იყო, შვილოსა, ფეხით ვერ დავდიოდი ჩვენი კნიაჟნების ქათინაურებით დამორცხვებული და გალავინსკზე ეტლით დავსეირნობდი. ისინი კი ყოველ ჩემს დანახვაზე „დუშკა, სანდრიკ, დუშკა“-ს მომაძახებდნენ ხოლმე და კოცნას მიგზავნიდნენ. ეს ჩვენი თავმომწონე

თავადები კი გაბრაზებულები მხვდებოდნენ, თითქოს მე რამე ბრალი მქონოდეს... ეგრე იყო, მაშ!

ამ დროს სანდრო კავსაძე უკვე სამოცდაათს მიტანებული იყო, მაგრამ კვლავინდებურად მშვენიერი და სანდომიანი გარეგნობა ჰქონდა შერჩენილი. განსაკუთრებით უხდებოდა ჩოხა-ახალუხი, მაღალი იყო, ხმელი და ქართული ტანისამოსი შნოსა და ლაზათს ჰმატებდა. ესტრადაზე ხან ღვინისფერ ჩოხაში გამოდიოდა, ხანაც თეთრში, რამდენჯერმე შავ ჩოხაშიც მინახავს.

როგორ ვოცნებობდი, მასთან სურათი გადამეღო, მაშინ ამისათვის აუცილებლად ფოტოგრაფთან იყო საჭირო მისვლა და მომერიდა, ასე რიგად ვერ შევაწუხე. ახლა კი ვნანობ, ნეტავ შემეწუხებინა...

1937 წლის ზაფხულში, სანდროს ყელის ტკივილი დასჩემდა, ხმა გაებზარა, სიმღერა კი არადა, ლაპარაკიც უჭირდა და ახლობლების რჩევით, მოსკოვს წავიდა სამკურნალოდ.

მამაჩემი და დედა საგანგებოდ ჩავიდნენ მოსკოვში და ინახულეს სანდრო კრემლის საავადმყოფოში.

ცუდი ამბავი ჩამოიტანეს: სანდროს ყელის კიბოს დიაგნოზი ჰქონდა ექიმების მიერ დასმული.

მოვიწყინეთ მე და ჩემმა დამ. ძალიან განვიცდიდით სანდროს ავადმყოფობას. მშობლებმა გვითხრეს, სანდრომ არ იცის, რაცა სჭირს და ჩვენც ისე უნდა მოვიქცეთ, რომ გავამხნევოთ და ცოტა გავახალისოთო.

— კი, მაგრამ რანაირად გავამხნევოთ და გავახალისოთ, როცა ის იქ არის, ჩვენ კი აქ?— გავიოცეთ გოგოებმა.

— წერილი მისწერეთ, ამანათი გაუგზავნეთ. ვ^ცი, გაეხარდება,— თქვა მამამ.

მეორე დღესვე მივწერეთ წერილები, ამანათიც გავუგზავნეთ, აქაური ხილი, ჩირი და ჩურჩხელები.

სანდრო, ეტყობა, მართლა გაახარა ჩვენმა წერილებმა და სამშობლოდან მისულმა ამანათმა, ძალიან თბილი პასუხი მოგვწერა და გაიმართა მიწერ-მოწერა. სულ მალე კი შემოგვითვალა, ამ ცოტა ხანში ჩამოვალო (ჩემს არქივში ინახება სანდრო კავსაძის ოთხი წერილი, რომელსაც სათუთად ვინახავ).

მამაჩემმა თქვა:— ალბათ, არც ეჭვობს, რაცა სჭირს და მით უკეთესი, მხნედ იქნება და ავადმყოფობა ეგრე რიგად ვერ დაჩაგრავსო და გვთხოვა, მისწერეთ ზოგი თქვენი ამბავი, სწავლისა და გართობისა,. კინოსა და თეატრზეც მისწერეთ, ეგ კაცი მაგითა ცოცხლობსო.

ექიმებმა დაარწმუნეს სანდრო, ჩიყვი გაქვს, ოპერაციას გაგიკეთებთ და მორჩებიო.

სანდრო გამხნევებულა, დათანხმდა ოპერაციაზე, მაგრამ შედეგმა გაუმჯობესება რომ არ მოუტანა, გამოკეთების იმედი დაუკარგავს, რაც არ დაუმალავს, წერილშიც მოგვწერა: „წინ ყელში რაღაც ტრუბკა ჩამიდგეს და ეგრე თუ წავა ჩემი წუთისოფელი, დავიღუპე და ეს არის“-ო.

1939 წლის გაზაფხულზე გიგუშამ და დათაშკამ სანდრო თბილისში ჩამოიყვანეს მძიმე მდგომარეობაში.

მაშინ ჯერ კიდევ შინ იწვა სანდრო და მამას ძალიან ვთხოვე, წავეყვანე ,სანახავად.

მწოლარე დაგვიხვდა. საგრძნობლად გამხდარი და

გატეხილი, მაგრამ ჯერ ისევ სასიამოვნო გარეგნობისა და მშვენიერი პირისახისა.

რომ დაგვინახა, ცრემლი მოერია. ჩემს ნაწნავს დასწვდა, მომეფერა. მერე უცებ გადაწვა ბალიშზე და თვალი დახუჭა.

მე ჩავიმუხლე სანდროს საწოლის წინ და ხელზე ვაკოცე.

სანდრომ ქაღალდი მოითხოვა და გაკრული ხელით დამიწერა:

— აბა, ერთი წამოუწყე ბიჭებს ცერკოვნი მრავალჟამიერი, ვნახო, ხომ არ დაგავიწყდა?

სანდროს უკვე სულ აღარ შეეძლო ლაპარაკი და შინაურებსა თუ მნახველებს წერილობით ესაუბრებოდა.

გაოგნებული მივაჩერდი მამას.

მამამ გადაიკითხა სანდროს დაწერილი, გაუღიმა და ალერსით უთხრა:

— ნამგზავრები ხართ, გიგუშა და დათაშკაც დაღლილია, აბა, რა დროს ცერკოვნი მრავალჟამიერია... აი, წამოდექი და კარგი პურმარილი ჩემზე იყოს. იცოცხლე, მაშინ ისეთს შემოვძახებთ, ეს თქვენი სახლი ფეხზე დადგეს.

სანდრომ უიმედოდ ამოიოხრა, ხელი ჩაიქნია. მერე ისევ ფანქარს სწვდა და ქაღალდის მეორე მხარეს დამიწერა:

— ხალათში გასაღები მოძებნე, მიდი, გააღე ჩემი უჯრა, ამოიღე ჩიბუხი და რამდენი ხანიც გინდა ათვალიერე...

ალბათ, გაახსენდა, რომ მაშინ ჩვენთან, შინ, უხე-

შად წამართვა ჩიბუხი და ახლა უნდოდა ესიამოვნებინა, ამით გავეხარებინე.

ამან სულ მომიკლა გული, თავი ვერ შევიკავე და ავტირდი.

მამამ საჩქაროდ წამომიყვანა.

კიბეზე რომ ჩამოვდიოდით, მამა წამით შეჩერდა, ცხვირსახოცი ამოიღო ჯიბიდან და თვალი შეიმშრალა.

მაშინ პირველად ვნახე მამის თვალზე ცრემლი და მივხვდი, რომ სანდროს დიდი დღე აღარ ეწერა.

1939 წლის 12 ივნისს სანდრო კავსაძე გარდაიცვალა.

იგი გამოასვენეს ხელოვნების მუშაკთა სახლიდან. ზღვა ხალხი მიაცილებდა უკანასკნელ სავანემდე.

თბილისი ეთხოვებოდა კაცს, რომელიც ყმაწვილობაში ეზიარა სიმღერას და მთელი სიცოცხლე მის სამსახურს შეალია, ნათელი და გრძელი სიცოცხლე. ეთხოვებოდნენ ხალხური სიმღერების დიდებულ შემსრულებელს, ლოტბარს...

სანდრო კავსაძე დასაფლავებულია თბილისში, ვაკის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

1979

ონავრობა

ბავშვობაში ზაფხულის არდადეგებს მუდამ მშობლიურ სოფელში — კავთისხევში ვატარებდი.

დღისით ვეხმარებოდით უფროსებს — წყაროს წყლის მოტანაში, ხილის დაკრეფაში, დავდიოდით და ვათვალიერებდით ისტორიულ ადგილებს — ქვათახევის

სამონასტრო ანსამბლს, მაღალაანთ კოშკს, მიტოვებულ ბოსელში წარმოდგენებსაც ვმართავდით.

ბავშვებს ყველაზე მეტად მაინც შაბათ-კვირის საღამოები გვიყვარდა. შაბათობით ლხინი იმართებოდა ხოლმე, კვირაობით კი ჭიდაობა, და სადაც ყველა, — ჩვენც იქ ვიყავით.

შებინდდებოდა თუ არა, ახალგაზრდები ტაატით აივლიდნენ და ჩაივლიდნენ შარას. მერე თავს მოიყრიდნენ პოხრო პაპიაშვილის კარის წინ, გამოიტანდა პოხროს დედა დაირას, შემოჰკრავდა ოსტატურად, მეგარმონე გარმონს გაწელავდა, ბიძინა ინდუაშვილი დოლს შემოჰკრავდა და გიყვარდეს, ლხინიც გაჩაღდებოდა. (შემდეგში ცნობილი ინჟინერი, რომელიც დასავლეთ ბერლინში ჩვენი გამარჯვებისა და სამამულო ომში დაღუპულ მეომართა ხსოვნის უკვდავსაყოფად დიდებული მემორიალის აგებას ხელმძღვანელობდა).

ერთხელაც შეკრებილებთან არც პოხრო გამოვიდა, არც სიდა და რაკი მოთავე არ იყო, აშკარად იშლებოდა გართობა. ხან ვინ გასძახა პოხროს, ხან ვინ, მაგრამ არ გამოვიდა პოხრო. მერე სიდამ გამოიხედა ფანჯარაში და თქვა:

— დაღლილია ბიჭი, სათიბში იყო სამი დღე, რა ელხინება, ისვენებს!

პოხრო პაპიაშვილი ჩემს ბავშვობაში ქართული ჭიდაობის სახელგანთქმული ფალავანი იყო, პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა მთელ საქართველოში და მით უფრო მშობლიურ სოფელში. ამიტომაც მისი სიტყვა ბეჭედი იყო და ყველა ღონისძიების მოთავედ ითვლებოდა. ჰოდა, ახლა დედამისმა ასეთი გა-

დაჭრით ღარი რომ თქვა ლხინზე, ახალგაზრდები ყურებჩამოყრილები გაეცალნენ პოხროს ეზოს და ხალხმა ნელ-ნელა სახლებს მიაშურა.

მეც შინ გავიქეცი.

დედა სარეცხს აუთოვებდა, მეზობლის ქალი ეხმარებოდა და ტკბილადაც მასლაათობდნენ.

უცებ თვალი დამრჩა გაქათქათებულ ზეწარზე. ერთმა ფიქრმა გამიელვა თავში. რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემს ხუმრობაზე აუცილებლად გამოვიდოდა კარში პოხრო და მერე ლხინის გუნებაზეც დადგებოდა. წამოვავლე შეუმჩნეველად ზეწარს ხელი, გადავირბინე შარა, შემოვუარე ზემო ბაღებს და ჩვენს ბაღში მივედი. ის სწორედ შარას ემიჯნებოდა და ცალი ღობით პოხროს კარმიდამოს ემეზობლებოდა.

ბაღის წინა მხარეს, შუა ადგილზე ვეებერთელა ზვინი იდგა. ავძვერი იმ ზვინზე, მოვისხი ზეწარი და ხელების ქნევა დავიწყე, თითქოს მივფრინავდი უსასრულობაში. უმთვარო ღამე იყო და იმედი მქონდა, საკმარისი იყო ვინმეს დავენახე, ერთი ალიაქოთი ატყდებოდა და ხმაურზე პოხროც გამოიხედავდა.

მართლაც სულ მალე ვიღაცამ დამინახა, უფრო სწორად — მიაქცია ყურადღება ჰაერში გამოკიდებულ მოჩვენებას, თეთრებში გახვეულს და ყვირილი ატეხა:

— შეხედეთ, შეხედეთ, ხალხო, რაღაც გამოკიდებულია ჰაერში...

— უი, რა უნდა იყოს ნეტავი?

— გენაცვათ, ფრთებს როგორ იქნევს...

— თეთრი არწივი ხომ არ არის? ჰაი, ჰაი, შეუძახეთ, ხალხო, წავიდეს.

ერთი ვაი-ვიში და მითქმა-მოთქმა გაისმა.

— არ დააფრთხოთ, ანგელოზი გვეწვია, ურიგო არაფერი წამოგცდეთ, არ გაგვიწყრეს, მაგის მადლს ვენაცვალე,— გააჩუმა ყველანი სიდამ.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ასე რომ გაჭრა ჩემმა ხუმრობამ და ახლა გულის ფანცქალით პოხროს გამოჩენასაც ველოდებოდი.

— აბა, ანგელოზი? რაებს ლაპარაკობ, დედაჩემო, რას ქადაგობ, ქალო?— გაუჯავრდა აივანზე გამოსული პოხრო სიდას.

— ქა, თვალებში ვერ იხედები, ბიჭო? შეხედე. როგორ გვეთამაშება, როგორ გვლოცავს. ანგელოზია, კი, ფრთებს შეხედე, ფრთებს...

— უი, როგორ აფრიალებს და რომც არ იღლება,— ვიღაცამ მხარი აუბა სიდას.

— იქნება ტაშიც შემოვკრათ, ჰა?— გაბრაზდა პოხრო, — გამოვიტანთ ახლა ჩემს ორლულიანსა და რომ ვბეთქავ, ვნახავ მერე, რაც არის.

— დედა ნუ მოგიკვდება, ეგ არ ჩაიდინო, ბიჭო, არ გამოიტანო თოფი, დაგვწყევლის, გავუბედურდებით...— წივილი მორთო სიდამ, მაგრამ ზოგმა წააქეზა პოხრო, მიდი, ბეთქე თოფი, სეირს ვუყუროთო.

მივხვდი, ხუმრობა ჩემდასაზიანოდ შემომიბრუნდა. პოხრო ის კაცი არ იყო, სიტყვა გადაეთქვა. ვიხელთე დრო, უცებ მოვიშორე ზეწარი და ზვინის იქით მხარეს ჩამოვცურდი, მერე ზეწარი სწრაფად შევმალე თივაში, სირბილით შემოვუარე ბაღებს, შარაზე გამოვედი და ხალხში შევერიე.

— სად არის დედაჩემო, შენი ანგელოზი? გაიპარა?— ბობოქრობდა თოფმომარჯვებული პოხრო.

— გენაცვათ, არ დააყენე და გაფრინდა, გაგვინაწყენდა,— ატირდა სიდა,— წავიდა, სამოთხეს შეაფარა თავიი...

იდგა ხალხი გვიანობამდე, ზოგი ჩაფიქრებული, ზოგიც სიცილით იხსენებდა, რაც ნახეს და ბოლოს ყველა შინ გაიკრიფა.

ვახშმობისას ჩვენებს ვუამბე, რაც მოხდა.

მშობლები ძალიან გამიჯავრდნენ, ეს რა ხუმრობაა, ააფორიაქე დიდი და პატარაო.

მეორე დღეს, მამამ დაიბარა პოხრო და სიდა და ჩემი ხუმრობის საიდუმლოება გაუმხილა.

— ნათლი, მე განსწავლულობით ვერ დავიტრაბახებ, მაგრამ მხედველობა კარგი მაქვს. ქვეყანამა ნახა ის ანგელოზი, თქვენი ბაღის თავზე ფრინავდა, ჰკითხე ვისაც გინდა,— განაწყენდა სიდა,— რას მარიგებ, რას მამშვიდებ...

— ამ ეშმაკისფეხის ონავრობა იყო-მეთქი, გამიგონე, სიდა,— სიცილს ძლივს იკავებდა მამაჩემი.

— შენა ახლა გეცინება, ნათლი და ერთი ფეხით რომ არ გაესწრო ამ გოგოს, დიდი უბედურება დატრიალდებოდა,— თქვა პოხრომ.

— რაც იყო, იყო, ახლა კი ძალიან გთხოვთ გააგებინოთ სიმართლე მეზობლებს,— უთხრა მათ დამშვიდობებისას დედამ.

არ ვიცი, რა უთხრა დედა-შვილმა მეზობლებს, ეს კი იყო, რომ ჩვენს ბაღს, რომელიც მანამდე გაჩანაგებული იყო ბიჭებისაგან (იქ დიდებული ჯიშის გარგარი

გვედგა, სხვადასხვა ჯიშის მსხალი, ქლიავი, ნუში), ახლოსაც არავინ ეკარებოდა. ეტყობი, სოფელში დიდიც და პატარაც ცრურწმენამ, შიშმა შებოჭა და ორი კაცი, ქალი ან ბავშვი თუ შეხვდებოდა ერთმანეთს, სულ იმაზე იყო ლაპარაკი,— სოსოანთ ბაღს (სოფელში ასე გვეძახდნენ — სოსოანნი, პაპაჩემის საპატივცემლოდ), ანგელოზი დასტრიალებს და ვაი იმას, ვინც იქ გაივლის, წყევლა არ ასცდებაო.

ამან ჩააფიქრა მამაჩემი. ხეხილის გაჩანაგებას ვინღა ჩიოდა, ცრურწმენის გაფანტვა ენდოდა და ერთხელ, ისევ უმთვარო ღამეს მითხრა, ყველაფერი ზუსტად უნდა გაიმეორო, რაც მაშინ მოიმოქმედე და ზვინზე ასული სიდას უნდა გამოელაპარაკო, რომ დაარწმუნო ისიცა და სხვებიც, რომ ბაღს არავითარი ანგელოზი არ დასტრიალებს, რომ ეს შენი ონავრობაა, გამვლელთა ყურადღების მისაპყრობად..

წამოვისხი ისევ ზეწარი და ავძვერი ზვინზე, ავიქნიე ხელი ხან ზემოთ და ხან განზე. ჩემი ეს ენერგიული მოძრაობები, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ დარჩა მოსეირნეთ და ატყდა ჩოჩქოლი, შეძახილები:

— ანგელოზი გამოჩნდა ისევ, ანგელოზი...

— მაგას ვენაცვალე...— აივანზე გამოვიდა სიდა და გახარებულმა აიკლო იქაურობა,— ვიღაცამ კი თქვა, ხუმრობა იყოო, მააშ, ჩვენც დავიჯერეთ... ხო, ხედავთ, ხალხო, ნაღდია, ეგე, როგორ გვესალმება, გვლოცავს და ჩვენც მორჩილნი ვიყოთ, გავუგონოთ... შენი მადლის ჭირიმე, ანგელოზო...

— სიდა ძალო, ანგელოზი კი არადა, ნანა ვარ, ნანა...— წამოვიძახე, ზეწარი ჰაერში ავაფრიალე, მერე

შარასკენ მოეისროლე, ზვინიდან ჩამოვცურდი, და სიდას ეზოში ღობეზე გადავძვერი,— ნანა ვარ, არც ახლა გჯერა, ძალო?

ხალხი გარინდებული იდგა. მოულოდნელად აროხროხდა პოხრო და სიცილი დააყარა სიდას:

— ესეც შენი ანგელოზი, დედაჩემო!

ისეთი ყიჟინა ატყდა და სიცილი, ახმაურდა იქაურობა.

სიდა ჯერ გაოგნებული მომჩერებოდა, მერე გადამეხვია და მაკოცა.

— შეგრჩეს, შე ახტაჯანა, დედაბრის გაწბილება, შეგრჩეს!— უცებ შინ შევიდა, დაირა გამოიტანა და პოხროს უბრძანა:— აბა, გაწელოს გარმონი მეგარმონემ და დღეს პირველი ეს გოგო აცეკვეთ!

— კიდევაც. რომ დაიმსახურა,— ნაწნავი ჩამომქაჩა პოხრომ, ხელი გაშალა და საცეკვაოდ გამომიწვია.

ძილის წინ მამამ ჩაფიქრებით მითხრა, რაც სამუდამოდ დამამახსოვრდა:

— ხუმრობასაც დაფიქრება მართებს, შვილო!

რაკი პოხროს სახელთან დაკავშირებული ჩემი ბავშვობის ერთი ამბავი გავიხსენე, თავს მოვალედ ვთვლი, ორიოდე სიტყვა ვთქვა წარსულში სახელგანთქმულ საქართველოს ფალავანზე, რომელიც ღირსეული განმგრძელებელი იყო ქართული ჭიდაობის სახელოვანი ტრადიციებისა, კულა გლდანელმა, შაშო ვერელმა, ნეს-

ტორ ესებუამ, ხიზამბარელმა და სხვებმა, შორს რომ გაუთქვეს სახელი.

პოხრო პაპიაშვილს, ზოგი კოლას ეძახდა, სინამდვილეში კი ნიკოლოზი იყო ნათლობის სახელი, ჩემს ბავშვობაში და ყმაწვილქალობაში, არა მარტო კავთისხეველებისთვის იყო საამაყო მოჭიდავე, არამედ მთლად საქართველოში იცნობდნენ, რაკიღა სარბიელზე გამოჩენისთანავე დიდხანს იყო უძლეველი სპორტის ამ სახეობაში და კიდევაც ღირსეულად ატარა წლების განმავლობაში ფალავნის სახელი.

ვერცხლისწყალივით მოძრავი, სხარტი, მოქნილი და საოცრად ალღოიანი მოჭიდავე იყო პოხრო პაპიაშვილი. თავბრუდამხვევი სისწრაფით აიტაცებდა ხოლმე მოწინააღმდეგეს, თვალისდახამხამებაში მაღლა ასწევდა და იმას ჭიდაობა ჯერ დაწყებული რომ არ ეგონა, — პოხრო ბეჭებით დააკრავდა მოედანს, ასევე სწრაფად განზე გახტებოდა ხელამართული, ხალხის აღტაცებულ ყიჟინაზე ღიმილით მიმოიხედავდა ირგვლივ, თითქოს მადლობის ნიშნად ყურადღებისათვის, ტაშისათვის, მერე მივარდებოდა დამარცხებულს, თვითონ მიეხმარებოდა წამოდგომაში, გადაეხვეოდა, გადაჰკოცნიდა და შურდულივით მაყურებლებში შეერეოდა.

თავის დაკვრა არ იცოდა, არ ჰქონდა ჩვევაში,— ტრაბახი რა საკადრისიაო. მერეც, რომ ჩაიცვამდა, სულ უკან დადგებოდა, თითქოს ერიდებოდა მილოცვას.

ზოგჯერ ჭიდაობის დასაწყისი და დასასრულიც ისე უცებ იწყებოდა და მთავრდებოდა, თუ არ იცოდი პოხროს ხასიათი, არ იცოდი მისი ჭიდაობის ამ ელვისებური სტილის „სიფიცხე“, შესაძლოა, ვერც ჩაატანდი გე-

შოს და სიამოვნებას, რასაც ჭიდაობა მნახველს და მაყურებელს აგრძნობინებს.

მაღალი ტანისა იყო და სპორტული აღნაგობის. ღონიერი იყო უსაზღვროდ. დიდ მორს ისე აიტაცებდა და ისე გადაიტანდა ერთი ადგილიდან მეორეზე ეს ერთი კაცი, შენ გაოცდებოდი, მას კი ეს არაფრად უღირდა. ტყეში შეშის საჭრელად მარტო წავიდოდა ხოლმე და პირთამდე დატვირთულ ურემს ჩამოიტანდა.

ასეთი იყო პოხრო, მოჭიდავე და მოქალაქე — თავმდაბალი, უბრალო, არც იფიქრებდით, რომ ფალავანი იყო საქართველოსი, არადა, იყო, ნამდვილი ფალავანი იყო და ამ ტიტულს საკმაოდ დიდ ხანსაც ფლობდა.

მე მიყვარს ქართული ჭიდაობა, ბევრი კარგი მოჭიდავის შერკინება მინახავს, მაგრამ პოხრო პაპიაშვილის შესადარი — არა. მისი ჭიდაობის „საიდუმლოების“ აღწერა შეუძლებელია.

პოხროს ჭიდაობა თავათ უნდა გენახა, რომ განგეცადა მისი ცეცხლოვანი მოქმედება სარბიელზე, ჭიდაობის სილამაზისა და მომხიბვლელობის მადლიც და ამ ელვისებური გამარჯვების აღმაფრენაც, თვით მოჭიდავის რაინდობაცა და კეთილშობილებაც.

ჭიდაობა კვირა დღეს იმართებოდა ან კავთას ეკლესიის მოედანზე, ან ჯანჯლაანთ უბანში (ციხის უბანსაც ეძახიან), მდინარე კავთურას პირად, დიდრონი კაკლების ჩრდილში.

საყვარელი ფალავნის სიყვარულითა და პატივისცემის ნიშნად, საიდან არ ჩამოდიოდნენ მოჭიდავენიცა და მაყურებლებიც: კასპიდან, მეტეხიდან, ახალქალაქიდან,

გრაკლიდან, ქსნიდან, ძეგვიდან, ხანდაკიდან, გორიდან და ხშირად თბილისიდანაც.

უკვე ნაშუადღევიდან მაყურებლები საჭიდაო მოედნისკენ გასწევდნენ ხოლმე, ხშირად მთელი ოჯახი, დიდიან-პატარიანად, ქალი თუ კაცი, ახალგაზრდები და ბავშვები. მით უფრო, თუ კი იცოდნენ, რომ პოხრო აპირებდა ჭიდაობას.

ჯერ ბალღებს დააჭიდებდნენ, შემდეგ ახალბედებს — 15-16 წლის ჭაბუკებს, რომ გაეთამამებინათ, შეჩვეოდნენ მოედანზე გამოსვლას, მაყურებლის წინ ჭიდაობას, იმათ შეძახილს. მერე იწყებოდა გამოცდილი მოჭიდავეების შერკინება.

პოხრო ისეთი ინტერესით ადევნებდა ამათ შერკინებას თვალს, ვერც იფიქრებდით, საქართველოს სანაქებო მოჭიდავე თუ იყო. საოცრად უხაროდა, იმედისმომცემ ახალგაზრდას თუ ნახავდა მოედანზე, ერთნაირად მიულოცავდა გამარჯვებულსაც და დამარცხებულსაც, წაახალისებდა, შეაგულიანებდა, ეგრე, ეგრეო, უფრო ხშირად გამოდით მოედანზე და ნაღდები ხართ, მალე დიდ სარბიელზეც მენახეთო.

დარიგებაც და შენიშვნაც გულწრფელი იცოდა. პოხრო სისხლ-ხორციანად სპორტსმენი იყო, კაცი, დიდი სპორტისთვის დაბადებული, რომელსაც აფიქრებდა და აღელვებდა ქართული ჭიდაობის მომავალი.

ვის არ უოცნებია პოხროსთან შეხვედრა საჭიდაო მოედანზე, მაგრამ სურვილის გამოთქმისა ბევრს ერიდებოდა, ამიტომაც იყო — ძნელად თუ ბედავდა რომელიმე მოჭიდავე მასთან შეხვედრას. და მაინც იყვნენ ასეთებიც. მე ბევრჯერ გამიგონია, უფრო განზე ნათქვა-

მი წამქეზებლებისა,— რა გახდა ეგ პოხრო, გადი, თვალი დაუბრმავეო. და მართლაც ზოგი ფარულ სერვილს ვეღარ მალავდა და თანხმობას აცხადებდა პოხროსთან შეხვედრაზე.

მაგრამ მისი მომრევი — არა და არ ჩანდა...

და მაინც, რა ერიამული ატყდებოდა ხოლმე, მსაჯი რომ გამოაცხადებდა — ჭიდაობენ პოხრო პაპიაშვილი და ძეგველი თუ ქვემოხანდაკელი, კასპელი თუ გორელი. ზურნა აჭყვიტინდებოდა, მედოლე ხელს შემოჰკრავდა დოლს, ბიჭები ჩიტებივით მოეფინებოდნენ ხის ტოტებს, მაყურებლების რკალი შემჭიდროვდებოდა საჭიდაო მოედნის გარშემო და ზოგჯერ თვალსაც ვერ მიატანდი იმ საოცარ ერთ წუთს, თუ წამს, ვერც მიხვდებოდი სად იყო დასაწყისი და როდის დამთავრდა ის. ასე ხანმოკლე ჭიდაობა იცოდა პოხრომ.

ხომ უკვე ცნობილი იყო ეს მისი საოცარი, მოედანზე გაელვების უნარი და მაინც რაღაც წამით გაირინდებოდა ხალხი, მოედანზე უკვე დამთავრებული იყო ჭიდაობა, ხალხი კი სდუმდა და უცებ იხუვლებდნენ ხოლმე, ატყდებოდა ყიჟინა, ტაში, აღტაცების შეძახილები.

პოხრო პაპიაშვილს ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა მთელ ქართლში, მაგრამ ამათგან განსაკუთრებით მინდა გამოვყო კავთისხეველი გოგი როსტიაშვილი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და სახელოვანი მოჭიდავე, რომელიც ტოლს არ უდებდა თავის წონაში მეტოქეს წლების განმავლობაში.

მერე, როცა პოხრომ თავი გაანება ჭიდაობას და თავის საქმიანობას მიჰყო ხელი (იგი ზოოტექნიკოსი

იყო), ბევრჯერ შემხვედრია შეჯიბრებებზე ლენინის სახელობის დარბაზში, ლოკომოტივის ზამთრის დარბაზში და სპორტის სასახლეში, გული სწყდებოდა — ის ცეცხლი ჩაქრაო, აღარ მიილტვის ახალგაზრდობა ამ ვაჟკაცურ სპორტისკენ, არადა, რა სიკეთე მოაქვს ქართულ ჭიდაობას სწორედ კაცისათვის, ამტანი ხდება, მოქნილი, ჯანმრთელი და რაც მთავარია, კეთილშობილებას ასწავლის ადამიანს სპორტის ეს სახეობაო.

ერთხელ, მახსოვს, პოხროს თხოვეს, მოდი უმსაჯე წყვილსაო და უარი თქვა, მერე ვკითხე მიზეზი და კარგა ხნის დუმილის შემდეგ მითხრა:

— მე სიამოვნებით ვასწავლი, თუ რამე შემიძლია, მაგრამ მსაჯობა ჩემი საქმე არ არის... მოედანი სხვა რაღაც არის ჩემთვის, მე ისე ვერ ვივლი, უმოქმედოდ. მოქმედების დრო კი წაიღო წლებმა...

ამ სიტყვების ღრმა აზრს რომ ჩაწვდე, მოწოდებით, მთელი შენი არსებით უნდა იყო სპორტსმენი, ისეთი, როგორიც გახლდათ ქართული ჭიდაობის ფალავანი — პოხრო პაპიაშვილი.

სამწუხაროდ ამ ფალავნის სახელი დავიწყებას მიეცა. ახლა ბევრმა ახალგაზრდა მოჭიდავემ არც იცის, რა საოცარი წინამორბედი ჰყავდა. არადა, დიდი ხანი კი არ არის, რაც პოხრო გარდაიცვალა.

1976

კვლავ ახმიანდეს!

გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ ნუგზარ შატაიძის ნარკვევი წავიკითხე — „ქსილისზე“.

გული მეტკინა... ჩემი მშობლიური კავთისხევი გამახსენდა...

კავთისხევის ზემოთ, მანგლისის მიმართულებით მდებარე ნასოფლარები რომ აღწერა შატაიძემ და ამასთან ზაფხულის იალაღებზე შეფენილი, ქსილისის ფერდობებზე განლაგებული მეცხვარეებისა და მწველავების უმწეო პირობები, ჰო, გული მეტკინა.

არადა, რა სოფლები იყო მანდეთ ომამდე... სჩქეფდა სიცოცხლე კაბერში, ვერხვეულში, ვარჯაანში, ზვარკოტმანში, გოგოთში და კიდევ, კიდევ სხვაგანაც, ახლა რომ გაუკაცრიელდა, თვალებდათხრილებივით დგანან მიტოვებული სახლები, ძეხორციელი რომ აღარ ჰაჯანობს, ჩიტი რომ ჩიტია, ისიც გამქრალა, სადღაც გადახვეწილა.

ასეა: ადამიანის წასვლამ სიცოცხლის ხმიანობა რომ ჩაანელა, ცხოველიცა და ფრინველიც განუდგა იმ ადგილებს.

ბავშვობაში მოვლილი მაქვს ეგ ადგილები, ქსილისზეც ვყოფილვარ, მაგრამ ახლა ერთ-ერთ ნასოფლარზე მინდა მოგითხროთ, სადაც დიდი ხნის წინათ მომიხდა ყოფნა...

როგორც წესი, ზაფხულს, ბავშვობაში, კავთისხევში ვატარებდი. ეს არის ქართლის ერთი უმშვენიერესი სოფელი, აქ ბევრი სახელოვანი ადამიანი გაიზარდა. მის შემოგარენშია ქვათახევის მონასტერი, სოფელს მდინა-

რე კავთურა ჩამოუდის. ამ სახელიდან გამომდინარეა კავთას საყდარი და თვით სოფლის სახელწოდებაც — კავთისხევი.

ჰოდა, ერთხელ შაბათს, ის-ის იყო თბილისიდან რომ ამოვიდა მამაჩემი, ფეხდაფეხ ორი ცხენით ახალგაზრდა მთიულიც მოჰყვა (მაღალმთიან სოფლებში მთიულები ცხოვრობდნენ), მოვიდა კაცი და მამას წერილი გაუწოდა. მამამ გადაიკითხა წერილი და აღელვებულმა ჰკითხა:

— შორიდან მოხვედი?

— ვარჯაანიდან ვარ მოსული, შენი ჭირიმე. უნდა წამომყვე, ან შენ და ან შენი ცოლი. წერილშიც აგრე სწერია და ექიმმაც აგრე დამაბარა. იარაღი ყველა აქვს, წამალიც, მაგრამ ახალგაზრდაა და ეტყობა, შიშმა შეიპყრო... ქალი მძიმედ არის, უნდა მიშველო, შენი ჭირიმე...

— მოვასწრებთ ვითომ დაბნელებამდე ასვლას? ვარჯაანში ნამყოფი ვარ, შორია, ვიცი...

— ჩემი ცხენი იგრეა გაწვრთნილი, ბნელშიც ავა, სულ თვალიც რომ აუხვიო, ავა... მაგის ნუ გედარდება, შენ ოღონდაც წამოჯ...

— რაღა დაგიმალო, დაღლილი ვარ, ფეხით ამოვედი სადგურიდან... ათი კილომეტრი გავიარე...

— მაშ, რა წყალში ჩავვარდე, თქვენი იმედით ვარ მოსული... ცოდვაა ქალი, გაჭირვებულია, დაიღუპება... — სასოწარკვეთით თქვა მთიულმა და ახლა დედაჩემს მიაჩერდა.

— მე წამოვალ, მე, — უთხრა მამამ, — ხელს გადავიბან, ხალათს გამოვიცვლი, ერთი ლუკმა მაინცა ვჭა-

მოთ და წავიდეთ. ჩქარა ვივლით და როცა იქნება, მივალთ, სხვა რა გზაა.

მართლაც უცებ გამოიცვალა მამამ ხალათი, ლუკმას წამოავლო ხელი და ცხენს შემოახტა, დედამ მაინც გაუხვია რაღაც იარაღები, წამლები, ბამბა, ბანდები და უკვე წასვლა რომ დააპირეს, უცებ მე მომხედა მამამ. იცოდა, მიყვარდა ცხენით სიარული, ეგრე მომატარა მთელი ის მხარე.

— წამოხვალ?— მოკლედ მკითხა.

შინ შევვარდი, ჟაკეტი მოვისხი, თბილ შალსაც წამოვავლე ხელი და უმალ მამასთან გავჩნდი. მამამ ცხენზე შემსვა თავისთან და გზას დავადექით.

თვალადს არც კი ვიყავით გაშორებული, ჩამოღამდა. ცხენოსნები ჩქარობდნენ. გუდალეთამდე შეძლებისდაგვარად სწრაფად ვიარეთ, მერმე კი აღმართმა რომ იმატა, ცხენმაც უკლო ნაბიჯს, ტაატით მიდიოდნენ.

ასე ვიარეთ კარგა ხანს. მერე მოულოდნელად, რაღაც მოსახვევიდან რომ გავედით, ციცინათელებივით მოციმციმე სინათლე დავინახეთ. კიდევ რაღაც მანძილი გავიარეთ და უცებ თვალწინ ისეთი სანახაობა წარმოგვიდგა, იმას რა დამავიწყებს: ცაში ავარდნილი ჭიაკოკონა, ზღაპრული ქალღმერთივით იყო აელვარებული და საით-სადამდისინ ასხივოსნებდა იქაურობას.

— ღვთის მადლით, მშვიდობაა! — ქუდი მოიხადა კაცმა და პირჯვარი გადისახა. მერე უცებ წამოიყვირა — განთავისუფლებულა ქალიო, შემოჰკრა მათრახი ცხენს და შურდულივით გაქანდა. თვალიც ვერ მოვკარით, საით გაჰქრა. საოცარი ის იყო, რომ ჩვენი ცხენიც შეგულიანდა თითქოს, ფეხს აუჩქარა და ცოტა მამამაც რომ

ფერდებზე ხელი შემოჰკრა — აგვიტაცა და თვალისდახამხამებაში მიგვიყვანა პატრონის ეზოში.

ეზოში კი უშველებელი ჭიაკოკონა ენთო.

მთელი სოფელი აქ იყო თავმოყრილი — დიდიცა და პატარაც.

ყიჟინით ულოცავდნენ ახალგაზრდა მამას შვილის შეძენას, შვილის კი არა, შვილების — ტყუპი ბიჭების შეძენას.

ციოდა საკმაოდ და მე ცეცხლთან გამაჩერა მამამ, თვითონ კი ავადმყოფთან შევიდა სანახავად.

ახალგაზრდა ექიმი მომვარდა და გახარებულმა გადამკოცნა.

— ბიჭები კი გაჩნდნენ, მაგრამ ჯერ არ მოთავებულა ყველაფერი, ახლა უკვდავების წყალივით მომეევლინეთ... — წამოიძახა მან და ისიც შინ გაიქცა.

შორს უკვე ინათა, მამა და ექიმი, დაღლილები რომ გამოვიდნენ ეზოში, ხელ-პირი დაიბანეს და მოქანცულები განზე მიგდებულ კუნძზე ჩამოჯდნენ.

— ახლა ხომ შეიძლება ქეიფი? — ჰკითხა მამაჩემს ბიჭების მამამ.

მამამ გაუღიმა და თავი დაუქნია.

ის ღამე ლხინსა და ქეიფში დაგვათენდა.

მთელ ეზოში ტაბლები გააწყეს ქალებმა და ხინკლით გვიმასპინძლებოდნენ ყველას, ვინც გაიზიარა ოჯახის სიხარული.

დილით, მტრედისფრად რომ ინათა, მამამ სახლის უკან გამიყვანა, მთის კორტოხზე, უძირო ხევით რომ მთავრდებოდა, და ხელი წვეტიან მთისკენ გაიშვირა.

— ახლა უყურე, როგორ ამოგორდება ამ მთის წვე-

რიდან ბრიალა მზე. ბარში ასეთ სანახაობას ვერსად ნახავ...

და მართლაც, სულ მალე ამოგორდა მზე, ვიხილე ულამაზესი და უმშვენიერესი საოცრება, რომელიც სხვაგან აღარსად მინახავს, არც ბაკურიანში, არც შოვში...

ამოვიდა მზე და თვალს არ დავუჯერე, ისეთი ლამაზი ბუნების გარემოცვაში აღმოვჩნდი: ირგვლივ ცაში აზიდული, ლურჯი მთები, დაფარული მწვანე ხასხასა ბალახით, ალპურ სარტყელს რომ ეძახიან, მერე თანდათან შერეული ტყით დაფარული ფერდობები და აქა-იქ ჩანჩქერის ვარდნილობა მაღლიდან ქვევით, პატარა მდინარეებად რომ მიიკლაკნებიან მერე...

მოგვიანებით ამ ფერდობებზე საქონელი გამოჩნდა — ცხვარი, ძროხები... ახლა ჩვენი მასპინძლის მეზობლების კარ-მიდამოსაც გავხედე. ეტყობოდა, ყველა კარგად ცხოვრობდა, სავსე იყო ეზო ქათმებითა და ინდაურებით. ბევრს ბაღში სკა ედგა. ეზოები ღობით კი არ ჰქონდათ გამოყოფილი, ზოგან ქვა ეყარა, ზოგან მოჭრილი ხე, — ეს იყო და ეს. სახლები არ იყო მდიდრულად მორთულ-მოკაზმული, მაგრამ ყველას ედგა ორსართულიანი შენობა, ღია აივანზე დილით ქალებმა ლოგინი გამოფინეს, მზეზე შესაშრობათ, მთის ნესტისაგან. ციოდა, მიუხედავად ბარში ივლისის პაპანაქებისა, ამიტომაც ყველას საკვამურიდან ბოლის ზოლები ჭიაყელებივით აიზიდნენ ცისკენ.

— ლამაზი ბუნება გაქვთ... იშვიათი სანახაობაა...— უთხრა მამამ ოჯახის უფროსს, ახალდაბადებულთა პაპას.

— ლამაზიც არის და მდიდარიც! — თავმომწონედ გაეპასუხა ბერიკაცი, — თუ კაცი არ დაიზარებს, ხორცი

და მატყლი, თაფლი და ერბო-კარაქი, ფრინველი და კვერცხი, ხე-ტყე და თივა არ შემოაკლდება... თქვენსა რაც ჩამოგვაქვს ბარში, სულ ამ მხარის სიკეთეა... ახლა რა წყალი გვაქვს, ხომ იგემეთ? დრო გავა, აქ სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები აშენდება, უკეთესს რას ნახავს თვალი? ჰაერი იგრეთი ჯანმრთელია, ყველა სნეულს მოაბრუნებს...

ამაზეა ნათქვამი: კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო...

სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები კი არადა, ის სოფლებიც მოვშალეთ, ავყარეთ ხალხი, ბუდე მოვუშალეთ და ჩამოვიყვანეთ ბარში. ახლა ვვიშვიშებთ, მესაქონლეობა მოიკოჭლებსო, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ნაკლებობა იგრძნობაო.

ამბობენ, შეცდომის გამოსწორება არასოდეს არ არის გვიან. მთავარია, ამ შეცდომის დროზე გამოსწორება.

ერთი სიტყვით, ამ ამბავის გადადება აღარ შეიძლება, თუნდაც იმიტომ, რომ ჯერ კიდევ არიან ცოცხლები ის ადამიანები, ვინც შესძლებს აღადგინოს დაკარგული და რაც ყველაზე მთავარია, თან გაიყოლიოს მხარის, კუთხის აღსადგენად ახალგაზრდობა. ახალგაზრდობა, რომელიც უნდა ჩაუდგეს სათავეში ახალ წამოწყებას მიტოვებული სოფლების ახმიანებაში.

დიახ, უნდა ვეცადოთ, რომ ქართლშიც, ხევსურეთშიც, თუშეთშიც კვლავ ახმიანდნენ მაღალმთიანი სოფლები, ჩვენი სოფლის მეურნეობის საიმედო კერა.

დავეხმაროთ, აღსდგეს სიცოცხლე ნასოფლარებში, ჩვენი დღევანდელი დღის და ჩვენი მომავლის სასიკეთოდ, საძლიეროდ!

1980

ᲪᲘᲪᲮᲐ ᲬᲧᲐᲚᲘ

ორმოცდაათიანი წლების ამბავს მოგახსენებთ...

მაშინ ლიტერატურული კონსულტანტების ოთახი მეორე სართულზე იყო მწერალთა კავშირში.

ძალიან უყვარდათ მწერლებს იმ ოთახში თავშეყრა, მით უფრო ახალგაზრდებს. ახლა სულ არ მიკვირს ეს, რადგან იმ ოთახში მუშაობდნენ მაშინ: ალექსანდრე აბაშელი, მარიჯანი, მიხეილ მრევლიშვილი, გიორგი შატბერაშვილი, შალვა აფხაიძე. ეს კი ის მწერლები იყვნენ, ვისთანაც გვერდით ყოფნა, მათი საუბრისა, თუ მოგონებების მოსმენა — სასიხარულოც იყო და მეტად საინტერესოც.

ამიტომ მეც სხვასავით მიყვარდა იქ მისვლა, იქ მყოფთა, თუ მოსულთა მოსმენა. იქ კი მოდიოდნენ: კონსტანტინე გამსახურდია, გერონტი ქიქოძე, ლეო ქიაჩელი, იოსებ გრიშაშვილი, გალაკტიონი, გიორგი ლეონიძე, პოლიკარპე კაკაბაძე, ალიო მირცხულავა, ნინო ნაკაშიძე, სიმონ ჩიქოვანი... ყველას რა ჩამოთვლის.

ჰოდა, აი, ერთხელაც რომ მოვედი მწერალთა კავშირში, რათა იმ ოთახში ავსულიყავი, მეორე სართულის კიბის თავში ქალბატონი ანა ხახუტაშვილი შემხვდა თავისი განუყრელი ხელ-ჯოხით. შესამჩნევად აღელვებული იყო და მორიდებით შევბედე კითხვით — რამ შეგაწუხათ-მეთქი.

— მარიამია ცოტა შეუძლოდ, წამალი კი აქვს და ცივი წყალი უნდა დააყოლოს, შენს გახარებას, ამოუტანე ბაღის წყაროდან, თუ არ შეწუხდები, — მითხრა ხმადაბლა.

— კი, ბატონო, ეგ რა შეწუხებაა, ახლავე მოგართმევთ, ქალბატონო ანა.

— ოღონდაც უხმაუროდ, ხომ იცი, რა მორიდებული ქალია ჩვენი მარიამ გარიყული,— უკვე კიბეზე დაშვებულს მომადევნა.

მე ბიბლიოთეკაში შევედი, თამარ ფოფხაძეს ჭიქა გამოვართვი (თამარი მაშინ ბიბლიოთეკის გამგე იყო), გავიქეცი ბაღში, გავრეცხე ჭიქა, ცივი წყლით პირამდე ავავსე და ისევ სირბილით გავემართე მეორე სართულისაკენ.

კიბეზე მოულოდნელად ირაკლი აბაშიძეს შევეფეთე.

ბატონმა ირაკლიმ შეხედა ცივი წყლით შეორთქლილ ჭიქას და ღიმილით მითხრა:

— ბაღიდან მოგაქვს?

— დიახ.

— აბა, დამალევინე, შენს გახარებას, მიყვარს ჩვენი წყაროს წყალი.

— კი, ბატონო, მიირთვით,— ვთქვი და უცებ გავიფიქრე. „დალევს და ისევ ამოვიტან მეორე ჭიქას, ერთი წუთი რა ბედენაა“.

მაგრამ ის იყო ირაკლის ხელი უნდა წაევლო ჭიქისთვის, ზემოდან ანას გამყინავი ხმა მოისმა:

— აცალე გოგოს წყლის ამოტანა, ჩემთვის მოაქვს ეგ ჭიქა წყალი, ჩადი ეზოში და უფრო არ გესიამოვნება იქ დალევა?

— ო, მაპატიეთ, ქალბატონო ანა,— სწრაფად მოუბოდიშა ირაკლიმ,— რა ვიცოდი, თქვენთვის თუ მოჰქონდა,— თავი მდაბლად დაუკრა და გზა განაგრძო.

მეც მოვუჩქარე ფეხს, მაგრამ სამი კიბეც არ მქონ-

და ავლილი, ახლა ირეოდიონ ქავჟარაძე შემხვდა. ის ცხვირსახოცით ინიავებდა სახეს და ჭიქა წყალი რომ დაინახა, სახეგაბადრულმა მითხრა:

— იმედია უარს არ მეტყვი და დამალევინებ მაგ ჭიქა წყალს, სიცხემ ყელი გამიშრო.

სიტყვის თქმაც არ მაცალა ქალბატონმა ანამ, ისევ იჭექა ზემოდან:

— რა მოგივიდათ, კაცებო, რა თვალი დაადგით მაგ ჭიქა წყალს? სიცხემ მეც შემაწუხა და აცალეთ, მაგ ჭიქამ ჩემამდე მოაღწიოს!

ნირწამხდარმა ირეოდიონმა ერთი კი გახედა ქალბატონ ანას, ბოდიშით, — ჩაილაპარაკა და თავდახრილმა, ჩქარი ნაბიჯით ცივად ჩამიარა.

ახლა კი მივირბინე ანამდე, მან სწრაფად გამომართვა ჭიქა და ხელჯოხით მომარჯვებულმა, ოდნავშესამჩნევი კოჭლობით კონსულტანტების ოთახისკენ გაემართა.

გავიდა რამდენიმე დღე.

მე ისევ მივედი მწერალთა კავშირში.

შევედი ბიბლიოთეკაში.

ქალბატონი ანა ხახუტაშვილი თამარის გვერდით იჯდა, რაღაცაზე საუბრობდნენ.

მე რომ დამინახა, სწრაფად წამოდგა, ჩემსკენ წამოვიდა და მორიდებით მითხრა:

— რა კარგია, რომ მოხვედი. ეს დღეები სულ დარდიანად ვიყავი. ვინ იცის, რა იფიქრე, ეს დარბაისელი ქალი, ჭიქა წყლის გულისთვის ისე რომ გავწიწმატდი იმ დღეს... ღმერთმანი, სულაც არა ვარ ავი, მაგრამ აკი გითხარი მაშინ, გარიყული უკვდავების წყაროსავით ელოდებოდა იმ ჭიქა წყალს და, რომ ვიცოდი, რა დღე-

ში იყო ის საცოდავი, თავი ველარ შევიკავე, წონასწორობა დავკარგე, ხმას ავუწიე, შენც გაგაოგნე და კაცეში, ალბათ, კიდევ უფრო მეტად...

— ქალბატონო ანა, არაფერიც არ მომხდარა ისეთი, ტყუილად ღელავთ, — უბრალოდ ვთქვი, რომ გამეფანტა ქალბატონი ანას აღელვება.

— აბა, არ მოვუხადო ბოდიში ირაკლის და ირودიონს?

— ქალბატონო ანა! იმ ჭიქაში ღვინო რომ ყოფილიყო, რა თქმა უნდა, ბატონი ირაკლიცა და ბატონი ირودიონიც თქვენს შენიშვნას უგულვებელჰყოფდნენ და შეც ვერ გავბედავდი ჭიქის განზე გაწევას. ღვინო — კაცისაა, დიახ! მაგრამ მე ჭიქით წყალი მომქონდა, თანაც მანდილოსნისთვის, ამიტომაც ისე გულგრილად ჩამიარეს და თქვენც მოგიბოდიშეს, როგორ შეგეცილებითო, — ისევ ღიმილით ვუთხარი.

ქალბატონმა ანამ თავი დამიქნია, მერე უცებ შუბლზე მაკოცა და გახალისებულმა მითხრა:

— გმადლობთ... გმადლობთ, ასე იოლად რომ დამამშვიდე... და მაინც, რა კარგია, ქალის პატივისმცემელი კაცები რომ გვყავს, ხომ ასეა?

— დიახ, კარგია...

1986

დიდსულოვანი ადამიანი

ბატონ სერგო კლდიაშვილის შემოქმედებას სკოლის შერხიდან ვიცნობდი, მაგრამ როგორც მოქალაქეს და მწერალს, დავუახლოვდი 1968 წლიდან.

მაშინ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“ ვმუშაობდი.

მოვიდა ერთ დღეს ბატონი სერგო თავის შვილიშვილთან ერთად, ჩემს მაგიდაზე დადო ოთხი საკმაოდ მძიმე საქაღალდე და ღიმილით მითხრა:

— ვიცნობდეთ ერთმანეთს, მე სერგო კლდიაშვილი ვარ.

— ძალიან სასიამოვნოა. მე თქვენ შორიდან გიცნობთ.

— ჰოდა, მით უკეთესი, რომ მიცნობთ, ამიტომაც უნდა იყოთ რედაქტორი ჩემი ოთხტომეულის.

მე კმაყოფილებით გამეღიმა, ბატონმა სერგომ ეტყობა ვერ გამიგო და აღელვებულმა თქვა:

— ვიცი, ჩემო ბატონო, რომ ძალიან გადატვირთული ხართ, მაგრამ უარი მაინც არ უნდა მითხრათ.

— რას ბრძანებთ, ბატონო სერგო, ასეთ პატივზე ვინ იტყვის უარს, პირიქით, მადლობელი ვარ, ნდობა რომ გამომიცხადეთ.

ბატონმა სერგომ ხელზე მაკოცა და ღიმილით მითხრა:

— მაშ, ამ დღიდან იწყება ჩვენი მეგობრობა!

და მართლაც, ეს მეგობრობა აღარ შეწყვეტილა მისი სიცოცხლის ბოლო დღემდე...

ტომეულებზე მუშაობისას ბატონი სერგო ხშირად მოდიოდა გამომცემლობაში. რაზე აღარ ვსაუბრობდით,

რამდენ გარდასულ ამბავს მაზიარა. მაოცებდა მისი ინ-ტერესი ცხოვრების ყველა სფეროს საკითხებზე. თითქ-მის არაფერს სტოვებდა წაუკითხავს, თუმცა უკვე საკ-მაოდ ჰქონდა დაქვეითებული მხედველობა. მაინც, რა-საც თვითონ ვერ კითხულობდა, სხვას აკითხებდა, მოს-მენით იგებდა.

ერთხელ ამის გამო აღტაცება რომ გამოვთქვი, სე-რიოზულად ჩამილაპარაკა ბარათაშვილის სიტყვები: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს!“ მაგ-რამ რომ იზრუნო, უნდა იცოდე, რა აწუხებს, რა სჭირ-დება შენს ხალხსო.

ტომეულების გამოცემა, მიუხედავად მათი მცირე ტი-რაჟისა (ათი ათასი ცალი გამოვიდა თითოეული ტომი), ძალიან გაჭიანურდა, ათი წელი გაგრძელდა. ვატყობდი, ბატონი სერგო განიცდიდა ამას მორალურადაც და მა-ტერიალურადაც, მეც ვუთანაგრძნობდი, მაგრამ საქმით რომ ვერ ვეხმარებოდი, გული მწყდებოდა.

ერთხელ ბატონმა სერგომ მითხრა: ნიჭი დიდი ფაქ-ტორია მწერლის შემოქმედების განვითარებისათვის, მაგრამ მწერლური იღბალიც თუ არ დაჰყვება, დაიჩაგ-რებაო.

ერთ დღეს შესვენებიდან რომ დავბრუნდი, მაგიდაზე ბატონ ალიო ადამიას წერილი დამხვდა (ეს ბარათი დღე-საც ინახება ჩემს არქივში): „ქალბატონო ნანა, ბატონ-მა სერგომ გთხოვათ, აუცილებლად დაურეკოთ შინ. ა. ადამია“.

მე მაშინვე დავრეკე სერგო კლდიაშვილთან, მაგრამ ქალიშვილმა მითხრა, ჯერ არ დაბრუნებულაო. დავინ-

ტერესდი, რა უნდა ყოფილიყო და ამბის გასაგებად ადამიასთან ჩავედი, გამომცემლობის მაშინდელ მთავარ რედაქტორთან.

შევედი კაბინეტში და ვხედავ, ბატონი სერგო იქ არის.

— მობრძანდით, ჩემო ბატონო, მობრძანდით,— მითხრა ბატონმა სერგომ და სკამი შემომთავაზა დასაჯდომად. ბატონმა ალიომ რაღაც მანიშნა თვალით, მაგრამ ვერ მივხვდი და მოლოდინში, რას მეტყოდა ან ერთი, ან მეორე, კართან გავჩერდი.

— ჩემო ბატონო ნანა,— დაიწყო სერგო კლდიაშვილმა,— სულ ფერებ-ფერებით რომ მიღებთ და მისტუმრებთ ამ გულზე გასივებულ ბერიკაცს, ტომეულების ასე დაგვიანებით გამოსვლასთან დაკავშირებით, თურმე ყველაფერში თავი და ბოლო მიზეზი თქვენა ყოფილხართ... საკადრისია ეს ქანა?

გაოგნებული მივაჩერდი ჯერ ალიოს, მერე სერგოს და უცებ მწყრალად ვთქვი:

— ბატონო სერგო, თქვენი არ მიკვირს, მე რომელი განმკარგულებელი ვარ, ამას რომ მსაყვედურობთ? აგერ გამომცემლობის მთავარი რედაქტორი და ეგერ, ამის კაბინეტის წინ — დირექტორი, ამათ მოჰკითხეთ პასუხი, რაღა დაბალ ღობეს გადაატეხეთ ჯოხი.

ბატონ სერგოს უცებ გაებადრა სახე და სიცილით უთხრა ნირწამხდარ ბატონ ალიოს:

— ხომ გითხარი, კანდელაკის ქალი ტყუილს არ მკადრებს, ახლა რაღას იტყვი, ჩემო ბატონო, ჰა?

— შენ რა გითხარი, ნანა,— გაეცინა ბატონ ალიოს,— ვახშამი წამაგებინე. როგორ ვერ მიხვდი, რომ შენს თავ-

ზე უნდა დაგებრალებინა ტომების დაგვიანება, გამიგონია უფროსების ასე გაწირვა?

— ჩაგეწერათ ეგ ამბავი იმ ბარათში, მაგიდაზე რომ დამიტოვეთ და დავიბრალებდი, აბა, რას ვიზამდი,— მეც ავყევი მათ სიცილში.

მეორე დღეს ბატონმა ალიომ, საუზმეზე დაგვპატიჟა „ივერიაში“: სერგო კლდიაშვილი, ალექსანდრე ქუთათელი და მე. ვინ გაეკარა საჭმელს, მთელი ის ნახევარი საათი, თუ ცოტა მეტი, სულ სიცილსა და ხუმრობაში გავატარეთ.

ამით ის მინდოდა მეთქვა, თუ რა დიდსულოვანი ადამიანი იყო ბატონი სერგო და როგორ შველოდა მას ბევრი უსიამოვნების იუმორით დათრგუნვა.

წინა გამოცემების დაკრულ გვერდებში, რომელიც დედნად იყო წარმოდგენილი, ბევრი კორექტურა მხვდებოდა. ასეთ შემთხვევაში ყოველთვის ბატონ სერგოს ვურეკავდი შინ და ვაზუსტებდი, ზოგჯერ კი თვითონ მოვიდოდა და ადგილზე ვასწორებდით. ერთხელაც რომ მოვიდა, სანამ საჭირო გვერდებს მოვნახავდი, ჩემთვის ჩუმად ჩავიღიღინე ცნობილი რომანსი: „Отцвели уж давно, хризантемы в саду“.

ბატონმა სერგომ თქვა:

— ეს ჩემი საყვარელი რომანსია და, როცა თბილისში ჩამოდიოდა კონცერტებით თამარ წერეთელი, მუდამ პირველ რიგში ვიჯექი რადგან დღემდე მას ამ რომანსის უბადლო შემსრულებლად ვთვლი. ახლა კი უფრო „Ямщик, не гони лошадей“ მიყვარს, წავიდა, წავიდა ცხოვრება და მართლაც, სადღა მეჩქარება... იყო კი დრო, ესენინი რომ ჩამოდიოდა და ვალოდია მაიაკოვსკი, გიუ-

ვარდეს, დროს ვატარებდით... რა საღამოები ეწყობოდა, რა ლექსებს ვისმენდით... როგორ მოულოდნელად დავკარგეთ ორივე... ასე მწარედ მერე მხოლოდ პაოლო და ტიციანი დავიტირე...

ბატონმა სერგომ დიდი ამავი დასდო თავისი სიყრმის მეგობარს, უდროოდ გარდაცვლილ ახალგაზრდა, იმედისმომცემ პროზაიკოსს სანდრო ცირეკიძეს და უხაროდა, რომ მეოთხე ტომში დაიბეჭდა მისადმი მიძღვნილი წერილი და იმისი რამდენიმე მინიატურა. უნდოდა შეეკრიბა ყველა მისი ნაწერი, გამოეცა, ცოდვაა, ასე უკვალოდ რომ დარჩესო, მაგრამ ველარ მოახერხა, ავადმყოფობამ დაჯაბნა.

ბატონი სერგო ძალზე მოკრძალებული ადამიანი იყო. განურჩევლად ასაკისა, ყველას მიმართავდა „თქვენობით". თავის შემოქმედებაზე არ უყვარდა ლაპარაკი, უფრო სხვის ნაწარმოებებზე საუბრობდა. ხშირად უთქვამს:— კარგ ლექსს, ან მოთხრობას რომ წავიკითხავ, იმ დღეს ყველაფერი მიხარიაო.

პირველი ტომის საავტორო ცალები რომ ჩავაბარე, ვერ მოვითმინე, არ დამიფარავს აღფრთოვანება მისი „სვანური ნოველებით".

შევატყვე, ესიამოვნა, იატაკს დააჩერდა და ხმადაბლა ჩაიდუდუნა:

— კი, ჩემო ბატონო, „სვანურმა ნოველებმა" მკითხველის მოწონება დაიმსახურა...

— კრიტიკისაც, ბატონო სერგო.

— კრიტიკას ნაკლებად ვენდობი,— ეშმაკურად გაელიმა,— მე კარგად ვიცნობ მაგათ სამზარეულოს, თუმცა კრიტიკის მთლად უარყოფაც არ შეიძლება, კრიტიკა

ყველას აფხიზლებს, ჩვენც, მწერლებს. ეს კი საჭიროა შემოქმედისთვის.

— მე თქვენი „მყუდრო სავანეც“ მომწონს. იმ წლებზე თითზეჩამოსათვლელი ნაწარმოებები გვაქვს, ჰოდა, ერთ-ერთი თქვენი რომანია.

— პირველ რიგში აქ მოსახსენებელია ქუთათელის „პირისპირ“, ღირსშესანიშნავი ნაწარმოებია, ფართო ტილო, მრავალპლანიანი. მიყვარს ეს წიგნი.

მოგვიანებით, ბოლო ტომები რომ გამოვიდა, ერთხელ ბატონი ალიო მირცხულავა იყო ჩვენთან და ბატონ სერგოს უთხრა:

— მამა-შვილმა კლდიაშვილებმა, ფასდაუდებელი მეშუარული ლიტერატურით გაგვამდიდრეთ... ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე ორივეს მოგონებები... იმის მოგონებები, მეგონა, ყოვლისმთქმელი იყო და რამე თუ დაემატებოდა, ვერ წარმომედგინა. მაგრამ ახლა თქვენი ტომები რომ წავიკითხე... ბარაქალა! ალბათ, კიდევ გაქვთ სათქმელი, დაწერეთ. სერგო ჩემო, მოლოდინში ვიქნები.

— დასაწერი ყველას რაღაც გვაქვს... მეც, თქვენც... ოღონდაც, ბატონ დავითთან მე რა მოსატანი ვარ...— ოდნავ წამოწითლდა ბატონი სერგო და ეს არ იყო პოზა. იგი ეთაყვანებოდა თავის მამას — ,,წერალ დავით კლდიაშვილს და საუბარში მუდამ ბატონ დავითს უწოდებდა.

მწერლებიდან დიდ პატივს სცემდა ნიკო ლორთქიფანიძეს, ლეო ქიაჩელს, გალაკტიონს, სიმონ ჩიქოვანს. უყვარდა ბესო ჟღენტი. ბატონი ბესო რომ გარდაიცვალა, დამირეკა და გულისტკივილით მითხრა:

— ბესოს ბადალი ბობოქარი ორატორი მეორე არა გვყავს და არც შემცვლელი რომ არა ჩანს... ამ დანაკლისით ბევრი ეაკლდება ქართულ კრიტიკულ აზროვნებას და ლიტერატურისმცოდნეობასაც...

მეგობრობდა ალექსანდრე ქუთათელთან და გიორგი ნატროშვილთან.

— გოგიმ თავისი მანქანით ბუნებაში გაგვიყვანა... კარგი პური ვჭამეთ, გემრიელადაც ვიმასლაათეთ... ვოცნებობდით ახალ ნაწარმოებებზე... გოგი ჩვენთან შედარებით ახალგაზრდაა, დასწერს, ჩვენ კი... სამი მოთხრობა რომ დამაწერინა...

— დასწერთ, ბატონო სერგო.

— დავწერ, მაშ, რაც ვიზამ,— მესმოდა ყურმილში მისი სიცილი,— მე შენ გეტყვი, თემების ნაკლებობაა... მთავარია, ზუსტად მიაგნო, შენეული რომელია... ვარჯიშის დრო გაფრინდა...

ბატონ საშა ქუთათელის გარდაცვალების შემდეგ იშვიათად მირეკავდა, უგუნებოდ ვარ და არ მინდა შენც გადმოგედოსო.

ერთხელ დამირეკა და ნაღვლიანად ჩამილაპარაკა:

— გავისეირნეთ მანქანით მე და გოგიმ, სულ მოგონებებში ჩაიარა ჩვენმა საუბარმა... ეს სიბერის მომასწავებელია... ო, როგორ მძაგს სიბერე, უძლური ხდები ადამიანი... არადა, სულ გინდა რაღაც გააკეთო, რაღაც შემატო ქვეყანას და ვაი, რომ სურვილი დაბეჩავებული ჰყავს უძლურებას... მენატრება თვითონ წავიკითხო გაზეთი, ჟურნალი, წიგნი... მიჩერებული ვარ რადიოს, იმით ვიგებ ქვეყნის ამბავს... დაილოცოს მისი მომგონი...

ხშირად შევახსენებდი ხოლმე, გაეგრძელებია მოგონებების წერა. მეუბნებოდა, ვწერ და წიგნად გამოცემას რომ დავაპირებ, რედაქტორი შენ იქნებიო. მაგრამ დაწერა? გადაიტანა ქაღალდზე თავისი ხანგრძლივი და მჩქეფარე ცხოვრების ყველა თვალსაჩინო შეხვედრა, ეპიზოდი?

არ ვიცი. მე კი დამრჩა შესანიშნავი მწერლის წიგნები გულთბილი წარწერებით და მეამაყება, რომ მისი მცირედი სამსახური მარგუნა ბედმა.

1986

კაკლის მურაბიანი ქილა

1949-54 წლებში, სოხუმში ცხოვრებისას, ძალიან ბევრ საპატივცემულო და საინტერესო ცნობილ მოღვაწეს დავუახლოვდი, რამაც დიდი კვალი დასტოვა ჩემს მეხსიერებაში. ამჯერად კი მინდა ერთი ეპიზოდი გავიხსენო, რომელიც უთუოდ საინტერესო იქნება მკითხველისათვის.

მაშინ მრავალი ინტელიგენტი თბილისიდან სამუშაოდ სოხუმს ჩამოვიდა, მათ შორის დიმიტრი ჩარკვიანი, რომელიც ფიზიკის კურსს კითხულობდა პედაგოგიურ ინსტიტუტში. ის ჩემს მეზობლად ცხოვრობდა, საზაფხულო ფილარმონიის თეატრის პირდაპირ. ასაკის მიუხედავად, თავიდანვე ძალიან დავმეგობრდით და ხშირად მასთან ერთად სასეირნოდ მივდიოდით მე და ჩემი ქმარშვილი ზღვის სანაპიროზე.

ერთხელ ბატონი დიმიტრი გაცივდა, შეუძლოდ გახ-

და და კარგა ხანი ვეღარ გამოდიოდა სასეირნოდ. მასთან ქალიშვილი ჩამოვიდა მოსავლელად თბილისიდან და მამას კაკლის მურაბა ჩამოუტანა თურმე.

დილით, ბაზრიდან მომავალი ლალა შემეხმაურა, გადმოდი, ერთად ვისაუზმოთო. გოგონა საბავშვო ბალში იყო, მეუღლე სამსახურში, შინ მარტო ვიყავი და ვესტუმრე ჩარკვიანებს.

საუზმობას რომ მოვრჩით, ბატონმა დიმიტრიმ ორი პატარა ქილა მომაწოდა, მითხრა: ერთი შენს გოგონას წაუღე და მეორე — ნუ დამზარდები და ბატონ შალვა დადიანს მიართვი ჩემგან, გაეხარდებაო.

მადლობა გადავუხადე ბატონ დიმიტრის ყურადღებისათვის და დავპირდი, რომ ახლავე წავუღებდი მურაბიან ქილას დადიანს, მით უფრო, რომ ის სულ ახლოს ცხოვრობდა ჩვენგან და მასთან მისვლა სულ არ წარმოადგენდა სიძნელეს.

მივედი ბატონ შალვასთან, მოვიკითხე, აქეთური ვთქვით, იქეთური და ბატონ დიმიტრის ძღვენი გადავეცი.

— შეხედე, რა კაცი ყოფილა ჩვენი დიმიტრი, რა ყურადღებიანი... დიდი მადლობა გადაეცი, მაგრამ... ერთი რაღაც რომ გითხრა, შემინახავ საიდუმლოებას?— თვალები მოწკურა და ღიმილით შემომხედა.

— მენდეთ... რაც არ უნდა იყოს, გულში ჩავიმარხავ.

— აბა, თუ ასეა, დიმიტრის ჩემგან დიდი მადლობა გადაეცი და ეს ქილა კი დგებუაძის ქალებს წაუღე, ესიამოვნებათ.

— ფუცუს და პაუსიას?.....

— ჰო, იმათ, ოღონდაც ახლავე, რომ სადილს ჩაიც დააყოლონ მურაბით.

— კი, ბატონო, ახლავე წავუღებ,— ვთქვი, ქილა შევინახე ჩანთაში და ავუყევი გზას ქალბატონ ფუცუსკენ.

მივედი დგებუაძეებთან. გაეხარდათ ჩემი მისვლა. ლეილა დადიანი მოიკითხეს, ისიც რატომ არ მოვიდაო. ლეილა მაშინ გამომცემლობის რედაქტორად მუშაობდა.

— მე საქმით ვარ, ბატონო, მოსული...

— რა საქმით? რა მოხდა?— აღელდა ფუცუ, ასე იცოდა, სულ შფოთავდა ხოლმე, სასიხარულო და საწყენი ამბავიც გულთან ახლოს მიჰქონდა.

— მურაბა მოგიტანეთ, ქალბატონებო, შალვა დადიანმა გამოგიგზავნათ,— მაგიდაზე კაკლის მურაბიანი ქილა დავდგი და განზე ჩამოვდექი.

— დედა, დედა, რა კაცია ეს ჩვენი შალვა, — გაიბადრა ქალბატონი ფუცუ.

— დადიანია, ჩემო ბატონო, იცის ქალის დაფასება,— თავი მოიწონა პაუსიამ (ის ხომ დადიანების რძალი იყო, ჟურნალისტის აგული დადიანის დედა).

— კი, კი, ქალის ფასი ნამდვილად იცის ჩვენმა შალვამ და აკი ცნობილია მისი თაყვანისცემა მანდილოსნებისადმი,— თქვა ფუცუმ, ქილას მოუალერსა და უცებ გაოცებით იკითხა:— კი, მაგრამ რა იცის შალვამ, რომ კაკლის მურაბა გვიყვარს მე და შენ, პაუსია?

— ამას წინათ, სადილად რომ გვყავდა, აღარ გახსოვს რომ თქვი, ჩაით რომ გავუმასპინძლდით მაშინ, ჩემს საყვარელ მურაბას მოგართმევთო და კიდევაც გამოიტანე კაკლის მურაბა. შალვამაც დაიხსომა ეს და აგერ, გამოიჩინა ყურადღება.

— კაცური კაცია შალვა, ნიკოს ვაჟი, აბა როგორ!— ისევ მოუალერსა ხელი ფუცუმ ქილას და ანაზდად მკითხა:— დიმიტრი როგორ არის, გეცოდინება...

— უკეთ არის, დღესაც ვნახე, ქალიშვილმა ჩამოაკითხა...

— ყოჩაღ, ლალა, აბა, მარტო აღარ იქნება ბერიკაცი... ჰოდა, რას გეტყვი თუ იცი, პაუსია, მოდი ეს კაკლის მურაბა, დიმიტრის გავუგზავნოთ. იცოდეს იმისმა ქალიშვილმა, რომ ყურადღებას არ ვაკლებთ აქ მეგობრები იმის მამას.

— გენაცვალე, ფუცუ, ძალიან კარგად მოიფიქრე ეგ ამბავი. ნანა არ დაგვზარდება და ახლავე ჩაუტანს დიმიტრის მურაბას, ოღონდაც ამის შესახებ არაფერი უნდა იცოდეს შალვამ, უხერხულია, ეწყინება.

— რანაირად გაიგებს, თქვენ არ ეტყვით და მე, მით უფრო,— სიცილს ძლივს ვიკავებდი, წამოვავლე ქილას ხელი და წავედი ჩარკვიანებთან.

ქილა მაგიდაზე რომ დავდგი, მამა-შვილს ფერი ეცვალა, დაგვიწუნა შალვამ მურაბაო?

რაღა დაგიმალოთ, ძალიან შეწუხდნენ და მე ვარჩიე ყველაფერი წვრილად მეამბნა.

ნეტავი გენახათ, რას იცინეს ორივემ და უცებ გადაწყვიტეს, მეორე დღეს სადილად მოეპატიჟათ — შალვა დადიანი, დები დგებუაძეები და მე.

სადილმა მხიარულად ჩაიარა და დასასრულს ლალამ ჩაისთვის რომ გაშალა სუფრა და მაგიდაზე ნაცნობი ქილა დადგა, სტუმრები გაისუსნენ და აქ, ბატონმა დიმიტრიმ იუმორის შეზავებით მოყვა ჩემი სიარულის ამბავი კარდაკარ კაკლის მურაბიანი ქილით ხელში.

ცრემლამდე იცინა ყველამ, შალვა ხარხარებდა ყველაზე მეტს. დაავლო იმ ქილას ხელი, მათლაფაში გადმოაპირქვავა, თვითონ გარეცხა სამზარეულოში, პირთამდე გაავსო ადესით და დიდებული სადღეგრძელო თქვა მეგობრობაზე, სიყვარულზე, თითო ყლუპი ყველას დაგვალევინა, შემდეგ თვითონ დაცალა ბოლომდე და თხოვა ძველ მეგობარს, ამ ლამაზი თავგადასავალის მოსაგონრად, ეს ქილა მისთვის ეჩუქებინა.

1988

მძიმე მგზავრობა

I

ვინც მოესწრო 1941 წლის 22 მაისს, ის ვერასოდეს დაივიწყებს იმ დღეს.

კვირა დღე იყო, ნათელი, მზიანი, გაზაფხულის პირველი თვის მიწურული. ზოგი შვებულებით დასასვენებლად მიდიოდა, მშობლები პიონერულ ბანაკებში ამგზავრებდნენ ბავშვებს, ბევრნი ქალაქგარეთ გასეირნებას აპირებდნენ, სტუდენტები კი ბოლო სესიის ჩაბარებისათვის ემზადებოდნენ.

ერთი სიტყვით, ყველა თავისი მშვიდობიანი საქმით იყო გართული.

და უცებ, მოულოდნელად მეხივით გავარდა ხმა:— გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს და გამოუცხადებლად ომი დაიწყოო.

ზოგმა არც დაიჯერა — რაღაც შეცდომაა, მაგრამ რადიოთიც რომ გადმოსცეს მთავრობის ცნობა ომის დაწყების შესახებ, ეჭვი გაიფანტა და ყველამ იგრძნო — ეს უბრალო ომი არ იქნებოდა, რომ წინ, ჩვენს სამშობლოს, ჩვენს ხალხს სასტიკი და დაუზოგავი ბრძოლა ელოდა, სამკვდრო-სასიცოცხლო ომი — ფაშიზმის სრულ განადგურებამდე.

უკვე შემოდგომის დასაწყისში თბილისის ვაგზალი და მისი შემოგარენი ქუჩები უკრაინიდან და ბელორუსიიდან ჩამოსული ლტოლვილებით გაივსო. ევაკუირებულებს ქართველი ხალხი ახლობლებივით შეხვდა, ბევრმა ოთახები დაუთმო. ომში წასულთა ადგილები ქარხნებსა და ფაბრიკებში ჩვენს ქალებთან ერთად მათაც დაიკავეს. ლუკმას და-ძმურად იყოფდნენ.

ფრონტიდან უსიამო ამბავი მოჰქონდა რადიოს და გაზეთებს...

განსაკუთრებით გაჭირდა 1941 წლის შემოდგომის მიწურულში. გააფთრებული ბრძოლები იყო მოსკოვის მისადგომებთან, ალყაშემორტყმულ ლენინგრადთან, მტერი მოიწევდა კავკასიისკენ.

1942 წლის გაზაფხულზე ქერჩის ტრაგედიით გულმოკლული ადამიანები პირად განცდებსა და სურსათის ნაკლებობაზე ხმას ვერც იღებდნენ. დღისით ყველა საქმით იყო დაკავებული და მოსაღამოვდებოდა თუ არა, შინ მიიჩქაროდნენ. ქალაქში საკომენდანტო საათი იყო შემოღებული, შუქშენიღბულ თბილისში ყველა სადარბაზოსთან და ალაყაფის კარებთან მოსახლეობა მორიგეობდა, რადგან იყო რამდენიმე შემთხვევა საჰაერო განგაშისა, მტრის თვითმფრინავების შემოჭრისა.

1942 წლის 19 ნოემბრიდან მკვეთრი გარდატეხა მოხდა ფრონტზე სტალინგრადის მიმართულებით. ეს გააფთრებული ბრძოლები ჩვენი ჯარის გამარჯვებით დაგვირგვინდა და თებერვლის პირველ რიცხვებში ცნობილი გახდა, რომ ფაშისტების 22 დივიზია ფელდმარშალ პაულიუსთან ერთად ალყაშემორტყმულია და ტყვედ იქნა აყვანილი.

და აი ამ ვითარებისას, მტერი მოზდოკში რომ იდგა ჯერ კიდევ 1943 წლის იანვარში, რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ახლად კურსდამთავრებული შვიდი ახალგაზრდა სპეციალისტი, კომკავშირის საგზურით სამუშაოდ გაგვაგზავნეს ჩრდილოეთში.

პირადად მე ურალში მომიწია წასვლა.

მგზავრობა მაშინ მხოლოდ შუა აზიაზე გავლით შეიძლებოდა და ჩემი მარშრუტი ასეთი იყო: თბილისი-ბაქო-კასპიის ზღვით კრასნოვოდსკი-აშხაბადი-ტაშკენტი-აქტიუბინსკი-ორენბურგი (ჩკალოვი), მაგნიტოგორსკი-სვერდლოვსკი-კუნგური.

ამ მანძილის დასაფარავად ოცდათოთხმეტი დღე დამჭირდა.

მძიმე მგზავრობა იყო... ყველა სადგური ლტოლვილებითა და ევაკუირებულებით იყო გაჭედილი. სუსხიანი ზამთარი იდგა, ციოდა და არც საჭმელის შოვნა იყო ადვილი. ყველაფერს ცეცხლისფასად ყიდდნენ შავ ბაზარზე. ადამიანებს ამდენ წანწალში შემოაცვდათ ტანსაცმელი, ბარგი ზოგი დაკარგეს გზაში, ზოგიც მიაგდეს, რადგან ძალიან ძნელი იყო მგზავრობა. პატარა ფუთა თუ ებადათ — ეს იყო და ეს.

მაგრამ მოქანცულები და დადარდიანებულები, გამ-

ხდარი უჭმელვბით და ხანგრძლივი წანწალით, ერთს არავინ დაიწუწუნებდა. ცრემლგამშრალნი ერთმანეთს ეხმარებოდნენ სრულიად უცნობები, ლუკმას უყოფდნენ და ეს დუმილით გამოხატული ყურადღება და სითბო, რისხვას უფრო ჰმატებდა მტრისადმი ადამიანებს. რაღაც საოცარი ერთობლიობა იგრძნობოდა, მზადყოფნა ყოველგვარი თავგანწირვისათვის მამულის დასაცავად.

ამ ოცდათოთხმეტი დღის განმავლობაში ვის არ შევხვდი, რა პროფესიისა და ეროვნების ადამიანს. რამდენთან გამიტეხია პური, რამდენთან დამილევია ჩაის მაგივრად უბრალო მდუღარე წყალი, რომელიც იმდენ სითბოს გვგვრიდა მაშინ და ისეთი გემრიელი გვეჩვენებოდა, ეს თუ თვითონ არ გამოსცადე, ამის ახსნა და გადმოცემა მეტად ძნელია.

ყველაზე დიდხანს ტაშკენტში მოგვიხდა ყოფნა.

ვერა და ვერ დავამოწმეთ ბილეთები. დაღლილობისგან ფეხზე ველარ ვიდექით, არადა, ვერც მოედანზე გავდიოდით სუფთა ჰაერზე, სიცივის გამო. თითქოს ჯინზე დიდი ყინვები იდგა. ხალხით გაჭედილ მოსაცდელ დარბაზში ბოლოს ორი ადგილი მაინც გამოვძებნეთ და რიგრიგობით გვეძინა, ხან ფანჯრის რაფაზე, ხან ცემენტის იატაკზე.

როგორც იქნა, მესამე ღამეს მეც მომიწია ძილის რიგმა. თავქვეშ ამოვიდე ჩემი ზურგჩანთა, დავწექი იატაკზე და მკვდარივით დამეძინა. შუაღამისას წვიმილკივილი ატყდა. ბურანში მყოფმა თვალი გავახილე, მაგრამ რომ მიყვირეს აქეთ-იქიდან,— ადექი, ახლავე ადექით, ადგომით არ ავმდგარვარ, უფრო შიშით, ადგილი არ დამეკარგა და ნელა წამოვჯექი.

— გოგო, მკვდარი გიწევს გვერდით, ტიფიანი, მოშორდი ახლავე! — მიყვიროდნენ ჩვენებიც, უცნობებიც.

— მე ტიფი მოხდილი მაქვს,— ეს კი ვთქვი, ძილმონატრული ისევ დავწექი და თვალი მოვხუჭე.

ამ დროს სანიტრები მოვიდნენ, ექიმიც, ის საცოდავი წაიყვანეს საკაცით, მე ხელი გამკრა ექიმმა და დამძახა; დილით გამოიარე მედპუნქტში მაინც, სტრეპტოციდს მოგცემენ, ისე, თავის დაზღვევისათვისო. მაშინ სტრეპდოციდი უკვდავების წამლად მიგვაჩნდა ყველას და ალბათ, ექიმმაც იმიტომ მითხრა, მაგრამ დილამდე გემრიელად მეძინა და მერეც აღარ გამხსენებია მედპუნქტში წასვლა. მოგვიანებით უფრო იმაზე ვფიქრობდი, რა დაღლილი ვიყავი, როგორ მეძინებოდა (შიში რა სათქმელია, როცა გონებას ერთი ფიქრი აქვს დაუფლებული — გამოიძინო!), რომ არც შევკრთი და იმ წიოკობისთვის ყურიც არ მითხოვია, ისე განვაგრძე ძილი.

დღის მეორე ნახევარში გამაღვიძეს მაინც, დარბაზის დამლაგებლებმა. წამოვდექი, წამოვათრიე ჩემი ზურგჩანთა და მოედანზე გამოვედი. ციოდა, — 15 გრადუსი იყო. მოედანზე გიზგიზებდნენ კოცონები. ხალხი შემოკრებილი იყო მათ გარშემო და თბებოდნენ.

როგორც იყო, ჩვენები მოვძებნე. ღიმილით შემხვდნენ,— რაო, გამოიძინეო? თავი რომ დავაქნიე მორიდებით, გაეცინათ. ბიჭებმა პალტო გამაძრეს, დეზინფექციის თვალსაზრისით თოვლში გაბერტყეს და აღარ მახსოვს, ვიღაცამ თქვა,— მოდით ტრამვაით გავისეირნოთ, ტაშკენტი დავათვალიეროთ, თორემ აქ გავიყინებით, სანამ დარბაზში შეგვიშვებენო.

წინადადება უმალ მოწონებული იქნა და იქვე, მოედანზე, გაჩერებისკენ გავემართეთ.

ვხედავთ, მოდის მწყობრად მიჯრილი ასეული. აბანოდან მოდიოდნენ და მხიარულად გაიმღეროდნენ.

ვდგავართ და ვუცქერით მათ.

— ნეტავი ამათ,— თქვა დათო გიორგაძემ (ის ვოლოგდაში მიდიოდა, მერე ამბავი მოვიდა მოგვიანებით, ლადოგის ტბაზე ტრასის გაყვანის დროს მუშაობისას დაიღუპაო),— მივლენ ახლა ნაწილში და გემრიელ, ცხელ ბორშჩს მიირთმევენ... ჩვენ კი, რა ხანია მდუღარე წყლის მეტი არაფერი გვრგებია...

ამის თქმა მოასწრო და მოულოდნელად მესმის:

— ნანაა... ნანკა კანდელაკიი...

გონს ვერ მოვასწარი მოსვლა, ვიღაც მომეხვია და მკოცნის.

— რეზო... აქ მსახურობ? ბავშვებო, ვერ იცანით? რეზო ფარცხალაძეა, ჩვენს წინა კურსზე იყო, მექანიკურზე,— ვყვირი სიხარულით და მეც ვკოცნი.

რა თქმა უნდა, ყველამ იცნო რეზო, შემოეხვივნენ ჩვენები. მერე უცებ მივჩუმდით, მოულოდნელი შეხვედრით გაოგნებულები დავდუმდით.

— აქ საიდან? საით გაგიწევიათ?— გვკითხა რეზომ.

— მივდივართ, ძმაო, ჩრდილოეთში, ზოგი საით, ზოგი საით...— ვუთხარი და სიტყვა გამეყინა, რადგან უცებ წარბშეკრული უფროსი ლეიტენანტი თავს დაგვადგა. გაუჯავრდა რეზოს, მწყობრი როგორ დასტოვე და უნებართვოდ რად გამოხვედიო.

— Виноват, товарищ старший лейтенант, не

удержался, земляков встретил, товарищей по институту, на Север едут...

უფროსმა ლეიტენანტმა შემოგვხედა, გაგვიღიმა და მეგობრულად გვითხრა:

— Раз такая встреча, приглашаю в часть, становитесь в строй!

ჩამოვმწკრივდით მაშინვე ასეულის ბოლოში შვიდივე და ასე ვიარეთ ნაწილამდე. იქ კარგად გაგვიმასპინძლდნენ, მერე კლუბში მიგვიპატიჟეს და მართლა დაუვიწყარი დრო გავატარეთ. ვიმღერეთ, ვიცეკვეთ, ჩვენც კმაყოფილები დავრჩით და მასპინძლებიც.

განსაკუთრებით რეზომ გაიხარა, თავს იწონებდა ამხანაგებით. მოგვიანებით სატვირთო მანქანით მიგვიყვანეს სადგურში. რეზომ ყველა გადაგვკოცნა და დამშვიდობებისას გვითხრა:

— თუ გადავრჩებით, აუცილებლად შევხვდეთ ერთმანეთს თბილისში...

სამწუხაროდ იმ ჯგუფიდან უმრავლესობა დაიღუპა, დანაპირები ვეღარ შევასრულეთ. რეზოს კი ვხვდები დღესაც. იგი პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორია, ვალმოხდილი მამულისშვილი და კარგი მოქალაქე.

ტაშკენტიდან წამოსულებს ისევ გადაჯდომა მოგვიხდა ორენბურგში (მაშინ ჩკალოვი ერქვა). აქ ოთხნი წავიდნენ მოსკოვი-ვოლოგდა-ლენინგრადისკენ, სამნი — სვერდლოვსკის მიმართულებით. ჟენია მარჩენკო მაგნიტოგორსკში დარჩა და იქ დაიღუპა, საცოდავი. ლიანდაგის რემონტს ხელმძღვანელობდა, ვერ დაუნახავს მომავალი ორთქლმავალი, მერე რომ შეუნიშნავს, უკვე გვიან ყოფილა...

ორენბურგშიც სამი დღე მოგვიხდა ყოფნა. პირველი ღამე სადგურში იატაკზე გვეძინა. მეორე დილით დამლაგებელმა მითხრა,— აბა თქვენი აქ ძილი როგორ შეიძლებაო (რით მოვაწონე თავი, არ ვიცი), წამოდით ჩემთან, სითბოში მაინც იქნებითო.

ქვრივი ქალი იყო, ქმარი ომში დაღუპვოდა, ბიჭისაც არაფერი ვიცი და ვარ ასე მოლოდინშიო. ძალიან კარგად მიგვიღო. ჩვენც გავუყავით ჩვენი წილი ულუფა საჭმელებისა. ქართული ჩაი მქონდა წამოღებული და დავუტოვე. ბიჭებმა შეშა დაუპეს, კოხტად მიულაგეს.

იმ ღამეს გვიანობამდე ვსაუბრობდით. ორი ბიჭი ჰყავდა — მოსწავლეები. ინტერესით ისმენდნენ ჩვენს მონაყოლს საქართველოზე. ერთი ოცნებობდა მეზღვაურობაზე. ნეტავი თუ აუხდა სურვილი...

ბილეთებიც ჩვენმა დიასახლისმა აგვიღო და გამომშვიდობებისას გვითხრა:

— ხომ დიდი უბედურებაა ეს ომი, მაგრამ სიკეთეც მოიტანა: ადამიანები უფრო დაგვაახლოვა, შეგვაკავშირა, რაღაც ნათესავური სიყვარული გაგვიჩინა. აბა, ასე რომ არ ყოფილიყო, რად მოგიყვანდით ჩემსა. მაგრამ ასეა: კაცი — კაცითაო...

გამომშვიდობებისას გვინდოდა ფული დაგვეტოვა, მაგრამ არ გამოგვართვა დიასახლისმა, ფულით ნაყიდი სიკეთე შებილწულია და არარაა მაშინ ადამიანური და დიდბუნებოვანიო.

უბრალო ქალის ეს ნათქვამი, არ დამავიწყდება, სანამ ცოცხალი ვარ.

მეხსიერებაში დამრჩა სვერდლოვსკის სადგურიც. აქაც გაგვიჭირდა ბილეთების შემოწმება.

ორნი დავრჩით — მე და ედიკა შუმსკი. აქაც ზღვა ხალხი ირეოდა სადგურში — მოსაცდელ დარბაზში, თუ მოედანზე. ძალიან ციოდა და ვინც გარეთ დარჩა, დღე და ღამე კოცონები ენთოთ, ხელ-ფეხს ითბობდნენ, იქვე ჭამდნენ და მორიგეობით დასაძინებლად დარბაზში შემოდიოდნენ ხოლმე.

საოცარი დისციპლინა იყო, ვერავინ გაბედავდა ამ დაუწერელი წესის დარღვევას.

უკვე ერთი თვე გავიდა, რაც თბილისიდან წამოვედით, საშინლად დაღლილები ვიყავით, მაგრამ ამაზე არ ვლაპარაკობდით. ახლა უკვე შორი აღარ იყო დანიშნულ ადგილამდე და იქნებ ესეც გვასულდგმულებდა.

მიუხედავად სივიწროვისა, სადგურის კომენდანტი ხშირად ჩამოივლიდა ხოლმე დარბაზში და პატრულთან ერთად საბუთებს სინჯავდა. მაინცდამაინც ჩვენ აგვიჩემა, მე და შუმსკი, დოკუმენტები ვადაგასული გაქვთ და აქედან თუ არ წახვალთ, დაგაპატიმრებთ, როგორც დეზერტირებსო.

— დაგვეხმარეთ, შეგვამოწმებინეთ ბილეთები და წავალთ,— ვუთხარი განაწყენებულმა,— გგონიათ, ძალიან გვსიამოვნებს ამ სადგურის იატაკზე რომ ვყრივართ? ერთი თვეა ვმგზავრობთ...

— ჩადექით რიგში და შეამოწმეთ, მე არ შემიძლია ყველას დავეხმარო — მკაცრად თქვა და გაგვეცალა.

დავდექით ისევ გრძელ რიგში, თავი და ბოლო რომ არ უჩანდა. ხუთი საათი ლოდინი ამაო გამოდგა, სულ რაღაც ათი ნაბიჯით წავიწიეთ და გამოაცხადეს, ბილეთები აღარ გაიცემაო.

სასოწარკვეთილებმა ბევრი ვიბორიალეთ და, რო-

გორც იქნა, ვიპოვეთ იატაკზე დასაჯდომი ადგილი. ამოვიღეთ ჩვენი უკანასკნელი პურის ნატეხი, ორად გავტეხეთ და ჩაფიქრებულებმა ჭამა დავიწყეთ. საფიქრალი მართლაც მძიმე იყო, ვიცოდით, აღარ შეიძლებოდა აქ დარჩენა, რადგან საამისო აღარც ნებართვა გვქონდა, აღარც ფული და აღარც საჭმელი, რადგან უსაბუთოდ არავინ მოგვცემდა პურისა და ძეხვის გასაცემ ტალონს.

მოულოდნელად 7-8 წლის ბიჭუნა მოგვიახლოვდა, გამხდარი ხელი გამოგვიშვირა და ცრემლმორეულმა გვითხრა:

— თუ შეიძლება, სულ პატარა პურის ნაჭერი გაიმეტეთ, ერთი ლუკმა მაინც... დაიკოს შია, ლამის არის დედაჩემს მოაჭამოს გამშრალი ძუძუ... მე ჩემთვის არა გთხოვთ, მე გავძლებ, მაგრამ ის... დედა მეცოდება... ძალიან გთხოვთ...

მე და შუმსკიმ ერთმანეთს შევხედეთ. თვითონაც დილიდან მშივრები ვიყავით და ამ ორი პატარა ნაგლეჯი პურის მეტი აღარაფერი გვებადა, მაგრამ ბიჭი ისეთი თვალებით მოგვჩერებოდა, ახლა უარის თქმა წარმოუდგენელი იყო. გავუწოდეთ ჩვენი ულუფა და ვეღარც ვერაფერი ვუთხარით. გახარებულმა თავი დაგვიკრა, იმასაც არაფერი უთქვამს და ხალხში შეერია, დედისკენ გაემართა. ჩვენ წამოვდექით და, არ ვიცი რატომ, თვალი გავადევნეთ. ვხედავთ, ქალმა პურის ორივე ნატეხი მკერდში ჩაიკრა და უცებ ისტერიული ღრიალი მორთო.

თურმე ამის უნებლიე მოწმე მორიგე კომენდანტიც გამხდარიყო. მივიდა მათთან, გამოჰკითხა ბიჭს, რად ტიროდა დედა, ბიჭმა ჩვენსკენ გამოიშვირა ხელი, ალბათ,

უთხრა ყველაფერი, კომენდანტი ჩვენთან მოვიდა და ღიმილით გვითხრა:

— მომეცით ბილეთები, შეგიმოწმებთ და თვალით ალარ დამენახვოთ... გეყოთ აქ ოთხი დღე ყურყუტი... ალბათ არ დაივიწყებთ ამ სადგურს...

საღამოს თერთმეტის ნახევრისათვის ჩქარი მატარებელი ვლოდივოსტოკი-მოსკოვი უნდა ჩამომდგარიყო. ბაქანზე გასასვლელი კარი ნახევარი საათით ადრე გააღეს და პატრული მორიგე რკინიგზელთან ერთად ამოწმებდა საბუთებს და ბილეთებს. ერთ-ერთი მგზავრი უბილეთო აღმოჩნდა ამ კართან მოგროვილ აუარება ხალხში, პატრულმა უბრძანა უკან დახევა. მგზავრი გაჯიუტდა, ჰოსპიტლიდან მოვდივარ, შინ მეჩქარებაო. ამ ლაპარაკში იხუვლა ხალხმა, ამან არეულობა გამოიწვია, ყველა მიაწყდა კარებს, კარი შეგლიჯეს და ბილეთიანიც და უბილეთოც ბაქანზე გარბოდა.

მე და შუმსკი გაგვთიშა ხალხმა და თვალი ვერ მივაწვდინე, საით წავიდა. არადა, ორივე ბილეთი თავიდან მას ჰქონდა, მერე მოულოდნელად მითხრა, ჯობს შენი შენა გქონდეს, რა ვიცი, რა შეიძლება მოხდესო და აი, მართლაც მოხდა გაუთვალისწინებელი რამ.

ბაქანი ცუდად იყო განათებული, უამრავი მგზავრი ზუზუნებდა, ზოგი ვიღაცას ეძახდა, ზოგი ტიროდა. ეტყობა, ჩემი არ იყოს, ბევრმა დაკარგა არეულობაში ერთმანეთი.

„ნუთუ განგებ ისარგებლა არეულობით შუმსკიმ?“— მოულოდნელად გამიელვა გონებაში და თითქოს რაღაც ჩამწყდაო, მწარე ტკივილი ვიგრძენი გულში.

ვიდექი გაოგნებული, სულ მარტო და მივჩერებოდი

ფუტკრის სკასავით მოფუსფუსე ადამიანებს, სულ რომ გარბოდნენ და გამორბოდნენ, სულ რომ გაჰკიოდნენ და ვიღაცას მოუხმობდნენ. მოულოდნელად ცრემლი წამსკდა და, სასოწარკვეთილმა მთელი ხმით ვიყვირე:

— შუმსკი... სადა ხარ, შუმსკი... ხმა გამეცი, შუმსკი...

ხმა არავინ გამცა, მაგრამ ამ დროს ჩამოდგა მატარებელი და ეს მთელი ხალხი იმას რომ მიაწყდა და მეც ჩემდა უნებურად ამ ტალღაში რომ მოვხვდი, უცებ გამოვფხიზლდი და გავიქეცი მეათე ვაგონისკენ.

რა თქმა უნდა, ვაგონთან ახლო მისვლაც კი შეუძლებელი იყო. გამცილებელმა შეუშვა ათამდე მგზავრი და მერე რის ვაი-ვაგლახით კარი მიკეტა.

„ვაი, რაღა მეშველება? დავრჩები და როგორ შეიძლება ჩემი დარჩენა...“— გავიფიქრე შეძრწუნებულმა და ისევ მოვუხმე შუმსკის, სირბილით და ყვირილით გავირბინე ბაქანი და უცებ მონუსხულივით გავჩერდი. ახლა არც ვიცი, რაზე ვფიქრობდი მაშინ. ვგრძნობდი, რომ ვრჩებოდი, ბილეთით ხელში ვრჩებოდი და უიმედოდ მივჩერებოდი აფორიაქებულ მგზავრებს.

— ვერც თქვენ დაჯექით?.. მეც ვრჩები... მაგრამ არის ერთი გამოსავალი. თუ თანახმა იქნებით, წავალთ, არადა, მარტო ვერ გავბედავ... ტაგანროგიდან როსტოვამდე ისე ვიმგზავრე ბავშვით.

— რა შესაძლებლობაა?— უხალისოდ ვკითხე.

— ბუფერებზე დავდგამთ ამ პატარა ჩემოდანს, ზედ დავსხდებით და წავალთ.

— ამ ყინვაში?

— მერე მოვუბრახუნებთ გამცილებელს და გაგვი-

ღებენ კარს, აუცილებლად გაგვიღებენ, გაგვიღებენ...— ისეთი დარწმუნებით თქვა ქალმა, მაშინვე დავთანხმდი.

ორივე გავძვერით მატარებლის ქვეშ, ის პირველი ავიდა ბუფერზე, დადგა ჩამოდანი, მერე ხელი გამომიშვირა, მეც ავედი და მატარებელიც დაიძრა.

გზაში ქალმა გამაფრთხილა:

— მთავარია არ დაგვეძინოს. ვილაპარაკოთ, ვამოძრაოთ ხელი, ფეხი. ფეხები ვაბაკუნოთ, თორემ გავიყინებით, ძალიან ყინავს. ცოტა დრო გავიდეს, ნახევარი საათი მაინც და მერე ავტეხოთ ბრახუნი. ნახავთ, გაგვიღებენ კარს.

ის მართლაც სულ ლაპარაკობდა. მიამბო, როგორ გამოიქცა ოკუპირებულ ტაგანროგიდან. როგორ დაეღუპა მერე ტყეში წოწიალის დროს ბიჭუნა და დედამთილი.

— განა მართლა მოხუცი ვარ, ჯავრმა გამტეხა, ამ ომმა... ახლა მიკვირს კიდევაც, რომ არ შევიშალე ჭკუიდან... ნათესავთან მივდივარ, ვიმუშავებ... ეჰ, ცოცხალს ეშველება, იმათ კი...— ღრიალი მორთო გამწარებულმა.

მისი ხმა ნანინასავით მესმედა, ძილი მერეოდა.

ის კი სულ ლაპარაკობდა, ხანაც ტიროდა და ისევ მიყვებოდა თავგადასავალს.

ჩრდილოეთში სადგურები ისე ახლოს არ არის, როგორც ჩვენთან. ქალმა გული რომ იჯერა ლაპარაკით, კარზე დააბრახუნა, მითხრა — სადგურს რომ ველოდოთ, კიდევაც გავიყინებითო და ისევ მუშტი შემოჰკრა კარს, მაგრამ მატარებელი მიჰქროდა და ბორბლების ხმაურში ალბათ, არც ესმოდათ ჩვენი ბრახუნი.

— კარი გააღეთ, მუდრეგებო, აქ თქვენი რკინიგზე-

ლია, არ გესმით? კარი გააღეთ... გაგვიღეთ კარი...— გაჰკიოდა ქალი.

როგორც იქნა, მატარებელი რომელიღაც სადგურზე გაჩერდა და აქ იძალა ქალმა, აბრახუნა და აბრახუნა კარზე, სანამ კარი არ გაიღო.

ორივეს კი გვქონდა თავშალი მოხვეული თავზე, მაგრამ ნამქერი ისე იყო მიყინული, ძლივს მოგვაშორეს.

მთელი ვაგონი დაგვესია. რბილი სამგზავრო ვაგონი იყო და მგზავრებით ისე არ ყოფილა გაჭედილი. გამცილებელმა ცივი წყლით დაგვზილა, ცხელი ჩაი დაგვალევინეს და ვიღაცამ არაყიც კი მოგვიტანა, ლოყები დაიზილეთ, ხელ-ფეხი, ვინ იცის, მოგეყინათო. მერე მოგვასვენეს და ზედ დაგვაყარეს საბნები.

დღის სამ საათზე კუნგურში ვიყავი.

1943 წლის 21 თებერვალი იდგა.

— მე ანუშკა მქვია, იქნებ შევხვდეთ ოდესმე...

— შესაძლოა...

ანუშკამ ჩამაცილა ბაქანზე და უცებ გადამკოცნა.

— როგორ მიხარია, რომ შენც ამ მატარებლით იმგზავრე...

— მაპატიე, არ ვიცი, როგორ მოხდა...— მოულოდნელად თავს დაგვადგა შუმსკი.

ხმა არ გავეცი, არც გამიხედავს მისკენ.

— ნაძირალა ხარ, არაკაცი...— უყვირა ანუშკამ.

შუმსკიმ თავი ჩაღუნა და სწრაფად გაგვშორდა.

— ადით, ანუშკა, არ დარჩეთ...— მეც ვაკოცე და საფეხურზე ასულს ხელი დავუქნიე, რაღაც მომიგორდა ბურთივით ყელთან, გული დამწყდა, რომ ვშორდებოდი განსაცდელში გაცნობილ, დამეგობრებულ ადამიანს, რო-

მელმაც სულ ერთ ღამეში შეძლო კეთილი გუნების გამომქღავნება და კვალიც დატოვა ჩემს მეხსიერებაში.

— ანუშკა, თუ ვერ მოეწყობი, აქ ჩამოდი, ჩამოდი, გესმის?— მივადევნე მიმავალ მატარებელს და დღესაც არ ვიცი, გაიგონა ჩემი სიტყვები? ეს კი არის, ჩვენ აღარ შევხვედრილვართ და ერთმანეთისა დღემდე არაფერი ვიცით.

მატარებელი მალე მიიმალა ზამთრის თეთრ ბინდში...

ვიდექი ბაქანზე სულ მარტო. ირგვლივ ყველაფერი თეთრად იყო თოვლით მოსილი. ვიდექი და ვფიქრობდი, გონების თვალით გავიხსენე ამ ოცდათოთხმეტი დღის მძიმე მგზავრობა.

„ეჰეი, რა შორსა ვარ თბილისიდან და ნეტავი რა მელის აქ?“— ნაღვლიანად გავიფიქრე, სიცივემ შემაწუხა და სადგურის შენობას მივაშურე. იქ მორიგეს ვკითხე, სად იმყოფებოდა სალიანდაგო სამსახურის დისტანცია და ნაჩვენები ხის ერთსართულიან შენობისკენ, თოვლში გაკვალულ ბილიკს ჩაფიქრებული დავადექი.

II

ამას წინათ ჩემს არქივში ერთ წერილს ვეძებდი და ხელთ მომხვდა ქაღალდში კოხტად გახვეული, ომისდროინდელი საბუთები, წერილები, სურათები...

საოცარი მღელვარებით გადავათვალიერე ყველაფერი და დრო-ჟამის გამო შეყვითლებულ, კომპოსტერით დაცხრილულ რკინიგზის ბილეთსა და სამივლინებო საბუთებს დავაჩერდი.

გამახსენდა შორეულ ურალში მუშაობის სირთულე, ორივე ფეხის მოყინვა, თბილისისკენ მგზავრობა...

წამოიშალა ფიქრები და ერთი ეპიზოდი განსაკუთრებით მომაგონდა...

ჩრდილოეთ ურალში გრძელი და სუსხიანი ზამთარი იცის. მზეს ისეთი სქელი ღრუბელი აქვს ამოფარებული, რამდენიმე თვის განმავლობაში დღის სინათლე საანტრელია. გათენდება — ასე, ათი საათისათვის და სამ საათზე უკვე ღამის ბინდი ჩამოწვება. დღისით კი უცნაურად ნაცრისფერი სინათლეა და ხშირად ისეთი ბურუსია, ვერ გაიგებ, დღე არის თუ საღამოვდება.

ყინვები 40-45 გრადუსს აღწევს, ზოგჯერ მეტიც არის, მუშაობა კი არ წყდება, ადამიანები ჩვეულებრივად შრომობენ. რკინიგზაზე მით უფრო.

დღისითა და ღამით განუწყვეტლივ მორიგეობდნენ ბრიგადები თოვლისგან და ყინულისგან ლიანდაგის გასაწმენდად, რომ აღმოსავლეთისკენ, ფრონტისაკენ მიმავალი ეშელონებისა და მატარებლების უსაფრთხო მოძრაობა ყოფილიყო უზრუნველყოფილი, ეშელონებისა, რომლის ტვირთსაც უკვდავების წყაროსავით ელოდნენ ფრონტზე.

როცა ნათელი გახდა, რომ უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი ველარ ვიმუშავებდი, გზათა მიმოსვლის სამინისტროს მივმართე წერილით, რომ ნება მოეცათ დავბრუნებულიყავი საქართველოში ჯერ სამკურნალოდ და მერე თუ შევძლებდი, მუშაობა გამეგრძელებინა ამიერკავკასიის გზაზე.

მაგრამ ეს ნანატრი ბრძანება რომ მოვიდა და ცრემლმორეულ ჩემს ამხანაგებს შევხედე, თვითონაც დავღონ-

დი. მძიმე სამსახურმა საოცრად დაგვამეგობრა, დაგვაახლოვა და განშორების ჟამი რომ დადგა, გული გვწყდებოდა.

შევხვდებით კი ოდესმე ერთმანეთს?— სულ ამაზე გვქონდა ლაპარაკი.

მართლა იქაური წყალი უნდა შესვა, იქაურ ადამიანებთან პური უნდა გატეხო, იმ ყინვის სუსხიც იგრძნო და ომის ურთულეს პირობებში, მძიმე მუშაობაში დაუმეგობრდე ადამიანებს, რომ გულის სიღრმემდე შეგაღწიოს ამ მეგობრობის სითბომაც, გამტანობამაც, ერთგულებამაც.

ხალხი იქ სიტყვაძუნწია, საოცრად მობილიზირებული, საქმიანი და შრომისმოყვარე. ყველა თავის მოვალეობას ასრულებს. თუ გაგიჭირდება, დაგეხმარებიან, მაგრამ თუ შეგამჩნიეს სიზარმაცე და უსაქმურობა, შენს გასაკეთებელს — სხვა არ გააკეთებს. მკაცრმა ბუნებამ ადამიანებში ოდითგან ჩანერგა ერთგულების, ერთმანეთის გატანის გაუმჟღავნებელი სითბო, რომელსაც მხოლოდ განშორებისას გაგრძნობინებენ.

იქ ყველა დაუფლებულია მონადირის ოსტატობას. სანადიროდ დადის კაციცა და ქალიც, ცხრა-ათი წლის ბავშვებიც. ალბათ ესეც აწრთობთ და ფიზიკურად იმიტომ თუ არიან ძლიერნი, ახოვანნი. საოცრად უყვართ ცხოველები. შინ ყველას ჰყავს ძაღლი. მეტყეველები მგელსაც აშინაურებენ. ისე, სახალისოდ ნადირს თოფს არ ესვრიან. მოსაჭრელად ხეს იოლად არ გაიმეტებენ.

რამდენჯერ გამხსენებია მაიაკოვსკის სტრიქონები:

Я знаю
глупость — эдемы и рай,
Но если
пелось про это,
Должно быть
Грузию
радостный край,
Подразумевали поэты!

დაილოცოს ჩვენი კუთხე, ჩვენი საქართველო!

მაგრამ ზედმეტად დარდიმანდულად ხომ არ ვექცევით ჩვენს გულუხვსა და მადლით კალთადაბერტყილ მიწას, ამ ხვავიანსა და ლამაზ მხარეს? ხშირად უდიერად ვექცევით ხეხილს, ტყეს, მდინარეს, არ ვუფრთხილდებით ბუნების ქომაგთა შრომას. ამ მშვენიერი ბუნების ქომაგი კი ყველანი უნდა ვიყოთ, რომ კი არ მოაკლდეს დოვლათი და სილამაზე, ათმაგად გაიზარდოს, გაიხაროს...

ყავარჯნის გარეშე არ შემეძლო სიარული. ბარგი ბევრი კი არ მქონდა — მხოლოდ აუცილებელი რაღაც და წერილების დასტა ფრონტელი მეგობრებისგან. სხვა ყველაფერი იქ მივარიგე, ამას კი ვერ შეველიე. ჰოდა, ზურგჩანთაში რომ ჩავყარე წამოსაღები რაც მქონდა და წამოვიკიდე მხარზე, ძალიან გამიჭირდა. ამიტომაც გადაწყვიტა ხელმძღვანელობამ, ექთანი გამოეყოლებინათ ჩემთვის თბილისამდე. ჩაგვსვეს მატარებელში და წავედით სვერდლოვსკისკენ, მერე გავიარეთ ომსკი და ჩავედით ნოვოსიბირსკში, სადაც უნდა გადავმჯდარიყავით ტაშკენტისკენ მიმავალ მატარებელზე.

ნოვოსიბირსკის სადგური, მოსაცდელი დარბაზები სავსე იყო ხალხით, — ზოგი ჩრდილოეთ ურალში მიდიოდა, ზოგი ვლადივოსტოკში და იმ მხარის ქალაქებში, ზოგიც სამხრეთისკენ, ჩვენსავით ტაშკენტის მიმართულებით.

ამ ზღვა ხალხს რომ გავხედეთ, მივხვდით, არც ისე იოლი იქნებოდა აქედან გასვლა, მაგრამ სხვა გზა არ იყო და ექთანი ჩადგა რიგში ბილეთისა და საბუთების შესამოწმებლად.

საღამომდე მხოლოდ ერთხელ მომაკითხა, ცოტა წაიხემსა და ისევ გამეცალა, სიტყვა არ დასცდენია. ვიჯექი, და არც ვიცოდი, რამე იმედი თუ იყო იმ დღეს ან მეორე დღეს მაინც აქედან წასვლისა.

კარგა გვიან იყო, რომ დაბრუნდა ექთანი, ჩამოჯდა ჩემს უკავარჯენზე და სასოწარკვეთილმა მითხრა:

— აქ კარგა ხანი ვიჯდებით...

მართლაც ვერ დაამოწმა ექთანმა საბუთები და ბილეთი, ვერც მეორე და მესამე დღეს...

საშინლად მოვიქანცე მერხზე ჯდომით, მაგრამ ხმას როგორ ამოვიღებდი, ქალს ფერი არ ედო სახეზე, რიგში დგომითა და მოსაცდელ დარბაზშიც ფეხზე დგომით მოქანცულს.

ამასობაში ფეხის გადახვევის დროც დადგა. წავედით მედპუნქტში. იქ, ეტყობა, ძალიან შეეეცოდე და დამპირდნენ, ამ საღამოს გაგამგზავრებთო. ექთანს არაფერი უთქვამს, მაგრამ შევატყვე, ბოლმა ახრჩობდა,— ამ ორომტრიალში რომ ჩავარდა. ჩვენ ხომ კიდევ სამჯერ გადაჯდომა გველოდა — ორი მატარებელზე — ტაშკენტში და ბაქოში, ერთიც გემზე — კრასნოვოდსკში. ჩამოჯ-

და ყავარჯენზე, თავი ზურგჩანთას მიაბჯინა და მოქანცულმა ჩათვლიმა.

ვიჯექი დამუნჯებულივით მერხზე და გამვლელ-გამომვლელს ვათვალიერებდი.

უმრავლესობა დაჭრილები იყვნენ, მათი გამცილებელი ექთნები, სანიტრები და ლტოლვილები, რომლებითაც გაჭედილი იყო ომის დროს შუა აზიის, ციმბირისა და ურალის სადგურები.

ფიქრი და დარდი მომეძალა და თვითონაც არ ვიცი, როდის ჩამეძინა.

მოულოდნელად გულშიჩამწვდომმა სიმღერამ გამომაღვიძა.

თვალი არც კი მქონდა გახელილი, მესმის, მოსაცდელი დარბაზის ბოლოდან ჩვენს „სულიკოს“ მღერიან, ხმაშეწყობილად და თანაც ქართულად.

ჯერ ვიფიქრე, მელანდება-მეთქი და თვალი არც გავახილე, მსიამოვნებდა ეს ჩემი მშობლიური ჰანგი და ვიფიქრე, მოლანდება იყო თუ ზღაპარი, ვინატრე, კიდევ ცოტა ხნით გაგრძელებულიყო. არადა, შიშმაც შემიპყრო, ეს რა მომდის, რატომ მესმის „სულიკო“-მეთქი.

გავახილე თვალი და სიმღერა რომ ისევ მომესმა, ახლა კი დავიძაბე, ლამის გული ამომივარდა, ცრემლი მომაწვა თვალზე (მაინც მეგონა, ყველაფერი მოლანდება იყო!), დავხედე ჩემს რუმბივით დასივებულ, ბანდით გადახვეულ ორივე ფეხს და ლამის ავღრიალდი გამწარებული.

სიმღერა კი ძველებურად გულშიჩამწვდომად გაისმოდა იმხელა დარბაზში და ისე ლამაზად მღეროდნენ,

ეს ამოდენა ხალხი ერთიანად გაინაბა და სმენად გადაქცა.

ამან თუ გამომაფხიზლა მთლიანად, ოდნავ წამოვიწიე და მთელი ხმით ვიყვირე:

— ეჰეი, რომლები ხართ, დამენახვეთ ბიჭებო! ეჰეი...

სიმღერა უცებ შეწყდა და თვალისდახამხამებაში ჩემს წინ ოთხი ახალგაზრდა გაჩნდა, მაგრამ ვაი იმათ შემხედვარს, ლამის გული შემიღონდა: ერთი ცალფეხა იყო, მეორე ცალხელა, ორსაც ხელი ჰქონდა ახვეული.

ამათგან მხოლოდ ერთთან მქონდა მიწერ-მოწერა, მესტიის და შემდეგ ჩალაურის სკოლის ქართული ენის მასწავლებელთან — ასლან ლიპარტელიანთან, დანარჩენების ასავალ-დასავალისა კი არაფერი ვიცი.

პატარა ეპიზოდი მინდა აქ მოვიტანო ასლანთან დაკავშირებით.

ერთხელ, თურმე, მესტიის სკოლაში თბილისიდან ჩამოსულა მაშინდელი განათლების მინისტრის მოადგილე ქალბატონი მარიამ ბურჭულაძე, გამოუთქვამს სურვილი დასწრებისა რომელიმე გაკვეთილზე და დირექტორის შემოთავაზებით ასლანის გაკვეთილზე შესულან.

რა თქმა უნდა, სტუმრის და დირექტორის დანახვაზე მთელი კლასი ფეხზე წამოდგა. ასლანს ყავარჯნისკენ ხელი რომ გაუშვერია, ყავარჯენი იატაკს დასცემია და ასლანი ვეღარ წამომდგარა, თავი დაუხრია და მაგიდას დასჩერებია.

— თქვენ რატომ არ ინებეთ მოსალმება?— ღიმილით უკითხავს ქალბატონ მარიამს,— განაწყენებული ხომ არ ხართ ჩემზე, ან...— დირექტორისკენ გაუხედავს.

ასლანი არ გაპასუხებია, არც თავი აუწევია.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდნილა და უცებ იატაკზე მიგდებული ყავარჯენი რომ დაუნახავს დირექტორს, მორიდებით ჩაულაპარაკნია:

— ომში დაკარგა ფეხი და უჭირს... ცალ ფეხზე დგომა...

ქალბატონმა მარიამმაც გახედა იატაკს, ცრემლი მორევია, ასლანთან მისულა, დედაშვილურად აკოცა თავზე და უხმაუროდ გასულა საკლასო ოთახიდან.

ასლანი ამაყი და სულით ძლიერი იყო. კარგი ოჯახი შექმნა, რვა შვილის მამა გახდა, სამწუხაროდ დღეს აღარ ვიცი, რას აკეთებს, ისევ მასწავლებლობს თუ დამსახურებული დასვენება არჩია.

...მე იმათ მივაჩერდი გაოცებული, ისინი მე მომჩერებოდნენ არანაკლები გაოცებით. მერე როდის-როდის მკითხა ერთ-ერთმა:

— სადაური ხარ, გოგო?

— თბილისელი ვარ.

— აქ რა გინდა? რას აკეთებ, აქ რისთვისა ხარ?

— საცეკვაოდ ჩამოვედი, არ მეტყობა განა?— უადგილო შეკითხვამ აღმაშფოთა.

— ჰიტლერის დედა ვატირე, ეს რა დღეში ჩავარდნილხარ!— დამუშტული ხელი თავში შემოიკრა ცალფეხამ და იატაკს დაახეთქა ყავარჯენი.

— ჩემზე უარესად თვითონა ხარ, რა გულს მიხეთქავ?— თავს ვეღარ მოვერიე, ჩემი მიწა-წყლის ბიჭები რომ დავინახე გული ამიჩუყდა და ავტირდი, იმათაც ცრემლი მოერიათ და ჩვენი შემხედვარი ექთანიც აღრიალდა.

ამან სულ აშალა ბიჭები, ყვირილი, გინება და წყევლა მორთეს:

— ომის მომგონის ოჯახი დაიქცეს და ძაღლი მიაკვდეს სულში!

— ნურც გაუხარია ჩვენი გაუბედურებისათვის...

ხალხი გარშემო შემოგვეხვია, ზოგი რას გვეკითხებოდა, ზოგი რას — რა გატირებთო, ნაცნობები ხართო?

— ქართველები ერთი მუჭა ვართ, ამიტომაც სულ ნაცნობები ვართ, მაშა,— დაუბღვირა ცნობისმოყვარეებს ცალხელამ.

— ხო, შეხვდით ერთმანეთს და რაღად ტირით? რაღად ბობოქრობთ?

— აბა, მიხედეთ თქვენს საქმეს და ჩვენი ნუ გედარდებათ,— ქართულად დაუტატანა შემოგროვილებს ასლანმა, ყავარჯენი მაღლა აღმართა და თვალი დააბრიალა. ხალხიც აიწურა, თითქოს მიუხვდნენო, უსიტყვოდ გაიკრიფნენ ვინ საით.

— როგორია შენი გეგმა?— მკითხა ცალფეხამ.

— შინ ვაპირებ წასვლას, ლეიტენანტო, ბილეთს თუ შემიმოწმებთ...

— ჰოდა, წავსულვართ! უბილეთოდაც კარგად წაგვიყვანენ,— გაიკრიჭა ლეიტენანტი,— ჩვენი ბილეთი და კომპოსტირი ეს ყავარჯნები და სახვევებია.

— პატრულს რა პასუხს გასცემ?

— მთავარია, მატარებელში შევაღწიოთ თავი და მერე... მერე ვნახოთ.

რაკი ამდენი გულადი თანამგზავრი გამომიჩნდა, ექთანი იმ საღამოს შინ გავისტუმრეთ. შუაღამისას კი ხმა რომ დაირხა, ტაშკენტისკენ მიმავალი მატარებელი უნ-

და ჩამოდგესო, ავიხვეტეთ და დაჭრილების ვაგონში ვრის ვაი-ვაგლახით ავედით.

ისეთი ამბავი იყო, კაცს არ მოჰგონებია ბილეთის მოთხოვნა.

მე მაინც ვღელავდი, ქალი ვიყავი და არ მინდოდა შენიშვნა მიმეღო. ამიტომაც ნოვოსიბირსკს კარგა მანძილით რომ დავშორდით, გამცილებელს გამოვუტყდი სიმართლეში, უბილეთონი ვართ-მეთქი. იმან ამხედ-დამხედა, ბიჭებზე მანიშნა, ერთად ხართო? და დასტური რომ მიიღო, ნაღვლიანად მითხრა:

— Закончили войну! — გამოგვართვა საბუთები და ბილეთები და პირველსავე სადგურზე მოგვიწესრიგა ყველაფერი.

ასე რომ არ მომხდარიყო, პატრული აუცილებლად ჩამოგვსვამდა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ჯარებმა გამარჯვებით დააგვირგვინეს სტალინგრადის ოპერაცია და ძლევამოსილად მიიწევდნენ წინ, განსაკუთრებული სიმკაცრე იყო იმ დროს დასავლეთისკენ მიმავალ მატარებლებზე.

ასე ვიმგზავრეთ ტაშკენტამდე, მგზავრებითა და შინ მიმავალი, ომგადახდილებით გაჭედილ ვაგონში. მერე ტაშკენტიდან ისევ ასეთ პირობებში ჩავედი კრასნოვოდსკში. გემზე ასვლაში მეზღვაურის ოჯახი დამეხმარა და როგორც იქნა ჩავედი ბაქოში. აქ უკვე სახლთან ახლოს ვიყავი და ისე აღარ ვღელავდი. ვიჯექი სადგურის მოედანზე და მზეზე ვთბებოდი მატარებლის მოლოდინში.

ხალხი აქაც ირეოდა, მაგრამ იმდენი არ იყო, როგორც

ციმბირსა და შუა აზიაში. ბევრი იჯდა ჩემსავით, ზოგიც სეირნობდა, ზოგი ბილეთის რიგში იდგა. მე გავცქეროდი მათ და საღამოს მოლოდინში მალი-მალ საათს დაეჩერებოდი.

უეცრად ვხედავ მოედანზე ჩვენი ბალეტის მსახიობს, ჩემს დიდ მეგობარს ზურაბ კიკალეიშვილს. ძალიან გაგვეხარდა ერთმანეთის ნახვა. ზურაბი იმ საღამოს გასაცილებლად სადგურში გამოვიდა და შაქრის ფხვნილით მოყრილი ფუნთუშა მომიტანა. ეს მაშინ დიდი საჩუქრის ტოლ-ფასოვანი იყო, მადლობა ვუთხარი და თბილისისკენ წამოვედი.

მეორე დღეს ჩემს თბილისში ვიყავი, ჩემს საყვარელ თბილისში.

სადგურზე არავინ დამხვედრია. მე თვითონ არ მინდოდა, ასე გაჭირვებული დავენახე დედას და ახლობლებს, ამიტომაც არ შევატყობინე მათ, რომ შინ მოვდიოდი.

კიდევაც უფრო გაეხარდათ, მოულოდნელად რომ დავადექი თავს. მეც უფრო მშვიდად ვიყავი, მათი აფორიაქება და ცრემლი, ჩემს გარდა, სხვას რომ არ დაუნახავს.

1977 — 1980

წერილები

წიგნი და ჩვენ

მას შემდეგ, რაც კაცობრიობამ მიიღო წიგნი, იგი გახდა ინფორმაციის ერთ-ერთი წყარო, ადამიანებისთვის მას მოჰქონდა ცოდნა, განათლება, სამყაროს ავ-კარგის გაგება, დიდი ვნებათაღელვის მოწამეობა, ინტელექტუალურად ამაღლება, სულიერი და ზნეობრივი განწმენდაც.

მახსოვს, ლევან გოთუამ ერთხელ თქვა: მამისეული ჩვენი სახლი მაგნიტივით იზიდავდა ჩემს ამხანაგებს, წიგნების გამო.

ჩემი მოწაფეობისას (ომამდელ ამბავს მოგახსენებთ!) იშვიათობა იყო საოჯახო მდიდარი ბიბლიოთეკები, მაგრამ რომელიმე მოსწავლეს ხელში თუ ჩაუვარდებოდა ახალი წიგნი, მთელი კლასი კითხულობდა.

ასე გავიცანი საფო მგელაძის „ლიანა ლორდია“ და „ქარიშხლის ფრთებზე“, პარმენ ლორიას „ჩაი“, მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“, მერე ცოტა მოგვიანებით, უკვე სტუდენტობისას,— კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“.

ახლა ბევრს აქვს მდიდარი ბიბლიოთეკა, მაგრამ ნურას უკაცრავად, წიგნს იოლად არავინ მოგცემს წასა-

კითხად. უფრო მეტიც, წიგნი ხელშეუხებელ სამკაულად გადაიქცა გამოკეტილი ძვირფას კარადებში.

საშინელი სიტყვაა — წიგნი სამკაული, მაგრამ ვიყოთ გულწრფელნი, ვაი, რომ ხშირ შემთხვევაში ეს ასეა!

არ იფიქროთ, იმ ძვირფას კარადაში მოხვედრის უფლება ყველა წიგნს ჰქონდეს. რა თქმა უნდა, არა. რაგინდ ცნობილი მწერლის ნაწარმოები იყოს და საინტერესოდ დაწერილი წიგნი, თხელ ყდაში გამოცემულის ადგილი მხოლოდ დახურულკარებიან უჯრებშია. თვალისდასანახავად და პატრონის თავმოსაწონი წიგნები კი ვიტრინიან თაროებზე ეწყობა, მხოლოდ მოვარაყებულ ყდაში ჩასმულები.

რაკიღა ჩვეულებად გადაიქცა მოთხრობების თუ რომანების ინსცენირება, წიგნის შინაარსს უმრავლესობა გებულობს ტელევიზორით მოკლემეტრაჟიან, თუ სრულმეტრაჟიანი ფილმების ნახვით. მაგრამ მექოთნისა არ იყოს, ქოთანს საცა უნდა, იქ რომ გამოაბამს ყურს, ფილმების უმრავლესობაც ხომ რეჟისორის ნებასურვილსაა დამორჩილებული, ამიტომაც არის, რომ ბევრმა არც იცის, სინამდვილე მწერლის გმირებზე, ნაწარმოების მხატვრულ-იდეურ ღირსებაზე.

უფრო მეტიც, ისეა ზოგჯერ უგულვებელყოფილი მწერალი, რომ გამოდის ფილმი და სცენარის ავტორები (ახლა რატომღაც სცენარი კოლექტიურად იწერება!), ტიტრებშიც არ მოიხსენიებენ ნაწარმოების შემქმნელს. ასე დაემართა რომან „მაცი ხვიტიას“ ავტორს — ანტონ ფურცელაძეს, იგივე უპატივისცემლობა იყო დაშვებული ფილმ „ვერის უბნის მელოდიების“ შემქმნელების მიერ. მაგალითების ჩამოთვლა კიდევ შეიძლება, მაგრამ

ახლა წიგნზე ვისაუბროთ, ესაა ახლა ჩვენი მტკივნეული თემა.

დიახ, წიგნი იწერება, იბეჭდება, იკინძება, იყიდება და ტყვე ხდება ძვირფასი კარადისა. არადა, რამდენი ადამიანი! შრომაა უნაყოფოდ დატყვევებული, რა სიამოვნებას იკლებენ მკითხველები. წიგნით მიღებულ შთაბეჭდილებას, განცდას ხომ ვერაფერი შეედრება.

წიგნის შესახებ უამრავ სახელოვან ადამიანს გამოუთქვამს აზრი, მაგრამ მე აქ მოვიტან მხოლოდ ერთის სიტყვას.

დავით აღმაშენებელს უთქვამს:

„კაცთა მინიჭებული პირველი სიმდიდრე წიგნთა მოძღვრებაი არს!“

ჰეი, როდის არის ეს ნათქვამი, თანაც რა ძუნწად, მაგრამ ნათლად და ზუსტად...

ერთხელ ერთი მწერლის რომანის განხილვის დამთავრებისას, ერთ-ერთ მწერალს მეორისთვის უსაყვედურია, თქვენ ხომ მეგობრები ხართ, რატომ არაფერი უთხარი, არ გაახარეო.

— არ წამიკითხავს და რა მეთქვა...— იყო პასუხი.

სხვათა შორის, არის შემთხვევები, როცა ისე წარადგენენ ნაწარმოებს პრემიისათვის, რომ არც ის აქვთ წაკითხული.

არ კითხულობენ ნაჩუქარ წიგნებს, ნაცნობობით ნაშოვნ წიგნებსაც, რის გამოც ბევრჯერ შეუწუხებიათ უამრავი ადამიანი. ზოგი ამას დროის ნაკლებობით ხსნის, მე კი უფრო გულგრილობას ვაწერ, იმიტომ, რომ ახლა მეტ დროს ბევრი ჩვენთაგანი საკუთარი საქმეების მოგვარებას ანდომებს.

მეგობარმა პოეტმა შემომჩივლა, უფრო კი გაოგნებულმა მიამბო:

ნათესავს სწვევია დაბადების დღეს და თავისი ახალი წიგნი მიურთმევია გულთბილი წარწერით. ქალს საჩუქარი ტუჩაბზუებულს მიუღია და მერე ქმარს გადაულაპარაკა, რა თქმა უნდა, პოეტის გასაგონად:

— კაცი მეგონა, ამან კი მანეთიანი წიგნის მეტი ვერაფერი გაიმეტა ჩემთვისო...

ამ „კაცობაში" ქალი გულისხმობდა ძვირფას ლარნაკს, ან ბეწვის ქურქს. შესაძლოა — როიალსაც, რომ მერე ნაცნობ-მეგობრებში თავი მოეწონებინა საჩუქრით.

დრო იყო და წიგნს ომში მიმავალ მებრძოლებს ატანდნენ, „ვეფხისტყაოსანს" მზითვებში. წიგნის საკითხავად ერთმანეთთან მიდიოდნენ და მერე აზრს რომ უზიარებდნენ პაექრობისას, ზოგჯერ თავზეც დასთენებიათ...

ახლა კი ზოგი ისე კადნიერდება, რომ ნაჩუქარი, წარწერიანი წიგნი,— ბუკინისტებთან მიაქვს, ან გაასაჩუქრებს, მით უფრო თუ წიგნი უბრალოდ არის გამოცემული. ავტორი კი ელოდება მის აზრს, მეგობრულ რჩევას, ან წახალისებას ალერსიანი სიტყვით. იმას კი წყალი დაუგუბებია პირში, გხვდება და სდუმს, ან გესაუბრება ამინდზე.

აბა, ვინ კითხულობს წიგნს? რომელი პროფესიის ადამიანი?

რა. შუაშია პროფესია, წიგნს ყველა უნდა კითხულობდეს და ყველაზე მეტად კრიტიკოსები. ისინი უნდა აინტერესებდნენ მკითხველებს ახალი წიგნის ავ-კარგით. ჩვენში კი, რა დასამალია, ზოგის წიგნზე ათი რეცენზია

იწერება (აქ დიდი ფაქტორია — სავარძელი!), ზოგი კი ისე მიდის ამ ქვეყნიდან, ერთ კეთილ სიტყვას არ აღირსებენ და რომ მოკვდება, მერე იწყება შეჯიბრი ენამზეობაში.

წიგნი აახლოვებს ერებს, აცნობს ზნე-ჩვეულებებს, ადათ-წესებს, საქმიანობას, უკეთეს შვილებს და მათ მიერ შექმნილ ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებს, ფილოსოფიურ ნააზრევს და მდიდრდები სულიერად, მაღლდები ინტელექტუალურად.

და მართლაც, რანი ვიქნებოდით, რომ არ გავცნობოდით: გოეთეს, შექსპირს, მოპასანს, ბალზაკს, დრაიზერს, რილკეს, ჰემინგუეის, ჯეკ ლონდონს, ყველას რა ჩამოთვლის, უთვალავია მათი ლეგიონი...

და თუმცა ყველა მათი ქმნილებები თარგმანში გვაქვს წაკითხული, ამით იოტისოდენა ჩრდილი არ მიჰკარებია მათ ნამოღვაწარს.

ვოლტერმა კი თქვა: პოეტის თარგმნა შეუძლებელიაო (ნაწილობრივ ეს პროზასაც ეკუთვნის), მაგრამ იმავე ვოლტერმა ისიც თქვა — პოეზია მუსიკაა სულისაო და თუ ნამდვილი მკითხველი ხარ და დამფასებელი პოეზიისა, პროზისა, დრამატურგიისა, ის მუსიკა არ შეიძლება არ შეეხოს შენს სმენას, თუნდაც ისიც იგრძნო, რომ ალბათ დედანში კიდევ უფრო მიმზიდველი უნდა იყოს წაკითხული სტრიქონები.

ახლა ბევრმა იცის უცხო ენა, ზოგმა ორი და სამიც და დედანში კითხულობენ უცხო მწერლების ნაწარმოებებს. ძირითადად კი თარგმანში ვეცნობით სასურველი ავტორის ქმნილებებს და რამდენჯერ მოუნიჭებია სიამოვნება ახალ თარგმანს, ბევრიც შეგვიდარებია ჩვენი

საყვარელი ნაწარმოებისათვის, მათ ავტორებისთვის. და განა ის პატარა ამბავია, სიამაყე რომ გიგრძვნია, რომ ხარ რუსთაველის შთამომავალი, რომ შენმა მიწამ და ზეცამ მსოფლიოს გიგანტებს შეჰმატა ილია და ვაჟა, ბარათაშვილი და გალაკტიონი...

რა თქმა უნდა, ყველა წიგნი ვერ მოგხიბლავს, ვერ გაგიტაცებს, ის კი არადა, ზოგჯერ წიგნი გაგაოგნებს კიდევაც, გერიდება შვილს წააკითხო, იმდენი პორნოგრაფიაა შიგ, უზნეობა, იმდენი საშინელი მკვლელობა, ავხორცობა. მაგრამ, ეტყობა, ყველა დროში იყო მრავალფეროვნება ლიტერატურაში, გატაცება ახალი ფორმებით, ან კიდევ ცდა ყველა დაშვებული და აკრძალული ხერხების ხმარებისა მორალის თვალსაზრისით.

დრო ყველაზე დიდი მსაჯულია ყველაფრის მიმართ, რადგან „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო". და მაინც, დიდი დაფიქრება მართებს მწერალს, კალამს ხელში რომ აიღებს და რაკიღა ქაღალდი ყველაფერს იტანს, ბოროტად ნუ გამოიყენებს ამას.

საბედნიეროდ, არის წიგნები, ბავშვობიდან თანამგზავრივით სულ რომ მოგდევენ გონების ყულაბაში მობუდებულები და წაკითხულით მიღებული პირველი შთაბეჭდილება და გაოცება, ახალ სამყაროს რომ ეზიარე, პირველი ცრემლი და აღტაცება, შენი კერპი რომ გიპოვნია, შენი იდეალი, მერე მთელი სიცოცხლე გუშინდელი დღესავით გახსოვს.

„ბიძია თომას ქოხი" რომ წავიკითხე, მთელი ღამე ტირილში გავატარე, გამთენიას ჩამეძინა მხოლოდ. დილით თავის დროზე რომ არ გამეღვიძა, დედას შემოუხედავს ჩემს ოთახში და მკერდში წიგნით ჩახუტებული

რომ ვუნახივარ, არ გამაღვიძა. იმ დღეს გვიან გამეღვიძა, ავხედე კედლის საათს და შევწუხდი, შუადღე გადასულიყო. დედასთან თავჩაღუნული გავედი. დედა არ გამიჯავრდა, მაგრამ მაინც წყრომა ვიგრძენი მის ხმაში, როცა მითხრა:

— ეს ისეთი წიგნია, ყველამ უკლებლივ უნდა წაიკითხოს, მაგრამ ამისათვის შემზადებაა საჭირო, შენ კი ჯერ ძალიან პატარა ხარ... მაინც მიხარია, რომ წიგნმა აგაღელვა, ცრემლი მოგგვარა, მაშასადამე მწერლის ჩანაფიქრს მიხვედრიხარ, რომ არავის აქვს უფლება დაჩაგროს ქვეშევრდომი და მით უფრო იმის გამო, თუ მას კანის განსხვავებული ფერი აქვს...

ამის შემდეგ დედის დაუკითხავად არ წამიკითხავს წიგნი, ის თვითონ შემირჩევდა ხოლმე ავტორს და ასე თანდათან ცოდნასთან ერთად მემატებოდა გემოვნებაც, იზრდებოდა რიდი და მოწიწება წიგნის მიმართ, მწერლის ტიტანური შრომის მიმართ.

იქნებ სწორედ წიგნის დამსახურება იყო, რომ ჩემი თაობა ასე შემართული დახვდა დიდ სამამულო ომსაც, რადგანაც ჩვენ აღზრდილები ვიყავით არა მარტო კლასიკოსების საოცარ წიგნებზე, ჩვენ შეგვადუღაბა დიდი პატრიოტული სიყვარულით მამულისადმი ნიკოლოზ ოსტროვსკის სახელგანთქმულმა წიგნებმა: „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ და „ქარიშხლით შობილნი“, მიხეილ შოლოხოვის „წყნარმა დონმა“, „გატეხილმა ყამირმა“ (პირველი წიგნი), ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვაჰ“, „ტარიელ გოლუამ“, რაჟდენ გვეტაძის „თეო“, „ჭიაკოკონამ“ და მრავალმა სხვა მოთხრობამ, თუ ნოველამ.

წიგნის სიყვარულს მიგვაჩვია ყველა მოსწავლე, ვი-

საც ომამდე უსწავლია თბილისის მესამე საცდელ-საჩვენებელ სკოლაში ჩვენმა სათაყვანებელმა მასწავლებლებმა: ქალბატონმა კატო ბერიძემ, ქალბატონმა ვერიკო ავალიშვილმა და ბატონმა ივანე გიგინეიშვილმა. ამიტომაა, რომ ჩემი ღრმა რწმენით, თუკი მოხდა დაშორება ჩვენსა და წიგნს შორის, ამას უნდა ჩაუფიქრდნენ პირველყოვლისა მშობლები და მასწავლებლები, რადგან ჩვევა და სიყვარული წიგნისადმი — წიგნი კი ცოდნის წყაროა, ბავშვობიდან იბუდებს ყველა ადამიანის გულში. ხომ ყველამ ვიცით, რომ სწორედ წიგნმა აღუზარდა მსოფლიოს დიდი რუსი მწერალი მაქსიმ გორკი. ყველა მშობელმა უნდა იცოდეს, საკონტროლო წერისათვის მზამზარეულ თემას კი არ უნდა ყიდულობდეს იგი ვიღაცის მიერ დაწერილს, წიგნის მეშვეობით ბავშვმა თვითონ უნდა დაწეროს და თავისი პოზიცია გამოხატოს ამა თუ იმ ნაწარმოების მიმართ.

კურიოზებით სავსეა წერითი სამუშაოები მისაღებ გამოცდებზე უმაღლეს სასწავლებლებში. ახალგაზრდამ არ იცის, ვინ არის „ხევისბერი გოჩას“ ავტორი, არ იცის, ვინ დაწერა „მგზავრის წერილები“ და იყო ასეთი შემთხვევაც ზეპირი გამოცდის დროს, აბიტურიენტს რომ ჰკითხეს, ვინ დაწერა „ოთარაანთ ქვრივი“, — უპასუხნია, მახსოვს რომ ვერიკო ანჯაფარიძემ ითამაშა კინოში და ვინ დაწერა დამავიწყდაო. ან კიდევ: აბა ჩამოთვალეთ ეგნატე ნინოშვილის ნაწარმოებებიო და ახალგაზრდას უცბად უპასუხნია, — ნინოშვილის გურია.

ერთხელ პარკში ვისვენებდი და „მთვარის მოტაცებას“ ვკითხულობდი ვინ იცის მერამდენედ. გვერდით მომიჯდა სამი ახალგაზრდა, ნაყინით ილუკმებოდნენ.

ისე ვკითხე, რომელია თქვენი საყვარეული წიგნი-მეთქი. ერთმანეთს გადახედეს და ერთ-ერთმა ძალიან სერიოზულად მიპასუხა: რაღა დროს წიგნია, ახლა ტელევიზორია ყველა საკითხში ჩახედული, ისაა წიგნიც, თეატრიც, კინოც და ახალი ამბების მომტანიც.

— აბა, არ აპირებთ, კარგი სპეციალისტები დაიგეთ? დარგობრივ წიგნებს ხომ მაინც კითხულობთ?

— დიპლომს კი მივიღებთ და იმას რაც სჭირდება, პაწა-პაწას ვჩალიჩობთ...

მე ვიცნობ ბევრ განათლებულ ახალგაზრდას, ბევრ განათლებულ ადამიანს, მაგრამ ეტყობა ბევრია უწიგნურიც. სწორედ ისინია, უშრომელი შემოსავლით რომ ცხოვრობენ, ეწყობიან სამსახურში, ხელს იმართავენ და სულ რაღაცის იმედით, ვიღაცის იმედით არიან, ზოგჯერ ფონსაც გადიან და მაინც უნდა ვეცადოთ უწიგნურებს გზა გადავუჭრათ, რადგან ბოროტად მიმაჩნია, გულხელდაკრეფილმა უცქირო, როგორ უგულვებელყოფს იგი ცოდნას და აფერხებს პროგრესს მეცნიერებაში, ლიტერატურაში, ხელოვნებაში, ხუროთმოძღვრებაში, წარმოებაში, სოფლის მეურნეობაში და ბოლოს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, რადგან უწიგნური თავხედურად თავს გვახვევს უხამსობას, უზრდელობას, საქმისადმი უპასუხისმგებლობას, გვაჩვევს გულგრილობას. უფასურდება განათლებული ადამიანის პატივისცემა. ნიჭს, ტალანტს, მუყაითობას ჩასაფრებულია უგულვებელყოფა. ფეხს იკიდებს დილეტანტობა. ნათელ სტრიქონს — ბუნდოვნად თქმული ერევა.

მაშ, რანი ვართ ბოლოს და ბოლოს, თუ ადამიანურ

სიკეთეს, უკეთეს შვილთა მონაპოვარს ბოროტებას დავაკნინებინებთ?

წიგნი, განათლება, მოჩვენებითი კი არა, ჭეშმარიტი შუყაითობა და ერის სამსახური იყო და რჩება კაცთა მოდგმის დიდ და ნათელ ღირსებად.

დე, იყოს ასე — აწ და მარადის!

1987

სადღეისო საზრუნავი

მოწაფეობისას, სკოლიდან შინ რომ ვბრუნდებოდი (ილია ჭავჭავაძის სახელობის მესამე საცდელ-საჩვენებელ სკოლაში ვსწავლობდი), მოვამზადებდი თუ არა გაკვეთილებს, ისე კი თამაშისა და გართობის უფლებას არ მაძლევდნენ მშობლები, უმალვე „არტოში“ გავრბოდი. ასე ეძახდნენ მაშინ პიონერთა და მოსწავლეთა პარკს, რომელიც პლეხანოვის პროსპექტზე მდებარეობდა, რუსული მოზარდ-მაყურებელთა თეატრის გვერდით.

„არტოს“ პარკში (გულახდილად რომ ვთქვა, დღესაც არ ვიცი, რატომ ეძახდნენ მაშინ ასე ბავშვების საყვარელ პარკს!) ყველაფერი ყმაწვილების ფიზიკური და გონებრივი განვითარებისათვის იყო გამიზნული: საცურაო აუზი, თუ დარბაზი, საკმაოდ მინიატურული ზომისა, მაგრამ სწორედ იქ ისწავლა ჩემი თაობის უმრავლესობამ, თუ არ ჩავთვლით მტკვარსაც, ცურვა. პარკში იყო ფრენბურთისა და კალათბურთის მოედანი, მშვენიერი საზაფხულო ესტრადა-ნიჟარა, ნორჩ ტექნიკოსთა სადგური და კოხტად ᲫᲝᲕᲚᲘᲚᲘ, მწვანეში ჩაფლული ეს

პარკი, ზამთარ-ზაფხულ დასვენებისა და ახალგაზრდეობის თავშეყრის ადგილი გახდა.

„არტოში“ გამოჩნდნენ პირველად ესტრადაზე ნუცა შიქელაძე და გოგი ცაბაძე, მოსწავლეთა მეჩონგურეთა და მეფანდურეთა ანსამბლი პატივცემულ ავქსენტი მევრელიძის ხელმძღვანელობით.

იქ მოდიოდნენ სტუმრად ბავშვებთან: სოსო გრიშაშვილი, მარიჯანი, ნინო ნაკაშიძე, ილია სიხარულიძე და ანა ხახუტაშვილი, ვასო გოძიაშვილი, გოგი აბაშიძე — ჩვენი თაობის ეს უსაყვარლესი მსახიობი — ჩვენი საოცნებო რობინ ჰუდი, დურმიშხანი; გოგუცა კუპრაშვილი და თამარ თვალიაშვილი, რომლებმაც მთელი გალერეა შექმნეს ბიჭებისა და გოგონების დაუვიწყარი სახეებისა.

იქ უფრო დავუახლოვდით სხვა მსახიობებსაც: ბორის გამრეკელს, თამარ ლივარდის, მერი ჯაჯანაშვილს, ვახტანგ არეშიძეს, ძმებს ნინუებს, მარია ბუბუტეიშვილს, იუდინს, თამარ პაპიტაშვილს, ვისი მეოხებითაც ბავშვები ვეზიარებოდით პოეზიისა და პროზის საუკეთესო ნიმუშებს, ვნახულობდით ნაწყვეტებს სპექტაკლებიდან, მსახიობებთან ერთად ვმღეროდით ახალ სიმღერას, ვმონაწილეობდით ვიქტორინაში...

ხშირად, როცა დაგეგმილი არ იყო მხატვრული ნაწილი, ეწყობოდა გართობა-თამაშობანი: „ორი დროშა“, „ბაწრის გადაწევა“, „ლახტი“, „კატა-თაგვობანა“, ან მასიური ცეკვები და სიმღერები.

ასე ვეცნობოდით ერთმანეთს იქ მოსულები, უბრალო გაცნობა კი შემდეგ მეგობრობაში გადაიზრდებოდა ხოლმე და მარტო ბავშვები კი არა, ასე მეგობრობდნენ

ერთმანეთთან სკოლებიც, არ ჰქონდა მნიშვნელობა, რა ენაზე იყო იქ სწავლება, ან ვინ რა ეროვნებისა იყო. „არტო“ ყველასთვის მეორე ოჯახი გახლდათ და იქ ისე უნდა გაფრთხილებოდი ხეს, ბუჩქს, სათამაშო ინვენტარს, მერხს, როგორც საკუთარს.

მახსოვს, რა სიხარულს გვგვრიდა მცირე დავალების შესრულებაც კი: ბაღის მორწყვა, საზეიმოდ ნაირფერადი ქაღალდებისგან დროშებისა და გირლანდების გაკეთება. ყველაფერი ეს შრომასთან ერთად გვაჩვევდა სილამაზით ტკბობას, ნარგავების გაფრთხილებას, რაც უსათუოდ ზნეობრივადაც გვამაღლებდა.

სტუდენტი რომ გავხდი, „არტოს“ ცოტა იქით, მეორე პარკში დავიწყე საღამოობით სიარული, მაშინ „გოფილეგტის“ პარკს რომ ეძახდნენ, რომელიც თბილისის ინტელიგენციის ნამდვილი კულტურული ცენტრი იყო, დიდებული პარკი, მყუდრო, ლამაზი, დამშვენებული ასწლოვანი ხეებით, საზაფხულო თეატრითა და ღია ესტრადით, სადაც კონცერტებთან ერთად ზოგჯერ ფილმებსაც აჩვენებდნენ.

ვინ არ ვნახე, ვის არ მოვუსმინე იმ საზაფხულო თეატრში: ლეონიდ უტიოსოვს, თამარ წერეთელს, ქეთო ჯაფარიძეს, იზაბელა იურევას, ლიუბოვ ორლოვას, გარკავის, კლავდია შულჟენკოს და ვლადიმერ კორალოს (სხვათა შორის, მათი კონცერტი ზედ ომის წინ ჩატარდა თბილისში), რუსლანოვას, ცვასმანს, ედი როზნერს და მის ორკესტრს. შესანიშნავ მუსიკოსებს: ლევ ობორინს, დავით ოისტრახს, იგუმნოვს, როზა ტამარკინას, ემილ გილელს, ვან კლიბერნს... ყველას რა ჩამოთვლის.

ახლა ჩვენი ქართველი მსახიობები: თამარ ჭავჭავა-

ძე, ვერიკო ანჯაფარიძე, პიერ კობახიძე, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, ვასო გოძიაშვილი, სესილია თაყაიშვილი და სანდრო ჟორჟოლიანი, გიორგი საღარაძე და სტეპკო ჯაფარიძე, ოლღა დოლიძე, სანდრო ინაშვილი, ნიკო ქუმსიაშვილი, დავით ანდულაძე, გრიგოლ ვენაძე, მავრ პიასეცკი, პავლე ლისიციანი, გოჰარ გასპარიანი, ბიულ-ბიული, რაშიდ ბებუთოვი... საზაფხულოდ გასტროლებ-ზე ჩამოდიოდნენ ოპერეტის დასები ოდესიდან, სვერ-დლოვსკიდან, ლენინგრადიდან. იქ ვნახეთ პირველად სერგეი ობრაზცოვის თოჯინების საოცარი თეატრი, სამ-წუხაროდ გაჭიანურებულ რეკონსტრუქციასთან დაკავ-შირებით თბილისელებს ნამდვილად ბევრი სიამოვნება დააკლდა ამის გამო.

საუკეთესო მოგონებებთანაა დაკავშირებული ყოფი-ლი მუშტაიდის ტყე-პარკი, ახლა ამდენი შეკვეცისა და შეჭრის გამო, ლამის სკვერად რომ გადააქციეს. არადა, ამ პარკში ოჯახებით დადიოდნენ მთელი დღით, განსა-კუთრებით დღესასწაულების დროს. საღამოობით იქ უკრავდა სასულე ორკესტრი ჟელტუხინის ხელმძღვა-ნელობით (ამის კულტურაც მივივიწყეთ!), ესტრადაზე იმართებოდა კონცერტები. იქ მოვუსმინე პირველად დ.-ბი იშხნელების გულშიჩამწვდომ სიმღერებს და ძაგნი-ძისა და ჩხიკვაძის კოლორიტულ დუეტს.

არანაკლებად განადგურდა ყოფილი კინო-თეატრი „ამირანი“ (საზამთრო და საზაფხულო შენობები). ეს პატარა ბაღიც, სადაც ასე გვიყვარდა „ტბიიჟტის“ სტუ-დენტებს ფოტოგრაფ სერგოსთან სურათების გადაღება (ზემელზე კი გრანტიკა იყო ახალგაზრდების მთელი თა-ობების ფოტოგრაფი). ახლა ის გახუნებული ფოტოები

რამდენ მოგონებებთანაა დაკავშირებული, მაშინ ამას თავისებური ელფერი ჰქონდა, პლეხანოვზე სერგო და ზემელზე გრანტიკა — ყველას იცნობდა, რამდენჯერ ნისიად გადაგვიღია სურათები და არ იყო შემთხვევა, ვინმეს თავი შეერცხვინა. სიტყვას როგორ გასტეხდა ვინმე, სახელს როგორ შეირცხვენდა.

საერთოდ, თბილისში დიდი ხანია მოიშალა საზაფხულო კინო-თეატრები, ეს მაშინ, როცა ჩვენში ასეთი ცხელი ზაფხული იცის. აღარაფერს ვამბობ საცურაო აუზებზე, რომელთაც მარტო გასაგრილებელი კი არა, არამედ გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ჯანმრთელობისათვის.

შადრევნებით მოფენილი უნდა იყოს ქალაქი, რომელიც უთუოდ სილამაზეს შემატებდა თბილისს, მაგრამ წყლისდასალევი ონკანებია ზაფხულში საძებარი წყურვილის მოსაკლავად და შადრევნებს ვინღა ჩივის.

თბილისი მარტო ჩვენი, ქართველების უსაყვარესი ქალაქი როდია. მაგრამ ასე ისტორიულად რომ მოსდევს ეს სიყვარული, მეტი ზრუნვა გვმართებს მის დასამშვენებლად. მარტო მისი გეოგრაფიული მდებარეობით და ბუნებით მომადლებული სილამაზით დღეს თავის მოწონება უკვე უხერხულიც არის, მით უფრო, როცა ვხედავთ, როგორ მშვენიერდებიან სხვა ქალაქები, ახალ ებნებთან ერთად ბაღებსა და სკვერებსაც რომ ამშვენებენ, ჩვენ კი, დაუზოგავად ვჭრით, ვსპობთ ერთი რომელიმე სახლის ასაგებად მთელ მშვენიერ ხეებს, ბაღებსაც...

ეს ხომ არ არის მიზეზი, რომ ჩვენს ბავშვებს სულ არ ენაღვლებათ ტოტის მოტეხვა, ყვავილების გათელვა?

რას იზამ, ცუდი მაგალითი ყოველთვის საზიანოა... დიახ, არ ვაჩვევთ, არ ვასწავლით ბავშვობიდანვე ჩვენს შვილებს ბუნებისადმი მოწიწებას, წყაროს მოვლას, საფაქიზეს ყვავილისადმი, მაგრამ ამაში, ეტყობა, სკოლაც სცოდავს.

მოგვიმრავლდნენ მსუქანი ბავშვები. ვისი ბრალია, რომ ფიზკულტურის გაკვეთილები ფორმალურად ტარდება, ნიშანიც ჰაი-ჰარად იწერება. სპორტი ხომ მომავალი თაობის, ჯანმრთელი თაობის უპირველესი და აუცილებელი პირობაა. მშობლები კი შვილებს ათავისუფლებენ ფიზკულტურის გაკვეთილებიდან, ცნობები მოაქვთ, აბრალებენ რაღაც ავადმყოფობებს, უმაღლესში ჩაბარებისას კი ცნობებს წარადგენენ ხოლმე იგივე ბავშვების, აბიტურიენტების, სრულიად ჯანმრთელობის შესახებ.

ვის ვატყუებთ, საკუთარ თავს?

რატომ არ ვუფიქრდებით, რა ცუდ სამსახურს ვუწევთ ამით ჩვენს შვილებს თუნდაც იმით, რომ ტყუილს ვაჩვევთ, იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომ ეს ნებიერა შვილები არიან სწორედ ნარკომანიის ბრჭყალებში რომ ექცევიან, ზარმაცები ხდებიან, მედიდურები, ქედმაღლები, იმედი აქვთ, რა გაჭირვებაშიც არ უნდა ჩავარდნენ — მშობლები მათ იხსნიან.

დრო იყო, ვამაყობდით ფეხბურთელებით, კალათბურთელებით, მოჭიდავეებით, ტანმოვარჯიშეებით, მძლეოსნებით. თითქმის ყველა სახეობაში ძლიერი გუნდები გვყავდა, სახელგანთქმული სპორტსმენების მთელი არმია. იმიტომ რომ, მასიურობას მივსდევდით სპორტ-

ში. ახლა კი სულ მცირე გამარჯვებაც გვიხარია, არადა, სადღაა გუნდები, ვამაყობთ ერთეულებით.

მიზეზი იქ ვეძიოთ, იმ ფიზკულტურის ფორმალურად ჩატარებულ გაკვეთილებში და იქნებ ახლა მაინც ავამაღლოთ მოთხოვნა — ყველა ბავშვმა ივარჯიშოს, გაიკაჟოს ჯანმრთელობა, მოქნილი გახდეს, ლამაზი აღნაგობისა, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებულმა კი დიდი სპორტის სარბიელზე ასახელონ რესპუბლიკა, სკოლა, ოჯახი.

ნუ გვავიწყდება ბრძნული ანდაზა: „შვილი გაზარდე მტრულადა, გამოგადგება მოყვრადა". შრომის ფასი ჩავუნერგოთ ბავშვს. იოლი გზით მავალს იქნებ ერთხელაც გაუმართლდეს და სამჯერაც, მაგრამ სულ გამარჯვებით იაროს ზარმაცმა და უქნარამ — შეუძლებელია.

ამიტომ უფროსებს მეტი მოგვეთხოვება და მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ის შვილი ჩვენს საქციელზე სწავლობს, ჩვენი მაგალითი მისთვის ეტალონია. იმ კარგი დედისა და მამის თანამდებობით, დამსახურებით, რა თქმა უნდა, შეუძლია იამაყოს, მაგრამ იმათი ჯილდო ვერც ცოდნას გაუღრმავებს, ვერც სახელს შეუქმნის. სახელს საქმე წარმოაჩენს, წარმოსაჩენად კი დიდი შრომაა საჭირო, თავდადება, განათლება, საქმისადმი ერთგულება და სიყვარული. ყველაფერ ამას კი წლობით და რუდუნებით მოიპოვებს ადამიანი, გადაგებული თავისი საქმისადმი, პროფესიისადმი.

ერთი ომამდელი ამბავი მინდა მოვიგონო: კინოში ბილეთის რიგში ვიღაცამ საფულე ამაცალა, რაც მხოლოდ სალაროსთან მისულმა გავიგე. შევწუხდი და ჩემი

გულისტკივილი არ დამიფარავს. ჩემს უკან მდგარმა განდილოსანმა აღშფოთებით წამოიძახა:

— ეს რა უბედურება ხდება ჩვენს უბანში, რა უმსგავსობა? როგორ, თავისიანებსაც ქურდავენ ქურდაცაცები? — და ბილეთი ამიღო.

უცებ ჭაბუკი მოგვიახლოვდა, ქალს ჩაულაპარაკა, ათ წუთში საფულე ხელთ გექნებათო და მართლაც, საფულეც დამიბრუნეს და ბოდიშიც მომიხადეს.

კი, ხელმრუდობა მაშინაც იყო, მაგრამ იშვიათად და ეს იშვიათობაც აწუხებდა ადამიანებს, აღელვებდათ, ბჭობის საგანი ხდებოდა, რომ ახალგაზრდა არასაკდრისი ხელობით ირჩენდა თავს, და აკი მკაცრადაც კიცხავდნენ ისეთებს.

მაშინ უფროსის სიტყვას უფრო პატივისცემით იხმენდნენ.

1944 წელს, კურსებზე ყოფნისას, იმ ბიჭს მოსკოვში შევხვდი, თვითონ მიცნო, ჯარისკაცის ფორმაში იყო, მხედრულად მომესალმა, მომიკითხა და მითხრა:

— იმ დეიდამ ისე შემარცხვინა, მას მერე ხვისი ჯიბისკენ არც გამიხედავს, მინდა დამიჯერო...

ფრონტზე თავისი სურვილით წასულიყო მოხალისედ. ფარაჯა გაიხსნა და მკერდზე მიბნეული ორი მედალი მაჩვენა. სამწუხაროდ, მერე აღარ შევხვედრივარ, არ ვიცი, რა ბედი ეწია. მაგრამ თუ გადაურჩა იმ ომს და იქნებ დღესაც თბილისში ცხოვრობს, მჯერა, კარგი კაცი უნდა იყოს და შვილებსაც უთუოდ წესიერ მოქალაქეებად გაზრდიდა.

ბოლო დროს განსაკუთრებით ფეხი მოიკიდა მდაბიორის და მეშჩანის მოდერნისტულმა ნიღაბმა, ლტოლ-

ვამ კარიერიზმისაკენ. ამ დროს იწიხლება ნაღდი ნიჭი, ტალანტი, რადგან ნიჭიერს ერიდება თავისთავზე ყვირილი, თავისი ნამუშევრის, ნაღვაწის წარმოჩენა. აქედან გამომდინარე, ჩნდება დაჯგუფებანი, ურთმანეთის ქებადიდება და ისევ და ისევ იჩაგრება ის, ვინც ერიდება, არ კადრულობს ამგვარ ორომტრიალში მონაწილეობის მიღებას და ზიანდება საქმე, ქვეითდება ხარისხი, რაკიღა საქმეს წარმართავს თანამდებობაზე დაუმსახურებლად მოკალათებული საქმოსანი და არა საქმისათვის მართლაც საჭირო, თავგადაგებული და ნიჭიერი ადამიანი.

მოდას რომ ვამბობთ, ეს მოდაც უფრო წამხედურების თავგასატანი ფორმაა.

ის სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობს — მეც იქ მინდა ვიყო სტუდენტი.

იმას მექსიკური კაბა აცვია — მეც ისეთი კაბა მინდა.

იმას პრემია მიანიჭეს — მეც ის პრემია მინდა.

ის დოქტორია — მეც მინდა ვიყო დოქტორი.

ის მსახიობია, მწერალია, მხატვარია — მეც მინდა...

მინდა! მინდა! მინდა!

ამ წამხედურობამ ლამის თან გადაგვიტანოს. მოგვიმრავლდნენ დიპლომიანები, ღირსეული სპეციალისტები და მეცნიერები, აგრონომები, პედაგოგები და სპორტსმენები კი თითზე ჩამოსათვლელია (მოჭადრაკეებთან ბოდიში მომითხოვია, მით უფრო ჩვენს სახელოვან ქალებთან, რადგან თუ გვასახელებს ვინმე, ისევ ესენი!).

ნემსის ყუნწში ძვრება ზოგი, რის გამოც ატალახებულია გავლენიან პირთა სამსახური, ბინა და წარმოიდგინეთ, ბევრი მიზანსაც აღწევს, თუმცა აქ ისიც არის აღსანიშნავი, რომ ის ზოგი დიდების მაძიებელი, სავსე-

ბით იოლად ისრულებს წადილს და თავსაც იწონებს: ხერხი სჯობია ლონესაო...

არადა, გულში ხომ ყველამ ვიცით, ვინ რისი ღირსია, ვის რა ეკუთვნის, ვინ რისი გამკეთებელია და შემქმნელი და მაინც თვალს ვხუჭავთ კადნიერებაზე, პატივს ვცემთ, რაკიღა თანამდებობა უჭირავს იმ ვიღაცას, მით უფრო, თუ დაჯილდოვებულია პრემიით, ლაურეატია, პრეზიდიუმშია გამოჭიმული და თითსაც გვიქნევს, ჭკუას გვარიგებს. ბოლმა კი გვახრჩობს და ტაშსაც ვუკრავთ. და ასე დღეს-ხვალიობაში, ჩვენდაშეუმჩნევლად მლიქვნელის სამოსელში ვეხვევით, არაგულწრფელები ვხდებით... ვიძირებით, მივექანებით, მაგრამ როდემდე ასე?

ჩვენი ნიკალა ფიროსმანის ამბავი გაიხსენეთ, ან სულ ახლახანს ჩვენგან წასული ვისოცკისა, რომლებსაც არათუ აღიარება არ ეღირსათ სიცოცხლეში, ერთი თბილი სიტყვაც, ან თანადგომა არავინ აგრძნობინა და ლაღი ასათიანის ოქმისა არ იყოს: „მოკვდა თუ არა, ყველამ აცხონა, ცოცხალი არავინ არ მიიკარა“.

მერე გვიკვირს ახალგაზრდების სითამამე, მოურიდებლობა, სწრაფვა სავარძლისკენ.

რატომ გვიკვირს?

მიხვდა ახალგაზრდა, ჩვენს მაგალითზე მიხვდა, რომ თუ არ ექნება ის „სკამი“, არც წიგნს დაუბეჭდავენ დიდი ტირაჟით, არც პრემიას მისცემენ და არც იმ პრეზიდიუმში დასვამენ.

მაგრამ მაინც, ეტყობა, უკიდურეს ზღვარს მივადექით და ბოლოს და ბოლოს დადგა დრო და დაისვა საკითხი, რომ ასე ვეღარ გაგრძელდება. სამართალმა უნდა ჭამოს პური....

დიახ, პოეტმა უნდა დაწეროს ლექსი და არა პოეზიის მოყვარულმა!

ექიმის ხალათი იმან უნდა ჩაიცვას, ვინც მოწოდებით არის მკურნალი, ავადმყოფის ტკივილის თანამგრძნობი და უმწიკვლო გამზიარებელი!

მასწავლებელი უწმინდესი ადამიანი უნდა იყოს, ვისაც უსაზღვროდ უყვარს ბავშვი, უნარი აქვს, მოთმინებით აზიაროს მოსწავლე ცოდნას და სამშობლოს აღუზარდოს ღირსეული მოქალაქეები!

ასეა: ჩექმა — მეჩექმემ უნდა შეკეროს!

ხალხის წიაღიდან მოსული ეს ფრთიანი გამოთქმა წესად უნდა ვიწამოთ, რადგან ხალხი არ ცდება. ყველამ თავის საქმეს უნდა მიხედოს და ნუ ვაწყდებით ყოველლი მხრიდან თბილისს, ნუ ვაცარიელებთ მთასა და ბარს და მერე აქედან ცრემლებად ნუ დავიღვრებით, — არიქა, ვუშველოთო.

ჩვენ ბევრი საამაყო მამულიშვილი გვყავდა და ახლაც გვყავს — ვაჟკაცობით სახელგანთქმულნი, ნიჭიერნი, ამაგდარნი, დიდად განათლებულნი, საქართველოს ცისა და მიწისათვის თავდაუზოგავნი, სამშობლოს თუ დასჭირდა, სიცოცხლეს რომ საკურთხეველზე წარბშეუხრელად მიიტანენ, კეთილი საქმის მსახურნი. ჩვენს ველ-მინდვრებს თავს რომ ანაცვალებენ გარჯითა და სამსახურით. დაე, ვიყოთ მათი ღირსეულნი, მარტო სურვილით და სიტყვით კი არა — საქმითა და ადამიანობითაც, ჩვენი დიდბუნებოვნებით!

1988

სარჩევი

მოგონებები

განახლებული პოეტური სუნთქვა	3
დაუვიწყარი შეხვედრა	9
ნოდარის გვერდით	16
რამდენიმე შტრიხი პორტრეტისათვის	35
იოსებ (ოსო) გრიშაშვილი	40
ილია სიხარულიძე	48
დიდი მსახიობი	53
სანდრო კავსაძე	61
ონავრობა	69
კვლავ ახმიანდეს!	81
ჭიქა წყალი	87
დიდსულოვანი ადამიანი	91
კაკლის მურაბიანი ქილა	98
მძიმე მგზავრობა	102

წერილები

წიგნი და ჩვენ	127
სადღეისო საზრუნავი	136

Канделаки Нана Арчиловна

ВОСПОМИНАНИЯ

Письма

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, ул. Марджанишвили 5.
1989

რედაქტორი თ. აბულაძე
მხატვარი თ. შარიფაშვილი
პასტერული რედაქტორი ლ. ღვინჯილია
ტექნიკური რედაქტორი ნ. აფხაზავა
კორექტორი ე. ჟვანია
გამომშვები ნ. ჩხეტიანი

ს. ბ. № 6180.

გადაეცა წარმოებას 10.10.88. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.05.89
უე 01887. საბეჭდი ქაღალდი № 1. 70×100 1/32. გარნიტური
ვენა. ბეჭდვის ხერხი მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 5,83.
პირ. საღ.-გატ. 6,07. სააღრ.-საგამომც. თაბახი 4,88.
ტირაჟი 10 000. შეკვ. № 100.

ფასი 40 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის, 5.

380060 ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ. 29.
საქ. სსრ გამსახკომის № 4 სტამბა.

380060, г. Тбилиси, пр. Важа-Пшавела, 29,
типография № 4 Госкомиздата Груз. ССР